საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№13 (389)
5 - 11 აპრილი, 2017

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



ვინ მოაწყო ტერაქტი სანქტ-პეტერბურგის მეტროპოლიტენში 3

# ფუჭი ოცნება და უიმედობის რეიტინგი

NDI NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE FOR INTERNATIONAL AFFAIRS

The International Republican Institute IRI

«ენ-დი-აისა და აი-რა-ის წინასაარჩევნო გამოკითხვები შეიძლება შევადაროთ მრუდე, თანაც დამსხვრეულ სარკეს და მხოლოდ ამის გათვალისწინებით ვისაუბროთ სურათზე, რომელსაც ის ასახავს» 4

«ენ-დი-აისა და აი-რა-ის «გამოკითხვის» მონაცემები ამერიკის მმართველი წრეების მითითებას წარმოადგენს» 2

«ეს კვლევა უნდა განვიხილოთ, როგორც გაცხადებული დირექტივა, რომელიც ხელისუფლებამ ზედმიწევნით უნდა შეასრულოს»

## სამთავრობო ევროტყუილი და ღამურას მენტალიტეტი 5

## გვინდა თუ არა ნატო და ევროკავშირი? 16



«ქუთათური ბიზნესი» 9 და მილიონერი დეპუტატები



«გამორიცხულია, გყავდეს კარგი საფეხბურთო ნაკრები, როცა პრაქტიკულად არ გაქვს ეროვნული ჩემპიონატი» 7

«რატომ ფიქრობს იუსტიციის სამინისტრო, რომ 300 კაცისთვის საყოფი ნარკოტიკის ქონა არ უნდა ისჯებოდეს?!» 6



ამერიკულ პროექტს «გაერთიანებულ ევროპას» 60 წლისთავზე კრახი ემუქრება 10

რატომ ცდილობს აშშ-ის კოლონია ნახევრად კოლონიაში გაერთიანებას

«თავიანთ სახლებთან გახსნან სოდომისტების სკვერი და თავიანთ ცოლ-შვილს აყურებინონ ეს გარყვნილება» 2

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ასეთი კვლევები ყველაზე მეტად საზოგადოების იმ ნაწილზე მოქმედებს, რომელიც პოლიტიკურ პროცესებში ნაკლებადაა გაცნობიერებული, ანუ ეს არის ერთგვარი რეკლამა, რომელიც ადამიანების ცნობიერებაში ილექება და გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მათზე. გარდა ამისა, მსგავსი კვლევებით იქმნება ერთგვარი პოლიტიკური დღის წესრიგი, რომელსაც ვერ დაარღვევს ვერავინ, მათ შორის, ვერც მმართველი გუნდი. ასე რომ, ეს კვლევები დიდწილად მიზანს აღწევს და თავის საქმეს აკეთებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი ობიექტურობის არავის სჯერა და სანდოობაზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი“.



## ჰამლეტ ჭიპაშვილი: ენ-დი-აისა და აი-რა-ის «გამოკითხვის» მონაცემები ამერიკის მმართველი წრეების მითითებას წარმოადგენს

**საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა (აი-რაი) საზოგადოებრივი აზრის მორიგი კვლევის შედეგი გამოაქვეყნა. შეკითხვაზე — „მომდევნო კვირას რომ იყოს არჩევნები, რომელ პარტიას დაუჭერდით მხარს?“ — რესპონდენტთა პასუხები ასე გადანაწილდა: „ქართული ოცნება“ — 26%; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ — 15%; „ევროპული საქართველო“ — 7%; ლეიბორისტული პარტია – 6%; „პატრიოტთა ალიანსი“ — 4%; „თავისუფალი დემოკრატები“ — 3%; „დემოკრატიული მოძრაობა“ — 2%; „გირჩი“ — 1%; რესპუბლიკური პარტია — 1%; სხვა პარტიები — 1%, არც ერთ პარტიას — 15%; არ მაქვს პასუხი — 20%. ამ კვლევაზე თვალსაზრისის გამოხატვა პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილს ვთხოვეთ.**

### «ეს კვლევა უნდა განვიხილოთ, როგორც გაცხადებული დირექტივა, რომელიც ხელისუფლებამ ზედმიწევნით უნდა შეასრულოს»

— ეს კვლევები ისეთივეა, როგორიც იყო შარშან, შარშანწინ და ა.შ. მათი პოზიცია არ შეცვლილა და განუხრელად განაგრძობენ წლების წინათ აღებულ კურსს. რაც შეეხება მონაცემებს, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს ციფრები ასახავს არა რეალობას, არამედ აი-რა-ის მესვეურთა სურვილებს. ანუ, იმ პოლიტიკურ დაკვეთას, რომელიც მოდის ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობისგან და, შესაბამისად, **ეს კვლევა უნდა განვიხილოთ, როგორც გაცხადებული დირექტივა, რომელიც ხელისუფლებამ ზედმიწევნით უნდა შეასრულოს.** შეგახსენებთ, რომ აი-რა-იც და ენ-დი-აიც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციებია, ამდენად, ისინი არ უნდა აღვიქვათ ჩვეულებრივ ორგანიზაციებად. ენ-დი-აისა და აი-რა-ის „გამოკითხვის“ მონაცემები წარმოადგენს ამერიკის მმართველი წრეების მითითებას და, როგორც ჩანს, იმ ძალებს საქართველოს მიმართ აზრი დღემდე არ შეუცვლიათ....

**— დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტება არ უნდა დატყობოდა ამ ორგანიზაციების საქმიანობას საქართველოში? იგი ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ამბობდა, დანარჩენ მსოფლიოს ჩვენს პოლიტიკას თავს არ მოვახვევთო.**

— ტრამპი ჯერჯერობით ქვეყნის საშინაო საქმეებით შემოიფარგლება და მისი ერთ-ერთი დაპირებაც ეს იყო. ტრამპი ამბობდა, რომ მეტ ყურადღებას დაუთმობდა ქვეყნის შიგნით არსებულ პრობლემებს, იქნებოდა ეს სამუშაო ადგილების შექმნა, საზოგადოდ, სოციალური საკითხები თუ სხვა. ეს ერთი და მეორეც — ტრამპს ჰყავს ძალიან ბევრი მტერი. მას არ აქვს იმის ფუფუნება, რომ თავისუფლად იმოქმედოს და სწრაფად მიიღოს გადაწყვეტილებები. მას ეს შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს, ამიტომ ჯერჯერობით დასკვნის გამოტანა ნაადრევია. ჩვენ არ ვიცით, რა გადაწყვეტილებებს მიიღებს იგი, როცა საბოლოოდ დამთავრდება მმართველი გუნდის ფორმირება. ამას დროთა განმავლობაში დავინახავთ...

**— და სანამ ეს მოხდება, ფიქრობთ, რომ საზოგადოების აზრსა და განწყობაზე გავლენას ახდენს აი-რა-ის ან ენ-დი-აის კვლევები?**

— ცხადია, ახდენს. საერთოდ, ასეთი კვლევები ყველაზე მეტად საზოგადოების იმ ნაწილზე მოქმედებს, რომელიც პოლიტიკურ პროცესებში ნაკლებადაა გაცნობიერებული, ანუ ეს არის ერთგვარი რეკლამა, რომელიც ადამიანების ცნობიერებაში ილექება და გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მათზე. გარდა ამისა, მსგავსი კვლევებით იქმნება ერთგვარი პოლიტიკური დღის წესრიგი, რომელსაც ვერ დაარღვევს ვერავინ, მათ შორის, ვერც მმართველი გუნდი. ასე რომ, ეს კვლევები დიდწილად მიზანს აღწევს და თავის საქმეს აკეთებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი ობიექტურობის არავის სჯერა და სანდოობაზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## მამა გიორგი (რაზმაძე): თავიანთ სახლებთან გახსნან სოდომისტების სკვერი და თავიანთ ცოლ-შვილს აყურებინონ ეს გარყვნილება

**31 მარტს „ტრანსგენდერთა ხილვადობის საერთაშორისო დღის“ აღსანიშნავად მოქალაქეების ერთმა ჯგუფმა თბილისის ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე ხეხილის ნერგები დარგო. მათი განმარტებით, აქცია „ტრანსფობიას შეწირული“ ადამიანების ხსოვნას მიეძღვნა და აღნიშნულ ადგილს ტრანსგენდერთა სკვერი ეწოდა. გარდა ხეხილის ნერგებისა, აქციის ორგანიზატორებმა სამი ძირი ვარდიც დარგეს. მათივე თქმით, აღნიშნული ნერგები მათ ორგანიზაცია „პარტიზანი მებაღეების“ წევრებმა მიაწოდეს.**
**„საქართველო და მსოფლიო“ ავჭალის წმიდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარს, მამა გიორგის (რაზმაძეს) დაუკავშირდა და მომხდარზე კომენტარი სთხოვა:**



**მამა გიორგი (რაზმაძე):**

— რა ვთქვა, არც ვიცი, ამაზე კომენტარი ზედმეტია. ეს არის ამ ხელისუფლების კიდევ ერთი სამარცხვინო ნაბიჯი, რომელიც, ყველამ ვიცით, საიდან და ვის მიერაა ნაკარნახევი.

იმ ადგილიდან, სულ რაღაც, 100 მეტრში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპული გმირების მემორიალია და მარადიული ცეცხლი ანთია. იქვე, ორ ნაბიჯში, მამათმავლების სკვერს რომ ხსნიან, რა ჰქვია ამას?! თავიანთი ბინძური სულით, ავადსახსენებელ ნაციონალებსაც გაუსწრეს. ეს ყველაფერი შემაძრწუნებელია, ესენი პირდაპირ ტახტს უდგამენ სატანას და ამის გამო ძალიან მკაცრად დაისჯებიან.

**რაც შეეხება უშუალოდ თბილისის მერიას, რომლის უნებართვოდაც, ალბათ, შეუძლებელია სადმე და, მით უმეტეს, ქალაქის ცენტრში ვინმემ რამე დარგოს, მათ თავიანთ სახლებთან გახსნან სოდომისტების სკვერი და თავიანთ ცოლ-შვილს აყურებინონ ეს გარყვნილება!**

**— თქვენი აზრით, მერიის ნებართვით მოხდა ხეების დარგვა?**

— გადაჭრით ამის თქმა ძნელია. მე, სავარაუდოდ, ვამბობ, მაგრამ, თუ მართლა მერიის ნებართვით გაკეთდა ყველაფერი, ეს მათი დასამარების დასაწყისია.

**— თავის დროზე დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებამ ბევრს გაუჩინა მოლოდინი, რომ საქართველოში მოქმედ რიგ არასამთავრობო ორგანიზაციებს, დაფინანსებასთან ერთად, დასავლეთის გავლენიანი პოლიტიკური წრეების მხარდაჭერაც შეუწყდებოდათ. ამის ნაცვლად ვხედავთ, რომ ისინი დღითიდღე აქტიურდებიან. რა არის ამის მიზეზი?**

– ნურავის ექნება მოლოდინი, რომ ამ ხელისუფლების პირობებში საქართველოში პოლიტიკური ვითარება შეიცვლება. ეს არ მოხდება იმიტომ, რომ **ესენი არიან „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური მემკვიდრეები. ამიტომ დათანხმდნენ დასავლელი ცისფერი კომისრებიც მათ მოსვლას ხელისუფლებაში, თორემ, ესენი რეალური ოპოზიცია რომ ყოფილიყვნენ, ჩანასახშივე გაანადგურებდნენ.**

რაც შეეხება სოდომისტების პატივსაცემად ხეების დარგვას, თუკი ეს ყველაფერი მერიის მხარდაჭერითა და ნებართვით მოხდა, მათთვის ამას ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვება. ეს იქნება მათი დასამარების დასაწყისი, რადგან ხალხი არ მოითმენს ამ გარყვნილებას; არც ერთი ღირსეული და ჯანსაღი ადამიანი არ დაუშვებს, რომ მის ქალაქსა და ქვეყანაში ასეთი აღვირახსნილობა სუფევდეს. ასე დაიწყო თავის დროზე ევროპაში ადამიანების გარყვნა და სად მივიდნენ, ყველა ვხედავთ.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

### «ეს არის ამ ხელისუფლების კიდევ ერთი სამარცხვინო ნაბიჯი, რომელიც, ყველამ ვიცით, საიდან და ვის მიერაა ნაკარნახევი»

## ერდოღანი: ამ უნამუსო თავდასხმისას თურქეთი რუსეთის გვერდით დგას

**„რუსეთისა და თურქეთის პრეზიდენტებმა სატელეფონო საუბარში ტერორიზმთან ბრძოლაში თანამშრომლობის აუცილებლობას გაუსვეს ხაზი, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა.**

თურქეთის პრეზიდენტმა **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა** სამძიმარი გამოუცხადა რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინს** სანკტ-პეტერბურგის მეტროპოლიტენში მომხდარი ტერაქტის გამო და თანაგრძნობის სიტყვები გადასცა დაღუპულთა ოჯახის წევრებისთვის, ხოლო დაშავებულებს გამოჯანმრთელება უსურვა. ერდოღანმა მომხდარს უნამუსო თავდასხმა უწოდა.



**„ჩვენ ვგმობთ ამ საშინელ თავდასხმას. ამ უნამუსო თავდასხმის დროს თურქეთი რუსეთის გვერდით დგას. ჩვენს ქვეყანას, რომელიც წლების განმავლობაში ებრძვის ტერორიზმს, ესმის ამგვარი თავდასხმების ტკივილი“,** — დასძინა ერდოღანმა.

## მსვლელობა ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავად

**ქართველი კომუნისტები ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად 9 მაისს გორში მსვლელობას გამართავენ.**



„9 მაისს სტალინის სახლთან შევიკრიბებით, პატივს მივაგებთ გმირებს, რომლებმაც ფაშიზმი დაამარცხეს. მოვიგონებთ გამორჩეულ ქართველ გმირებს იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ხელმძღვანელობით. შემდეგ გვექნება მსვლელობა იმ ადგილისკენ, სადაც დიდი ბელადის ძეგლი იდგა“, — განაცხადა საქართველოს კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა ალექსანდრე ლურსმანაშვილმა.

9 მაისს საქართველოში ფაშიზმზე გამარჯვების დღე აღინიშნება. 1945 წლის 8 მაისს, ვერმახტის კაპიტულაციის შემდეგ, ევროპაში მეორე მსოფლიო ომი დასრულდა. საბჭოთა კავშირში 9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღედ გამოცხადდა. საქართველოს შრომის კოდექსით, 9 მაისი უქმე დღეა.

**რუსული მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სპეცსამსახურების წარმომადგენლები მუშაობენ ტერაქტის ორ ვერსიაზე: პირველი და ძირითადი — ტერაქტი განხორციელდა „კავკასიის ჯამაათის“ ხელმძღვანელთა მუშაობის შედეგად, რომლებიც რუსეთიდან გაქცევების შემდეგ თურქეთში იმყოფებიან. მეორე ვერსიის თანახმად, ტერაქტი მოაწყვეს უკრაინელმა ნაციონალისტებმა.**

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვინ მოაწყო ტერაქტი სანკტ-პეტერბურგის მეტროპოლიტენში

**3 აპრილს, დაახლოებით 15 საათზე, სანკტ-პეტერბურგის მეტროპოლიტენში სადგურ „სენნაია პლოშჩადისა“ და „ტეხნოლოგიჩესკი უნივერსიტეტის“ გადასარბენზე მოხდა ტერაქტი: ვაგონში თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა აფეთქდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ტერორისტული აქტი მოაწყო თვითმკვლელმა; მანვე, როგორც ჩანს, სადგურ „პლოშჩად ვოსტანიაზე“ დატოვა ბომბი, რომელიც სამართალდამცველებმა გააუვნებლეს. ტერაქტის შედეგად დაიღუპა 14 ადამიანი, დაიჭრა — 49.**



## ტერაქტი

სანკტ-პეტერბურგის მეტროპოლიტენში ტერორისტული აქტი დაახლოებით 14 საათსა და 40 წუთზე მოხდა, დაძრული მატარებლის მესამე ვაგონში. მემანქანემ მიიღო გადაწყვეტილება, არ გაეჩერებინა შემადგენლობა (სპეციალისტების აზრით, მართებული) და მიეყვანა ის სადგურ „ტეხნოლოგიჩესკი ინსტიტუტამდე“, სადაც დაზარალებულებს აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება, შემდეგ კი დაიწყეს მგზავრების ევაკუაცია. სადგურ „პლოშჩად ვოსტანიაზე“ კი სამართალდამცველებმა ცეცხლმაქრის კორპუსში იპოვეს ტაიმერით აღჭურვილი ბომბი, რომლის სიმძლავრე დაახლოებით 1 კგ ტროტილის აფეთქების ეკვივალენტი იყო. აფეთქება განახორციელა თვითმკვლელმა ტერორისტმა, რომელსაც მოწყობილობა სხეულზე ჰქონდა მიმაგრებული, სავარაუდოდ, მანვე დატოვა ბომბი სადგურ „პლოშჩად ვოსტანიაზე“.

გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის სპეცსამსახურებმა იცოდნენ ამ ტერორისტული აქტის მზადების შესახებ, მაგრამ არ ჰქონდათ ინფორმაცია კონკრეტულ დეტალებზე.

აღსანიშნავია სანკტ-პეტერბურგში მომხდარი ტრაგედიისადმი ცინიკური დამოკიდებულება ზოგიერთი დასავლური მედიასაშუალების წარმომადგენელთა და აშშ-ის ექსპრეზიდენტ **ობამას** ადმინისტრაციისდროინდელი მაღალჩინოსნის მხრიდან, რომლებიც თვითკმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ „ტერორიზმთან მებრძოლ მთავარ ქვეყანას თვითონ მოუწყვეს ტერაქტი“, და ეს ტერაქტი რუსეთზე შურისძიებაა.

**„ცინიკურია ზოგიერთი მედიასაშუალების მსჯელობა იმაზე, რომ ეს ტერაქტი რუსეთზე შურისძიებაა სირიაში ჩვენი პოლიტიკის გამო, სამწუხაროა, რომ არა მხოლოდ მედიასაშუალებები, არამედ ობამას ადმინისტრაციისდროინდელი პენტაგონის ზოგიერთი წარმომადგენელიც იზიარებს მსგავს თვალსაზრისს. მიმაჩნია, რომ ეს არ ეკუთვნის პოლიტიკოსებს და ვიმედოვნებ, რომ არსებულ ვითარებაში, როდესაც ტერორიზმი ყველას ემუქრება, ორმაგი სტანდარტის მიდგომა აღარ იქნება“,** – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლავროვმა.**

## თვითმკვლელი ტერორისტი

რუსეთის საინფორმაციო სააგენტო „ნოვოსტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სანკტ-პეტერბურგის მეტროპოლიტენში ტერორისტული აქტი რუსეთის მოქალაქემ, წარმოშობით ყირგიზმა, 1995 წელს დაბადებულმა **აკბარჟონ ჯალილოვმა** მოაწყო.

## ვერსიები

რუსული მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სპეცსამსახურების წარმომადგენლები მუშაობენ ტერაქტის ორ ვერსიაზე: პირველი და ძირითადი — ტერაქტი განხორციელდა „კავკასიის ჯამაათის“ ხელმძღვანელთა მუშაობის შედეგად, რომლებიც რუსეთიდან გაძევების შემდეგ თურქეთში იმყოფებიან. მეორე ვერსიის თანახმად, ტერაქტი მოაწყვეს უკრაინელმა ნაციონალისტებმა.

პასუხისმგებლობა სანკტ-პეტერბურგის მეტროპოლიტენში მომხდარ აფეთქებაზე ჯერჯერობით არც ერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ დაუკისრებია.

**„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს და უსამძიმრებს რუს ხალხს სანკტ-პეტერბურგის მეტროპოლიტენში მოწყობილი ტერაქტისას დაღუპული ადამიანების გამო. ეს ტერორისტული აქტი მიმართული იყო არა მხოლოდ რუსი ხალხის, არამედ ცივილიზებული მსოფლიოს წინააღმდეგ.**

**ლუკა მაისურაძე**





**ცნობისთვის:**

მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქის მეტროპოლიტენში მოწყობილი ტერორისტული აქტები:

* 1977 წლის 8 იანვარს **მოსკოვის მეტროპოლიტენში** ბოროტმოქმედებმა ააფეთქეს თვითნაკეთი ბომბი. დაიღუპა 7 ადამიანი, დაიჭრა — 37. ამ დანაშაულისთვის სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა, მიუსაჯეს 3 ადამიანს, სომხური ნაციონალისტური დაჯგუფების წარმომადგენლებს, რომლებიც სსრკ-ის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

*1994 წლის 19 მარტს **ბაქოს მეტროპოლიტენის** სადგურ „20 იანვარში“ ააფეთქეს საათისმექანიზმიანი თვითნაკეთი ბომბი. დაიღუპა 14 ადამიანი, დაიჭრა — 49. იმავე წლის **3 ივლისს ბაქოს მეტროპოლიტენში** კვლავ მოხდა აფეთქება. დაიღუპა 13 ადამიანი, დაიჭრა — 58.

გამოძიების ვერსიით, ეს ტერაქტები სომხეთის სპეცსამსახურებმა მოაწყვეს.

* 2005 წლის 7 ივლისს, „დიდი რვიანის“ სამიტის პირველ დღეს, ტერორისტებმა **ლონდონის მეტროპოლიტენში** სამი მატარებელი ააფეთქეს (შემდეგ — ავტობუსი). დაიღუპა 52 ადამიანი, დაიჭრა — 700-მდე. თვითმკვლელები, რომლებმაც ბომბები ააფეთქეს, ისლამური ფუნდამენტალიზმის მიმდევრები იყვნენ, ამასთანავე, ბრიტანეთის მოქალაქეები.

* 2010 წლის 29 მარტს თვითმკვლელმა ტერორისტებმა **მოსკოვის მეტროპოლიტენის** ორ სადგურში მოაწყვეს აფეთქება. დაიღუპა 41 ადამიანი, დაიჭრა — 88. ტერორისტულ აქტზე პასუხისმგებლობა დაიკისრა „კავკასიის ემირატის“ ლიდერმა დოკუ უმაროვმა.

* 2011 წლის 11 აპრილს ბელარუსის დედაქალაქ **მინსკის მეტროპოლიტენში** სკამის ქვეშ დადებული ბომბი აფეთქდა. დაიღუპა 15 ადამიანი, დაიჭრა — 203. ტერაქტის ორგანიზატორი ბელარუსის მოქალაქეებს — დიმიტრი კონოვალოვსა და ვლადისლავ კოვალიოვს სიკვდილი მიუსაჯეს.

* 2016 წლის 22 მარტს ბელგიის დედაქალაქ **ბრიუსელის მეტროპოლიტენის** სადგურ „მალბეკსა“ და აეროპორტის დარბაზში თვითმკვლელმა ტერორისტებმა ორი აფეთქება მოაწყვეს. დაიღუპა 38 ადამიანი, დაიჭრა— 340. მომხდარზე პასუხისმგებლობა დაიკისრა ტერორისტურმა ორგანიზაცია „ისლამურმა სახელმწიფომ“.

---

**„ვენეციის კომისია „ქართული ოცნების“ ინიციატივას კონსტიტუციაში ქორწინების დეფინიციის განსაზღვრაზე უარყოფითად უყურებს“, — განაცხადა პარტია „ევროპული საქართველოს“ წევრმა გიორგი ტუღუშმა. მისი თქმით, კომისია აღნიშნულ ინიციატივას პოზიტიურად არ აფასებს და ეს ცვლილება ქვეყნის იმიჯს მნიშვნელოვნად დააზარალებს.**



## ელიზბარ ჯაველიძე: ვენეციის კომისიამ თავის პედერასტებს მოუაროს

„რამდენიმე საკითხი დასვა „ევროპულმა საქართველომ“, მათ შორის, მე ვკითხე მათ, რას ფიქრობს ვენეციის კომისია „ქართული ოცნების“ ინიციატივაზე, რომ ე.წ. ოჯახის დეფინიცია ჩაიწეროს კონსტუტუციაში. მათი პასუხების მიხედვით, ამ ინიციატივას პოზიტიურად არ უყურებენ, რომ კონსტიტუციით იყოს განსაზღვრული მსგავსი საკითხები. გარდა ამისა, მათ თქვეს, რომ არ აქვთ რეალურად წინააღმდეგობა, რომ იუსტიციის საბჭომ წარადგინოს უზენაესი საბჭოს მოსამართლეობის კანდიდატები. ასევე, მათ თქვეს, რომ ყურადღებით იმსჯელებენ იმ საკითხზე, რომელიც უკავშირდება საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატის გაფართოებას“, — განაცხადა გიორგი ტუღუშმა.

**კონკრეტულად რა ცვლილებებს გამოიწვევს ქორწინების დეფინიციის განსაზღვრა კონსტიტუციაში, როგორ აისახება იგი რეალურად სახელმწიფოს იმიჯზე და რა არის აღნიშნულ ცვლილებაში ვენეციის კომისიისთვის მიუღებელი — „საქართველო და მსოფლიო“ ამ საკითხებზე კომენტარისთვის პუბლიცისტსა და მეცნიერს, აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს დაუკავშირდა.**

**ელიზბარ ჯაველიძე:**

— ყველაფერი, რასაც ისინი ამბობენ და კარნახობენ ჩვენს უნამუსო ხელისუფლებას, არის ჩვეულებრივი გლობალისტური, „ნეოლიბერალური“ ტერორის გაგრძელება, მაგრამ თავისთავად მათი ე.წ. რეკომენდაციები უკვე არაფერს ნიშნავს. ჩაწერეთ პირდაპირ: ვენეციის კომისიამ მოუაროს თავის პედერასტებს, რომლებითაც გავსებულია, და ჩვენ თავი დაგვანებონ, საქართველოს კონსტიტუცია მათი საქმე არ არის!

აქვე მინდა, გამოვეხმაურო ე.წ. ვიზალიბერალიზაციის თემასაც, ის ზარ-ზეიმი და ტაშ-ფანდურა, რომელიც ხელისუფლებამ ატეხა ამ ე.წ. ვიზალიბერალიზაციის გამო, არის ქართველი ხალხის შეურაცხყოფა და კიდევ უფრო დიდი შეურაცხყოფა ის განცხადებებია, რომ თურმე ეს ყველაფერი საქართველოს ეკონომიკურად ააყვავებს. ეს ე.წ. ვიზალიბერალიზაცია საქართველოს არავითარ სიკეთესა და სარგებელს არ მოუტანს; ასე რომ, ყველამ თავის მამიდას მიხედოს. მაგათი დაპირებებისა და იაფფასიანი ტყუილებისა უკვე არავის სჯერა. ხალხი ძალიან კარგად ხედავს, რა ხდება და საით მიჰყავთ ქვეყანა, ყველა ხვდება, რომ მათი მოღალატეობრივი პოლიტიკა კარგს არავის მოუტანს.

**«ზარ-ზეიმი და ტაშ-ფანდურა, რომელიც ხელისუფლებამ ატეხა ამ ე.წ. ვიზალიბერალიზაციის გამო, არის ქართველი ხალხის შეურაცხყოფა და კიდევ უფრო დიდი შეურაცხყოფა ის განცხადებებია, რომ თურმე ეს ყველაფერი საქართველოს ეკონომიკურად ააყვავებს»**

მოამზადა **ჯაბა ჟვანია**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**2016 წლის არჩევნებზე „ქართული ოცნების“ გამარჯვება მნიშვნელოვანწილად განაპირობა საფრთხის შეგრძნებამ, რომელიც მის ამომრჩევლებს სააკაშვილის რეჟიმის რესტავრაციის შესაძლებლობის მიმართ გაუჩნდა. ადგილობრივი არჩევნების მთავარი ინტრიგა კი ისაა, შეძლებს თუ არა შედარებით ცუდ სასტარტო პირობებში მყოფი მმართველი პარტია ამ ტრიუკის გამეორებას. მეორე პრობლემა, რომელიც, ასე თუ ისე, აირეკლა აი-რა-ის ციფრებში, „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ევროპულ საქართველოს“ შორის ელექტორატის განაწილებაა.**

# ფუჭი ოცნება და უიმედობის რეიტინგი

**„საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ კვლევების მიმართ საქართველოში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. ამას ორი მიზეზი განაპირობებს: ერთი მხრივ, არჩევნები ყოველთვის აჩვენებს, რომ აი-რა-ის წინასწრები რეიტინგები აშკარად ბოდვით ხასიათს ატარებდა, მაგრამ იმის გამო, რომ სანდო სოციოლოგიური ჯგუფები საზოგადოებას მსგავს მონაცემებს არ სთავაზობენ, ცალსახად გაყალბებული კვლევაც კი მისი ყურადღების ცენტრში ექცევა. საქართველო, ალბათ, ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც არსებობს პოლიტიკური ანალიზის ისეთი ფორმა, რომელსაც „მკითხაობა რეიტინგებზე დაყრდნობით“ შეიძლება ვუწოდოთ.**

NDI
NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE FOR INTERNATIONAL AFFAIRS

The International Republican Institute
IRI

**ის გალიზიანება, რომელიც მოსახლეობაში «ქართული ოცნების» მიმართ დაგროვდა, უკვალოდ არ გაქრება, მაგრამ იმის ლოდინი, რომ ის მოულოდნელად თავისით სასწაულებრივ გავლენას მოახდენს ადგილობრივი არჩევნების შედეგებზე, სამწუხაროდ, მხოლოდ ფუჭი ილუზიაა, რომელსაც რეალობასთან იმდენივე აქვს საერთო, რაც ზემოთ ნახსენებ რეიტინგს**

მიჩნეულია, რომ ადგილობრივი და წინასაარჩევნოდ მოწვეული უცხოური სოციოლოგიური ჯგუფები ორი სახის პროდუქციას ქმნიან: ე.წ. შიდა კვლევებს პარტიების ხელმძღვანელებისთვის და მასმედიაში პუბლიკაციისთვის განკუთვნილ აპრიორი ყალბ რეიტინგებს, რომელთა მიზანი ამომრჩევლების ემოციებით მანიპულირებაა. სინამდვილეში, საქმე უფრო რთულადაა, რადგან არსებობს „შიდა კვლევების“ ქვესახეობა, რომელიც (შედარებით ზომიერად) გაყალბებულ ინფორმაციას შეიცავს — მას პოლიტიკურ თამაშებში მსხვილი პარტიების ლიდერების ან მოწინააღმდეგის დეზინფორმირებისთვის იყენებენ და ამისთვის ხანდახან ინფორმაციის ფსევდოგაჟონვას აწყობენ. თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ის მონაცემები, რომლებსაც აი-რა-ი თუ ენ-დი-აი საზოგადოებას აწვდის.

2012 წლის გაზაფხულზე ამ ორგანიზაციამ ამაყად გვამცნო, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ 45%-იანი მხარდაჭერა აქვს, „ქართულ ოცნებას“ — 15%-იანი, ხოლო „ქრისტიანულ-დემოკრატიულ მოძრაობას“ — 9%-იანი. ალბათ, ეს ციფრებიც საკმარისია იმისთვის, რომ ასეთი კვლევითი ორგანიზაცია, ცნობილი ფრაზის არ იყოს, „ქიმწმენდაში ჩააბარო და ქვითარი დაკარგო“. მაგრამ ყველაზე სასაცილო ამ სიტუაციაში ისაა, რომ აი-რა-ი იმ არჩევნების მიმართ „ენ-დი-აი“-ზე უკეთ გამოიყურებოდა. ამ უკანასკნელმა „ნაცმოძრობას“ 47% დაუწერა, „ოცნებას“ — 10%, „ქდმ“-ს კი — 3%.

**2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ აი-რა-ის რეიტინგი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: „ქართული ოცნება“ — 20%, „ნაციონალური მოძრაობა“ — 19%, „თავისუფალი დემოკრატები“ — 13%, ლეიბორისტები — 8%, „პატრიოტთა ალიანსი“ — 4%, „გაერთიანებული დემოკრატები“ — 2%. ამასთანავე, დადებითი დამოკიდებულება პაატა ბურჭულაძის მიერ გამოკითხულთა 75%-მა გამოხატა. აქ კომენტარი, ალბათ, ზედმეტია.**

ეს მცირე შესავალი აუცილებელი იყო იმისთვის, რომ ახლახან გამოქვეყნებულ მონაცემებზე საუბარს შევუდგეთ: „ქართული ოცნება“ — 26%, „ნაციონალური მოძრაობა“ — 15%, „ევროპული საქართველო“ — 7%, ლეიბორისტული პარტია — 6%, „პატრიოტთა ალიანსი“ — 4%, არც ერთი — 15%, არ მაქვს პასუხი — 20%. პლუს ამას პოლიტიკოსების რეიტინგი: გიორგი მარგველაშვილი — 67%, დავით სერგეენკო — 65%, გიორგი კვირიკაშვილი — 55%, დავით ბაქრაძე — 50%. საინტერესოა, რომ 2016 წლის გამოკითხვაშიც სერგეენკო 64%-ით მეორე ადგილზე, ბურჭულაძის შემდეგ მოდიოდა. მესამე-მეოთხეს 60-60 პროცენტით ალასანია და მარგველაშვილი იყოფდნენ, თუმცა დეტალებში შემდგომ ჩაძიებას აზრი, ალბათ, არ აქვს. **2012 და 2016 წლების არჩევნებმა ნათლად აჩვენა, რომ აი-რა-ის გამოკითხვას ძალთა რეალურ ბალანსთან ძალიან ცოტა აქვს საერთო.**

აქ აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ **არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ჩატარებული გამოკითხვის შედეგი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ შეიძლება ზუსტად დაემთხვეს ხმების საბოლოო განაწილებას – არსებობს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდი, როცა პარტიების რეიტინგები იცვლება (თუმცა არა ასე დრამატულად), მაგრამ რეალობის სრული უარყოფა, რომელსაც ბოლო წლებში განხილულ გამოკითხვებში ვხედავთ, ძალიან ჰგავს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების უხეშ მცდელობას, ლამის საინფორმაციო დივერსიას. მას მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავს, ხელისუფლება კი ყოველივეს ძალიან მშვიდად უყურებს, ალბათ, იმიტომ, რომ ვერ ავლებს ზღვარს პარტიულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს შორის.**

ასეა თუ ისე, ენ-დი-აისა და აი-რა-ის წინასაარჩევნო გამოკითხვები შეიძლება შევადაროთ მრუდე, თანაც დამსხვრეულ სარკეს და მხოლოდ ამის გათვალისწინებით ვისაუბროთ სურათზე, რომელსაც ის ასახავს.

2016 წლის არჩევნებზე „ქართული ოცნების“ გამარჯვება მნიშვნელოვანწილად განაპირობა საფრთხის შეგრძნებამ, რომელიც მის ამომრჩევლებს სააკაშვილის რეჟიმის რესტავრაციის შესაძლებლობის მიმართ გაუჩნდა. ადგილობრივი არჩევნების მთავარი ინტრიგა ისაა, შეძლებს თუ არა შედარებით ცუდ სასტარტო პირობებში მყოფი მმართველი პარტია ამ ტრიუკის გამეორებას. მეორე პრობლემა, რომელიც, ასე თუ ისე, აირეკლა აი-რა-ის ციფრებში, „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ევროპულ საქართველოს“ შორის ელექტორატის განაწილებაა. ამ კვლევის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათი ჯამური რეიტინგი თითქმის არ შეცვლილა და ეს მაშინ, როდესაც სააკაშვილის ყველაზე ერთგული ექსპერტებიც კი აღიარებენ, რომ განხეთქილებამ ამ ორ პარტიას დიდი ზიანი მიაყენა, თუმცა იმის გათვალწინებით, რა ეწერა აი-რა-ის ძველ რეიტინგებში, ამ ნიუანსს შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ.

ძალიან მნიშვნელოვან როლს „ნაცმოძრაობის“ ტრადიციული მხარდამჭერების ხმების განაწილებაში შეასრულებს „რუსთავი 2“-ის მიერ ორი „მემკვიდრე“ პარტიის წინასაარჩევნო საქმიანობის გაშუქება; ის სააკაშვილის მიმდევრებისთვის ინფორმაციის უმთავრეს წყაროს წარმოდგენს. ზოგიერთი კომენტატორის აზრით, ძმები ყარამანაშვილების წინადადება ტელეკომპანიის აქციების ნაწილის კოლექტივისთვის გადაცემის თაობაზე, ნიღბავდა სააკაშვილის სურვილს, შეემცირებინა ნიკა გვარამიას, მისი ახლო გარემოცვის და „ევროპულ საქართველოში“ მათთან დაკავშირებული პირების გავლენა „რუსთავი 2“-ზე (ან, საერთოდ, განედევნა გვარამია ტელეკომპანიიდან). ამ თეორიის ფარგლებში, გვარამიას მცდელობა, შეექმნა „შუალედური“ შპს, რომელიც „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელი რგოლის წარმომადგენლებით დაკომპლექტდებოდა და ყარამანაშვილებისგან აქციებს მიიღებდა, სააკაშვილის ინტრიგის მოგერიებას წარმოადგენდა. ეს ვერსია მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მას საკმაოდ საინტერესო კითხვასთან მივყავართ: **შეძლებენ თუ არა ძველი „ნაცმოძრაობის“ ნანგრევებზე აღმოცენებული პარტიები კონდომინიუმის შენარჩუნებას გავლენის ძველ სფეროებზე და შეთანხმებულ მოქმედებას წინასაარჩევნო პერიოდში თუ „ძმათამკვლელი ომის“ მორევში გადაეშვებიან?**

ტელევიზიაზე საუბარმა მოიტანა და... მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში ტელეკომპანია „ზიკ“-ის წამყვანი გახდა, ალბათ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ არხის რეალური მფლობელების ვინაობის დადგენა საკმაოდ რთულია, მაგრამ უკრაინულმა „ესპრესო.ტვ“-მ საკმაოდ ვრცელი, დოკუმენტებით გამყარებული გამოძიების პროცესში დაამტკიცა (ნებისმიერ მსურველს შეუძლია იოლად იპოვოს ეს პუბლიკაცია ინტერნეტში), რომ რეალურად „ზიკ“-ი იანუკოვიჩის ოჯახთან მჭიდროდ დაკავშირებული „რეგიონების პარტიის“ გავლენიან წარმომადგენლებს ეკუთვნით. გამოდის, რომ მიხეილ სააკაშვილმა იანუკოვიჩის ხალხზე მუშაობა დაიწყო. პრინციპში, ალბათ, სჯობდა, პირდაპირ კიევის ცირკთან დამდგარიყო, თუმცა არსებითი მნიშვნელობა ამას უკვე, ალბათ, აღარ აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ „ევროპული საქართველო“ სააკაშვილის პარტიაზე სუსტია, მას თბილისის მერობის უკეთესი კანდიდატი ჰყავს. „ევრონაცებს“ შეუძლიათ, ნიკა მელიას (ან სხვა მსგავსი კალიბრის ფიგურას) გიგი უგულავა ან, რაც უფრო სავარაუდოა, ელენე ხოშტარია დაუპირისპირონ. ის არ ასოცირდება (ყოველ შემთხვევაში, პირდაპირ) სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულებთან; სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ შეიყვანეს „ნაცმოძრაობის“ სიაში 2016 წლის არჩევნების წინ. ვაკეში, ერთ-ერთ ყველაზე „ანტინაციონალურ“ უბანში, მან ხმების თითქმის 25% მოაგროვა, რაც არც ისე ცუდი მაჩვენებელია, და უგულავასთან ტანდემში, რომელიც, ასე თუ ისე, იცნობს მუნიციპალურ პრობლემატიკას, შეიძლება იოლად დაჯაბნოს სააკაშვილის ფავორიტი (მელია იქნება თუ ვინმე სხვა სათადარიგოთა სკამიდან). რეგიონებში სააკაშვილის პარტია, დიდი ალბათობით, „ევროპულ საქართველოზე“ უკეთეს შედეგს აჩვენებს, მაგრამ თბილისის მერის არჩევნებს მაინც ძალიან დიდი სიმბოლური და ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ სიტუაციაში, ალბათ ისაა, რომ ძველი და ახალი ნაცების გამოსვლამ ამ არჩევნებზე ორი კანდიდატით შეიძლება ხელი შეუწყოს იმას, რომ მეორე ადგილი დაიკავოს ფორმალურად დამოუკიდებელმა კანდიდატმა (სავარაუდოდ, ალეკო ელისაშვილი იქნება; ზოგიერთი სხვა ფიგურაც არ უნდა გამოვრიცხოთ), რომლის გარშემო, საზოგადოებრივ ჯგუფებთან ერთად, რიგი პარტიების ნამსხვრევებიც გაერთიანდებიან.

ამ ტრიოს, დიდი ალბათობით, კიდევ რამდენიმე „3-5-პროცენტიანი“ პოლიტიკოსი დაემატება, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა ხმების გარანტირებულ გახლეჩას და მმართველ პარტიას გამარჯვებისთვის კარგ პირობებს შეუქმნის. **მიუხედავად იმისა, რომ დღეს „ქართული ოცნების“ ხსენებისას ძალიან ბევრი ამომრჩეველი პირდაპირ გინებაზე გადადის, მოწინააღმდეგეთა სისუსტისა და (ნაციონალების შემთხვევაში) მათი ბნელი წარსულის გამო, ბიძინა ივანიშვილი ამ არჩევნებს მხოლოდ იმ შემთხვევაში წააგებს, თუ კანდიდატურების შერჩევის ან წინასაარჩევნო კამპანიის ეტაპზე ძალიან უხეშ შეცდომებს დაუშვებს.**

ბევრი მოქალაქე ამ ვარაუდმა შეიძლება დეპრესიაში ჩააგდოს, რადგან ისინი სულმოუთქმელად (და ამაოდ) ელოდებიან „მესამე ძალის“ გამოჩენას, რომელიც „ნაცქოცურ“ სისტემას ამოაყირავებს. ასეთი რამ ამ არჩევნებზე, დიდი ალბათობით, არ მოხდება, თუმცა პროტესტი სისტემის მიმართ შეიძლება გამოიხატოს საკმაოდ ფართომასშტაბიან ბოიკოტში, რომელიც გამარჯვებული კანდიდატის ლეგიტიმურობას (ფართო და არა ვიწრო იურიდიული გაგებით) ეჭვქვეშ დააყენებს, მაგრამ ამის მნიშვნელობა მხოლოდ მოგვიანებით, სავარაუდოდ, 2019-20 წლებში გამოჩნდება. **ის გალიზიანება, რომელიც მოსახლეობაში „ქართული ოცნების“ მიმართ დაგროვდა, უკვალოდ არ გაქრება, მაგრამ იმის ლოდინი, რომ ის მოულოდნელად თავისით (მაშინ, როდესაც თავისით პოლიტიკაში არაფერი ხდება) სასწაულებრივ გავლენას მოახდენს ადგილობრივი არჩევნების შედეგებზე, სამწუხაროდ, მხოლოდ ფუჭი ილუზიაა, რომელსაც რეალობასთან იმდენივე აქვს საერთო, რაც ზემოთ ნახსენებ რეიტინგს.**

**როდესაც სადმე წასასვლელად გთხოვენ: 1. ცნობას იმის შესახებ, სად მუშაობ; 2. საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის შესახებ ინფორმაციას; 3. მასპინძლის ვინაობას და მისამართს იმ ქვეყანაში, რომელშიც მიემგზავრები და მის თანხმობას; 4. სასტუმროს ნომრის ჯავშანს; 5. წინაწარ შეძენილ უკან გამოსაბრუნებელ ბილეთს — ეს არათუ „უვიზობა“, მგონი, ვიზის გამარტივებული წესით აღებაც კი აღარ გამოდის. უვიზობა არის ის, როდესაც დაადებ თავს და წახვალ, სადაც გინდა. არც ვინმე შეგეკითხება, სად მიდიხარ და რატომ, არც ფინანსურ მდგომარეობას გაგიკონტროლებს არავინ.**



ბაქარ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სამთავრობო ევროტყუილი და ღამურას მენტალიტეტი

**აკაკის ცნობილი „ღამურა“, რომელიც, თუ არ ვცდები, უკვე ამოიღეს სასკოლო პროგრამიდან, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად მიუღებელი ნაწარმოები იქნება თანამედროვე „ევროქართველებისთვის“. აკი, სწორედ ეს გალექსილი იგავი ასახავს ყველაზე კარგად ისეთ ადამიანებს, რომლებიც სიხარულით აჭყლოპინდებიან ხოლმე — აგე, დიადმა და კულტურულმა ევროპამ გადმოგვხედა და შეგვიფარა ეს ველური და უკულტურო ქართველებიო.**



**სიმბოლურია, რომ საქართველოდან გამარტივებული ვიზით (და არა უვიზოდ) გასული პირველი მოქალაქე პრემიერმინისტრი გიორგი კვირიკაშვილი იყო. სწორედ პოლიტიკოსებისთვის და არასამთავრობო სექტორის უსაქმური წარმომადგენლებისთვის გაკეთდა ყოველივე ეს**

შარზე მყოფთათვის ახლავე განვმარტავ: აქ ლაპარაკი არ არის ევროპაში ოჯახის ფიზიკურად გადასარჩენად და შვილების გამოსაკვებად გადახვეწილ ქართველთა ნაწილზე. მათზე ვწერ, ვინც სიხარულის ყიჟინით გარბის ევროპისკენ და მეტიც, ერთგვარად უკადრისობს კიდეც ქართველობას, — აქაოდა, მე ჩემი თანამემამულეების, ქართველებისნაირი კი არ ვარ, ქართველებისგან გამორჩეული ქართველი, უფრო ზუსტად, სულით ევროპელი, შინაგანად „ეიფელი“ ვარო.

ისედაც უყვარს ჩვენს განათლების გაუნათლებელ მინისტრს ცნობილი ზღაპრებისა თუ ნაწარმოებების გადაკეთება და აკაკის „ღამურაც“ უფრო შევუსაბამოთ რეალობას და, ქართველებზე თუ მოვახდენთ ინტერპრეტაციას, საწყის სტროფში ნაცვლად ფრაზისა „ერთმა უგნურმა თაგუნამ იუკადრისა თაგვობა“ აშკარად ჯობია, ჩავწეროთ ასე: **„ბევრმა უგნურმა თაგუნამ იუკადრისა თაგვობა“.**

სწორედ **უგუნური თაგვებივით ატეხა სიხარულის წრუწუნი ბევრმა ქართველმა „თაგუნამ“, როდესაც 28 მარტს ევროპის შესაბამისმა სტრუქტურებმა შენგენის ქვეყნებში ვიზების ლიბერალური წესით, გამარტივებულად გაცემა გამოგვიცხადეს.**

არ ვამბობ, რომ ე.წ. ვიზალიბერალიზაცია უარყოფითი და ცუდი ამბავია, **მაგრამ 3-დღიანი ქაჯური ზარ-ზეიმი მართლა ძალიან „უგუნურ-თაგუნური“ მოვლენა იყო და მიხარია, რომ ქართველები მასობრივად არც აჰყვნენ ამ უგუნურებას.**

„ევროპელობას“ ბევრი რამით გვაჩვევენ და გვასწავლიან, რეალური ევროპული ღირებულებების გარდა. არავინ ფიქრობს ჩვენს ღირსეულ ხელფასებზე, შრომის უფლების დაცვაზე, საარსებოდ საკმარის პენსიაზე და ა. შ.

**თურმე ევროპელები მხოლოდ იმით უნდა გავხდეთ, რომ ზებრა-გადასასვლელზე მანქანები შევაჩეროთ და სკვერებსა და ქუჩებში ნაგავი არ დავყაროთ. ამ მიზნით ქმნიან ხელოვნურ ტელესიუჟეტებს, რომლებშიც ნაჩვენებია, როგორ არ აჩერებენ ქართველი მძღოლები „ზებრაზე“. ამას წინათ, ტელევიზიით ვნახე სიუჟეტი, ჟურნალისტი გოგონა როგორ მოულოდნელად გადაუხტებოდა ხოლმე ავტომობილებს ტროტუარიდან ზებრა-გადასასვლელზე და მერე მაყურებლის დასანახავად შარს სდებდა, — რატომ არ გააჩერე და რატომ არ გამატარეო. საზოგადოების იმხელა შეურაცხყოფაზეც კი მიდიან, რომ აგერ, სპეციალური „ინსპექტორები“ უნდა გამოუშვან ქუჩებში, რომლებმაც „ბინძურ“, „ღორ“ და „უკულტურო“ ქართველ ხალხს ქუჩების დაბინძურებაში ხელი უნდა შეუშალონ.**

რაც შეეხება ნამდვილ ევროპას, ისევ და ისევ გვატყუებენ. საქართველოს მთავრობა უკვე იქამდეც კი მივიდა, რომ არა, უბრალოდ, პერსპექტივაში გვატყუებს, — ევროპასთან ამა და ამ ტიპის ურთიერთობა ამა და ამ დადებით შედეგებს მოგვიტანსო, არამედ უკვე ვერბალურ და ოფიციალურ ტყუილსაც კი გვასმენინებენ პირდაპირ ეთერში!

„რა საბუთები უნდა მოაგროვოს საქართველოს მოქალაქემ, თუკი მას სურს ევროპის ქვეყნებში, შენგენის ზონაში უვიზოდ გამგზავრება“ — ასეთი სამთავრობო რეკლამებით აივსო ქართული ტელევიზები.

ის, რომ ქვეყნის მთავრობა საკუთარ მოქალაქეებს აწვდის ინფორმაციას, რა საბუთები უნდა იქონიონ უცხო ქვეყნებში გადასაადგილებლად, რა თქმა უნდა, კარგია. უბრალოდ, აქ ერთი მიზანმიმართლი ტყუილია და ეს ტყული სიტყვა **„უვიზოში“** აისახება.

**საქართველოს მთავრობას ძალიან უნდა, დახატოს, რომ ევროპა ჩვენი უანგარო და თავგადაკლული მეგობარია და მან საქართველოს მოქალაქეებს თავის ტერიტორიაზე უვიზოდ გადაადგილების საშუალება მისცა.**

ამიტომაც ვრცელდება ასეთი უტიფარი ტყუილი და ფრაზა — „ევროპის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლა“ — და ისე მკვიდრდება საქართველოს მოქალაქეების ცნობიერებაში, როგორც ზესტაფონიდან ხარაგაულში წასვლა.

არადა, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ოფიციალურ დოკუმენტებშიც და პროტოკოლურადაც **ეს არანაირად არ არის „უვიზო“ მიმოსვლა.**

**ის, რაც შენგენის ზონამ საქართველოს მიმართ დაუშვა, არის მხოლოდ და მხოლოდ ვიზების გამარტივებული გაცემა საქართველოს მოქალაქის პასპორტის მფლობელ ადამიანებზე.**

**საქართველოს მოქაალქეებს ვიზა ისევე სჭირდებათ შენგენის ზონის ქვეყნებში შესასვლელად, როგორც ადრე სჭირდებოდათ. უბრალოდ, ამ ვიზას უკვე არა ამა თუ იმ ქვეყნის საელჩოში, არამედ პირდაპირ იმ ქვეყნის აეროპორტში აძლევენ, რომელშიც ჩაფრინდებიან. დაემატა მხოლოდ ერთ დეტალი — თუ იქაურ მესაზღვრეებს რამე არ მოეწონათ, ვიზას არ ჩაურტყამენ და უცერემონიოდ გამოაბრძანებენ უკან, ისე, რომ ხარჯებსაც კი არავინ აუნაზღაურებს.**

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ იმ შესაგროვებელ საბუთებს, რომლებიც ადრე იყო საჭირო ვიზის ასაღებად, არათუ მოაკლდა რამე, არამედ დაემატა, მაგალითად, სასტუმროს ნომრის დაჯავშნა.

და, **როდესაც სადმე წასასვლელად გთხოვენ: 1. ცნობას იმის შესახებ, სად მუშაობ; 2. საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის შესახებ ინფორმაციას; 3. მასპინძლის ვინაობას და მისამართს იმ ქვეყანაში, რომელშიც მიემგზავრები, და მის თანხმობას; 4. სასტუმროს ნომრის ჯავშანს; 5. წინაწარ შეძენილ უკან გამოსაბრუნებელ ბილეთს — ეს არათუ „უვიზობა“, მგონი, ვიზის გამარტივებული წესით აღებაც კი აღარ გამოდის.**

უვიზობა არის ის, როდესაც დაადებ თავს და წახვალ, სადაც გინდა. არც ვინმე შეგეკითხება, სად მიდიხარ და რატომ, არც ფინანსურ მდგომარეობას გაგიკონტროლებს არავინ.

მიაქციეთ ყურადღება: არ ვამბობ არაფერს თუნდაც გამარტივებული და თუნდაც უვიზო მიმოსვლის სარგებლიანობა-უსარგებლობაზე. უბრალოდ, იმას აღვნიშნავ, რომ საქართველოს მთავრობა უკვე ცრუპენტელობაზე გადავიდა და ოფიციალურ დოკუმენტებში არსებულ ტერმინოლოგიასაც კი ასე თავხედურად ამახინჯებს და საკუთარ მოქალაქეებს ისე უნამუსოდ ატყუებს, რომ ტერმინი „ვიზების გამარტივებული წესით გაცემა“ სრულიად უტიფრად ჩაანაცვლეს სიტყვებით „უვიზო მიმოსვლა“.

თორემ ისე, რა სარგებელი შეიძლება მოგვიტანოს ევროპის ქვეყნებში, გინდათ, უვიზოდ, გინდათ, უპასპორტოდ ბოდიალმა, ეს თავისუფლად შეგვიძლია „გამოვიცნოთ“ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ „შალახოთი“ და მთელი ამბებით ევროკავშირთან გაფორმებული ე.წ. ასოცირების ხელშეკრულების შედეგებით.

„ასოცირების ხელშეკრულების“ გაფორმებისას „შალახოს“ რიტმებზე აცუნდრუკებულმა ქართველმა პოლიტიკოსებმა რაც მოგვატყუეს, კარგად გვახსოვს ყველას.

არიქა, აშენდა ქართველი გლეხკაციო! აწი ევროპის ბაზარზე ისე „ვიგულავებთ“, რომ „დეზერტირებში“ ვიღა დარჩება, ყველა გაიქცევა და თავის კიტრს, პომიდორს, კარტოფილს, ტარხუნას თუ კეჟერა ფხალს სტრასბურგის, პარიზის, ლისაბონის, ანტვერპენისა და სხვა ქალაქების ბაზრებში ათჯერ ძვირად გაყიდისო.

ტყუილების გუდა ისე გაიბერა, რომ საქართველოდან ევროპის მიერ მოთხოვნილი ხორცის, ღვინის, ციტრუსისა და თხილის მოცულობაზეც კი დაიწყეს საუბარი, აქაოდა, ევროპა ჩვენგან ითხოვს, ამდენი ტონა ხორცი და სოფლის მეურნეობის პროდუქტი შევიტანოთ იქაურ ბაზარზე და ჩვენთვის უკვე დახლებიც წინასწარ არის მომზადებულიო.

დედას გაფიცებთ, თუკი ვინმემ იცით, თუნდაც ერთი შემთხვევა, რომ რომელიმე ქართველმა გლეხმა ამ 4 წლის განმავლობაში, ანუ „ევროდარბაზში“ გაჟღერებული „შალახოს“ ჰანგების შემდეგ, ევრობაზარზე თუნდაც ერთ კილო ხორცი, ერთ ლიტრი ღვინო, ერთი ცალი ვაშლი მაინც გაყიდა, უმორჩილესად გთხოვთ, პირადად მე მომაწოდოთ ამის შესახებ ინფორმაცია, რათა სასწრაფოდ მოვიხადო „ევრობოდიში“. ვიმეორებ: ვსაუბრობ ადამიანებზე, გლეხებზე და არა რომელიმე მსხვილ კომპანიაზე, რომელიც ოფშორულ ზონაშია რეგისტრირებული და მხოლოდ ფორმალურად არის ქართული კომპანია.

ასევეა ახლაც — **ვინც მუშაობს და სამსახური აქვს, იმას 90 დღით არავინ გაათავისუფლებს სამსახურიდან ევროპაში „საგულაოდ“. ვინც სამსახურს ვერ შოულობს, იმას არც აქვს იმდენი ფული, რომ ევროპაში „საგულაოდ“ წავიდეს. ეგ კი არა, ჩემი მეზობელი უშანგა თავის 90 დღის პენსიას აგროვებს, კაპიკს კაპიკზე ადებს, პურს არ ყიდულობს, რათა გაზაფხულზე დაფეხვილ „ოპელში“ როგორმე ბენზინი ჩაასხას და სოფელში მამა-პაპის სახლი მოინახულოს, მოხნას, დათესოს, რათა მერე ოჯახს ცოტა სურსათი ჩამოუტანოს გამოსაზამთრებლად.**

იმედია, ახლა იმ ნაცი ქალბატონივით არავინ მეტყვის — „ოპელი“ ხომ ჰყოლია და ბენზინის ფული ხომ ჰქონია, სხვა რაღა უნდაო?!

ფაქტია, რომ უშანგასა და მისნაირებისთვის არავითარი აზრი არ აქვს, ევროპასთან მიმოსვლა ვიზიანი იქნება, გამარტივებული ვიზით თუ სულაც უვიზოდ.

ვინღა დარჩა? **დარჩნენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც ერთი ადგილის ფხანასა და საკუთარი ქვეყნის დამცირება-გაუბედურებაში იღებენ უცხოურ გრანტებს და ამით ცხოვრობენ. აი, მათთვის კი არის რაღაც შეღავათი ევროპასთან გამარტივებული ვიზებით მიმოსვლა, თუმცა დიდი არც არაფერი — ისინი ისედაც მიმოდიოდნენ, როცა უნდოდათ, და ახლაც ივლიან. უბრალოდ, ვიზის მისაღებად ერთ დღით ნაკლები დასჭირდებათ, რადგან ვიზას საელჩოს ნაცვლად აეროპორტში მიიღებენ.**

ამიტომ, მართლაც **სიმბოლურია, რომ საქართველოდან გამარტივებული ვიზით (და არა უვიზოდ) გასული პირველი მოქალაქე პერემიერმინისტრი გიორგი კვირიკაშვილი იყო. სწორედ პოლიტიკოსებისთვის და არასამთავრობო სექტორის უსაქმური წარმომადგენლებისთვის გაკეთდა ყოველივე ეს, თორემ ძნელი დასაჯერებელია, აეროპორტში დალოდებოდნენ რომელიმე გურჯაანელ ან ჩოხატაურელ გლეხს, რომელიც თავისი დანაზოგით ევროპის გარშემო 90 დღით სამოგზაუროდ წასვლას გადაწყვეტდა, და მის გარშემო აეტეხათ საზეიმო აურზაური. ასეთ შემთხვევაში ხომ 90 დღეზე გაცილებით მეტხანს მოუწევდათ ლოდინი.**

და, რადგან ბოლო პერიოდში, ყველაფერზე წინსართად სიტყვა „ევროს“ დამატება დაგვჩემდა, მეც ასე ვიტყვი: აქ დავასრულებ ჩემს „ევროსტატიას“, პატივცემულო მკითხველო, და სხვა რა გზა მაქვს?! კვლავ მივადევნებ თვალყურს ქართულ ტელეარხებზე გადაცემულ სამთავრობო ევროტყუილებს.

ვაი ქკუისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვილაცას, ნებისმიერს, თუ მოესურვება, ველური კანაფისგან ე.წ. მანაგუა მოხარშოს და იკაიფოს, თამამად შეუძლია, სასწორით ხელში წავიდეს, ბალახი მოკრიფოს, აწონოს და ერთი კილოგრამი კანაფი მშვიდად მიიტანოს სახლში, არავინ არაფერს ეტყვის. ყოველდღიურად რომ ასე იაროს, „მანაგუის“ იმდენ დოზას გააკეთებს, მთელ უბანს ეყოფა.**

**გასულ კვირას თბილისში საზარელი ავარია მოხდა. ალმაშენებლის ხეივანის გზატკეცილზე დედა-შვილს ავტომობილი დაეჯახა და 11 წლის გოგონა ადგილზე მოკლა, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი დედა კი დღემდე მკურნალობის კურსს გადის. დამნაშავე მძღოლი შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააკავა და მას ნარკოტიკული თრობა დაუდგინდა, ანუ, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, დამნაშავე კაიფში იყო. მის კაიფს კი 11 წლის ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა.**

# რატომ ფიქრობს იუსტიციის სამინისტრო, რომ 300 კაცისთვის სამყოფი ნარკოტიკის ქონა არ უნდა ისჯებოდეს?!

როგორც ჩანს, ეს შემთხვევაც არ შეიქნა საბაბი იმისა, რომ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, იუსტიციის სამინისტროს ცვლილებები მოემზადებინა და პარლამენტისთვის წარედგინა. უფრო კონკრეტულად კი, მთავრობამ პარლამენტს ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი წარუდგინა. კანაფის შემთხვევაში, დიდი ოდენობა იქნება 140 გრამი, 50 გრამის ნაცვლად, განსაკუთრებით დიდი ოდენობა — 1 000 გრამი, 250 გრამის ნაცვლად; მარიხუანის შემთხვევაში, გამომშრალი დიდი ოდენობა იქნება — 70 გრამი, 50 გრამის ნაცვლად, ნედლი დიდი ოდენობა — 140 გრამი, 100 გრამის ნაცვლად. კანაფისა და მარიხუანის კანონით დადგენილი მცირე ოდენობები უცვლელი რჩება. არ იცვლება გამომშრალი და ნედლი მარიხუანის განსაკუთრებით დიდი ოდენობები.

ანუ, რა გამოდის? **ვილაცას, ნებისმიერს, თუ მოესურვება, ველური კანაფისგან ე.წ. მანაგუა მოხარშოს და იკაიფოს, თამამად შეუძლია, სასწორით ხელში წავიდეს, ბალახი მოკრიფოს, აწონოს და ერთი კილოგრამი კანაფი მშვიდად მიიტანოს სახლში, არავინ არაფერს ეტყვის. ყოველდღიურად რომ ასე იაროს, „მანაგუის“ იმდენ დოზას გააკეთებს, მთელ უბანს ეყოფა. გამომშრალი მარიხუანის შემთხვევაში კიდევ უფრო საინტერესო რამეს ვაწყდებით:** ერთი ასანთის კოლოფი გამომშრალი მარიხუანა დაახლოებით 4-5 გრამს იწონის, ანუ 70 გრამი გამომშრალი მარიხუანა დაახლოებით 15 კოლოფია. 15 ასანთის კოლოფი მარიხუანა, თუ ხარისხიანია, დაახლოებით 300 კაცს ეყოფა და... რატომ ფიქრობს იუსტიციის სამინისტრო, რომ 300 კაცისთვის სამყოფი ნარკოტიკის ქონა არ უნდა ისჯებოდეს, ნამდვილად ვერ გეტყვით.

ესეც არ იყოს, ვინმემ იცის, როგორ უნდა მოიქცეს პატრული, მაგალითად, ავტომობილის გაჩერებისას, თუ ეჭვი შეეპარება, რომ მძღოლი ნარკოტიკული თრობის ქვეშაა, ანუ პოტენციური ქილერია? ჩასასუნთქი აპარატი ამას ვერ გამოავლენს, შესაბამისად, მძღოლი გადასაყვანი იქნება და მან ანალიზი უნდა ჩააბაროს. მარიხუანის მოხმარების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი თვალების სიწითლეა და ღამენათევი მძღოლი შეიძლება ისე მოხვდეს ნარკოცენტრში, რომ გონს მოსვლაც ვერ მოასწროს.



აქეთ საკონსტიტუციო სასამართლო და იქით იუსტიციის სამინისტრო ზურგს იმით იმაგრებს, რომ მსოფლიო პრაქტიკაზე მიგვითითებს. უფრო მეტიც, ამ უწყებების წარმომადგენლებმა პირად საუბარში გვითხრეს, ცოტა ხნის წინათ არგენტინის პარლამენტმა მარიხუანის არათუ მოხმარებას, არამედ გაშენებას დაუჭირა მხარიო. არგენტინის პარლამენტის ოფიციალურ გვერდზე კი წერია: „მძიმე ავადმყოფობისას მოქალაქეებს მარიხუანის მიღების საშუალება ექნებათ მხოლოდ სამედიცინო მიზნით. გარდა ამისა, პარლამენტის გადაწყვეტილებით, არგენტინაში სამკურნალო მიზნით მარიხუანის გაშენება ნებადართული იქნება“.

**არგენტინაში მარიხუანა სამედიცინო თვალსაზრისით დაუშვეს. ის, რომ კანაფის ზეთი სასარგებლოა და საქართველოშიც იყიდება, არავინ დავობს. არგენტინელ პარლამენტარებს აზრად არ მოსვლიათ, დაეწერათ, მარიხუანა კაიფისთვის მიიღონ ჩვენმა მოქალაქეებმა და მერე საჭესთან მსხდომებმა ბავშვები დახოცონო...**

როგორც კულუარებში ამბობენ, თვითმმართველობის არჩევნების წინ მარიხუანის ამ დოზით ლეგალიზება, მმართველი გუნდის აზრით, ახალგაზრდების გააქტიურებას გამოიწვევს. უფრო მეტიც, არ გამორიცხავენ, რომ კანონით დადგენილი დოზები საარჩევნო შტაბებში, უბრალოდ, მაგიდაზე ეყაროს და ნებისმიერმა მსურველმა შეძლოს მარიხუანის მოხმარება. შედეგად, გაბრუებულ საზოგადოებაზე ზემოქმედებაც უფრო ადვილია და ახალგაზრდების მოხიბვლაც — საარჩევნო შტაბში პლანი იშოვება, ძმაო...

სხვა, აბა, რა გითხრათ? ერთ-ერთმა **ნაცნობმა პოლიციელმა თქვა, აღარ ღირს ორგანოში მუშაობა, ნარკომანს თუ არ დავიჭერ, კაიფში თუ კაცი იქნება და ვერ შევეხები, მაშინ ქურდობაც ლეგალიზებული გახადონ.** იმავე პოლიციელმა ისიც თქვა, ერთი ასანთის კოლოფი მარიხუანა ას ლარზე მეტი ღირს და რატომ არის ორი ათასი ლარის ღირებულების ნარკოტიკი ლეგალიზებული, ვინმემ ამიხსნას. თუ ასეა, მაშინ **ორი აბი სუბოტექსის ქონაც დაუშვან, ორი ათას ლარზე მეტი არც ეგ ღირს და, რაც მთავარია, სუბოტექსით თრობა და მარიხუანით კაიფი ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებაო.**

**ორი აბი სუბოტექსის ქონაც დაუშვან, ორი ათას ლარზე მეტი არც ეგ ღირს და, რაც მთავარია, სუბოტექსით თრობა და მარიხუანით კაიფი ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებაო**

**ბესო ბარბაქაძე**

# რამდენი უცხოელი სტუდენტი სწავლობს საქართველოში

**ბოლო წლებია, თბილისში თვალში საცემად მომრავლდნენ უცხოელები. მათი უმრავლესობა სტუდენტია.**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) რეზიდენტებისა და პროფესიულ პროგრამებში სულ ჩართულია 6 643 უცხოელი. კერძოდ, ბაკალავრიატის პროგრამაში — 3822; მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსის და რეზიდენტურის პროგრამებში — 2805; პროფესიულ პროგრამაში — 16, მათ შორის 1861 ქალია. ყველაზე მეტი უცხოელი ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სპეციალობებზე სწავლობს — 3805 კაცი (1164 — ბაკალავრიატზე, 2641 — მაგისტრატურაზე, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე, რეზიდენტურაზე); შემდეგ მოდის სოციალური მეცნიერებები: ბიზნესი და სამართალი — სულ 2044 ახალგაზრდა. ყველაზე ცოტა უცხოელი სოფლის მეურნეობის სპეციალობებს ეუფლება — 3 კაცი. სულ კი **2015—2016 წლებში საქართველოს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში 90 ათასი სტუდენტი სწავლობდა, კერძო სასწავლებლებში — 42 ათასი.**

**ლუკა მაისურაძე**

**P.S. „ტერორიზმისა და პოლიტიკური ძალადობის კვლევის ცენტრის“ დირექტორ ბადრი ნაჭყებიას განცხადებით, ერაყიდან — 50, სირიიდან — 28, ლიბიიდან 14, ხოლო ავღანეთიდან 1 პირი საქართველოს მოქალაქეობის მიღებას ითხოვს. 2015 წლის 1 მარტიდან 2017 წლის 1 მარტამდე კი 724 თურქმა მოითხოვა საქართველოს მოქალაქეობა; რუსეთიდან 6.280 მოქალაქე ითხოვს საქართველოს მოქალაქეობას; ასევე, 934 სომეხს სურს საქართველოს მოქალაქეობის მიღება; ინდოეთიდან 21 პირი ითხოვს საქართველოს მოქალაქეობას, ირანიდან — 250, იორდანიიდან კი — 35.**

# 2016 წელს იძულებითი წესით აუქციონზე უძრავი ქონება 2 418 ოჯახს გაუყიდეს

**„2016 წელს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ იძულებით აუქციონზე გაყიდული უძრავი ქონების რაოდენობამ 2015 წელთან შედარებით 26,7%-ით მოიმატა, ხოლოდ 2014 წელთან შედარებით — 40,4%-ით. აღსრულების ეროვნული ბიუროს ინფორმაციის მიხედვით, შარშან იძულებით აუქციონზე 2 418 უძრავი ქონება გასხვისდა“, — იუწყება ინტერნეტგამოცემა „კომერსანტი“.**




ბოლო წლებში კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა თუ კერძო იპოთეკარების მიერ დასაკუთრებული უძრავი ქონების რაოდენობამ რამდენიმე ათასს გადააჭარბა. **2014-16 წლებში იძულებით აუქციონზე უძრავი ქონება 6 047 ოჯახმა დაკარგა და საფრთხე კიდევ ბევრს ემუქრება. უფრო მეტია იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც ვალის გამო სხვადასხვა ტიპის ქონების იძულებით გასხვისება თვითონ მოუწიათ.** ზუსტი სტატისტიკა, რამდენმა ადამიანმა დაკარგა უძრავი ქონება, არ არსებობს, მაგრამ მოვალეთა რეესტრში ჩანაწერების რაოდენობა, რომელიც განუხრელად იმატებს, მიუთითებს, რომ ქონების დაკარგვის საფრთხე დღესაც ბევრს ემუქრება. ამჟამინდელი მონაცემებით, მოვალეთა რეესტრში ჩანაწერების რაოდენობა **191 600-ს** აჭარბებს.

2014 წელს იძულებით გაყიდული უძრავი ქონების რაოდენობამ 1 721 ერთეული შეადგინა, 2015 წელს — 1 908, ხოლო 2016 წელს აუქციონზე გაიყიდა 2 418 უძრავი ქონება. აღსანიშნავია, რომ აღსრულების ეროვნულ ბიუროში არსებული ზემოხსენებული სტატისტიკური ინფორმაცია რეალიზებული უძრავი ქონების შესახებ შეიცავს ერთიან მონაცემს არასაცხოვრებელი და საცხოვრებელი ფართობების, აგრეთვე, მიწის ნაკვეთების შესახებ. რაც შეეხება წინა წლებს, 2013-ში ქონება 1 946 ადამიანმა დაკარგა, 2012-ში — 1 953-მა, 2011 წელს კი 1 850 ოჯახს ჩამორთვა უძრავი ქონება იძულებითი აუქციონის წესით, ანუ 2011—16 წლებში იძულებითი აუქციონის წესით სულ გაიყიდა **11 796** ერთეული უძრავი ქონება.

**მოვალეთა რეესტრში ჩანაწერების რაოდენობა, რომელიც განუხრელად იმატებს, მიუთითებს, რომ ქონების დაკარგვის საფრთხე დღესაც ბევრს ემუქრება. ამჟამინდელი მონაცემებით, მოვალეთა რეესტრში ჩანაწერების რაოდენობა 191 600-ს აჭარბებს**

ვაი ქვეყნისაგან

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გადამწყვეტ მატჩი რუმინეთთან, ძირითადად, ახალგაზრდებით დაკომპლექტებულმა ჩვენმა ნაკრებმა წააგო და, ანთიმოზ ივერიელის თასის გარდა, ევროპის ერთა თასიც დაკარგა. რაგბიში არსებულ პრობლემებზე ნაკრების ლიდერებიც დაუფარავად საუბრობენ, იმასაც არ მალავენ, რომ მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალიან გაუჭირდებათ და... ექვს ერში საქართველოს დამატების თემამ რუმინეთთან წაგების შემდეგ გაურკვეველი ვადით რომ გადაიწია, ესეც ფაქტია.**

**ქართულ სპორტში არსებულ პრობლემებზე ცოტა ხნის წინათ რამდენიმე წერილი გამოვაქვეყნეთ და ლამის სამშობლოს მოღალატეებად გამოგვაცხადეს — როგორ ბედავთ და პრობლემებზე წერთ, სპორტის პრაქტიკულად ყველა სახეობა არნახულად ფინანსდება და ყვავისო. განსაკუთრებით ფეხბურთისა და რაგბის ქომაგები აქტიურობდნენ და ჩვენს ვარაუდს, რომ დიდი დაფინანსება ავტომატურად შედეგს არ ნიშნავს, არც კი განიხილეს. არადა, ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ფინანსებს სათანადოდ უნდა გამოყენება, თორემ უმიზნოდ დახარჯულ თანხებს შედეგი არ მოაქვს, მაგრამ ოპონენტები მაინც ვერ დავარწმუნეთ...**

# გამორიცხულია, გყავდეს კარგი საფეხბურთო ნაკრები, როცა პრაქტიკულად არ გაქვს ეროვნული ჩემპიონატი




**მიმდინარე სეზონის წინ ფეხბურთის ფედერაციამ განვითარების ხუთწლიანი გეგმა წარადგინა და ითქვა, რომ ამ საქმისთვის 250 მილიონი დაიხარჯებოდა. ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კლუბებს დაფინანსება გაუზარდეს და მათაც ახალი ფეხბურთელები თამამად დაიმატეს, ხელფასებიც მოუმატეს და... ზედ ჩემპიონატის სტარტზე გაირკვა, რომ იმავე ფედერაციამ, რომელმაც კლუბებს დაფინანსება გაუზარდა, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის თანხა გაუორმაგა. რა გამოდის? ფედერაციამ კლუბებს ფული მისცა, — მოძლიერდითო და შემდეგ ეს ფული უკანვე გამოართვა. შედეგად მივიღეთ ის, რომ, თუ კლუბები აქამდე ჩემპიონატში მონაწილეობისთვის 40 ათასს იხდიდნენ, ახლა 80 ათასის გადახდა მოუწიათ**

მას შემდეგ საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა ორი მატჩი ითამაშა: ერთი — ოფიციალური — სერბეთთან და მეორე — ამხანაგური — ლატვიასთან. სერბეთთან შეხვედრაში მაყურებელმა „დინამო არენა“ ბოლომდე შეავსო და შეავსო იმ იმედით, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები მოახერხებდა და პრინციპულ მატჩს მოიგებდა. შეგახსენებთ, რომ ამ შეხვედრაში წაგება ჩვენთვის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის თეორიული შანსის დაკარგვის ტოლფასი იყო. ასე თუ ისე, ნორმალურად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ, მეორე ნახევარში საინტერესო სურათი ვიხილეთ — მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა და იმ გუნდს სერბეთი ერქვა. მათ მშვიდად მიიყვანეს საქმე გამარჯვებამდე და, შეიძლება ითქვას, ისე, რომ ოფლიც არ გამოიდინეს, კლასის ხარჯზე დაგვამარცხეს. შემდეგ დაიწყო მიზეზებზე საუბარი, განხილვა, მწვრთნელისა და ფეხბურთელების კრიტიკა, მაგრამ მთავარ თემას მაინც წაუყრუეს — გამორიცხულია, გყავდეს კარგი ნაკრები, როცა პრაქტიკულად არ გაქვს ეროვნული ჩემპიონატი. სწორედ ამაზე ვწერდით მაშინ, როცა ლამის ჯვარზე გაგვაკრეს. მას შემდეგ კიდევ რამდენიმე საინტერესო ინფორმაცია მოვიძიეთ, რომელიც, ასევე, ეხება ფინანსებს.

**მიმდინარე სეზონის წინ ფეხბურთის ფედერაციამ განვითარების ხუთწლიანი გეგმა წარადგინა და ითქვა, რომ ამ საქმისთვის 250 მილიონი დაიხარჯებოდა. ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კლუბებს დაფინანსება გაუზარდეს და მათაც ახალი ფეხბურთელები თამამად დაიმატეს, ხელფასებიც მოუმატეს და... ზედ ჩემპიონატის სტარტზე გაირკვა, რომ იმავე ფედერაციამ, რომელმაც კლუბებს დაფინანსება გაუზარდა, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის თანხა გაუორმაგა. რა გამოდის? ფედერაციამ კლუბებს ფული მისცა, — მოძლიერდითო და შემდეგ ეს ფული უკანვე გამოართვა. შედეგად მივიღეთ ის, რომ, თუ კლუბები აქამდე ჩემპიონატში მონაწილეობისთვის 40 ათასს იხდიდნენ, ახლა 80 ათასის გადახდა მოუწიათ.**

„ფედერაციამ თანხები რომ მოიძია და მოგვცა, ძალიან კარგია. ასევე დადებითი იყო, როდესაც ბურთებით და პროგრამით მომარაგება გადაწყვიტა. მაგრამ საბაზისო თანხა მთლიანად ჩვენ უნდა მოგვხმარებოდა. ამიტომ კლუბებისთვის საწევროს გაზრდის წინააღმდეგი ვარ. არც ეს და არც ფონდის დარიცხული ფულის ფედერაციისთვის მიცემა სასიამოვნო ფაქტი არ არის. ჩვენ უსპონსორო კლუბი ვართ და კიდევ 100 ათასის დაკლება წელში გაგვტეხავს. სხვათა შორის, ქულაზე ასაღები თანხებიც შემცირდა. თავიდან ითქვა, რომ ქულის აღებისთვის 11 ათას ლარს მივიღებდით, ანუ მოგებისთვის — 33 ათასს. ახლა კი მოგების პრემია 21 ათასამდე შემცირდა. ფეხბურთელებთანაც უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი და მათთვის ხელფასების ლამის განახევრება მოგვიწია. ბიჭებს ვაიმედებ, რომ სპონსორი გამოჩნდება, ქულებისთვის თანხებს ავიღებთ და დანაკლისს ამით ავუნაზღაურებ. მაგრამ, ათასი პრობლემა რომ გვაქვს, როგორ მოვაგვარო? ნორმალურ ფორმასაც ვერ ვყიდულობდით და „ლიდერბეთის“ ხელმძღვანელებმა გვიშველეს. კაცები არიან და მათი დახმარებით ერთი არასრული ეკიპირება შევიძინეთ. „ადიდასის“ წარმომადგენელი **გიორგი გოგოლაძე** დაგვეხმარა და ფორმები, ფაქტობრივად, ნახევარ ფასში გვაჩუქა. ამ ყველაფერზე ფედერაციასა და სახელმწიფოს კი არ ვსაყვედურობ, მესმის, რომ ქართული ფეხბურთის განვითარება ყველას უნდა და რომ ქვეყანაში გაჭირვებაა. მაგრამ ეს დაფინანსება მწირი და არასაკმარისია და იმაზე ვდარდობ, გუნდი როგორ შევინარჩუნო და გავაძლიერო“, — განგვიცხადა ქობულეთის „შუქურას“ პრეზიდენტმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა **რევაზ ჩელებაძემ.**

არც ერთი კლუბის შეფი ფედერაციის ხათრით საჯაროდ არ ამბობს, მაგრამ ზუსტად ვიცით, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კლუბებისთვის ის ბურთები შეიძინა, რომლითაც ჩემპიონთა ლიგაზე თამაშობენ, — ანუ ხარისხიან ბურთებს მიეჩვიონ ჩვენი ფეხბურთელებიო. ჰოდა, **ეს ბურთები ყველა კლუბს შეაძენინეს და თითოში 700 ლარი გადაახდევინეს, არადა, ბურთი, ოფიციალურად 109 დოლარი ღირს.**

**„აბა, როგორ გინდა? ფედერაცია მოცემულ ფულს უკან ასე, ოფიციალური გზებით იბრუნებს. არადა, ჩემპიონთა ლიგაზე არც ერთი ქართული კლუბი არ თამაშობს, ვერც ითამაშებს კაი ხანს და რისთვის გვჭირდება ამ ბურთებზე მიჩვევა, ვერ ვხვდები“,** — გვითხრა ერთ-ერთი კლუბის მთავარმა მწვრთნელმა.

ნაკრების თამაშს დავუბრუნდეთ. **სერბეთის შემდეგ ლატვიას გავეჯიბრეთ ამხანაგურად და ხუთბურთიანი სხვაობით მოვიგეთ. ატყდა ერთი ამბავი, — სწორ გზაზე ვდგავართ, აგერ, ამხანაგურ შეხვედრაში ლატვიას მოვუგეთო და ფედერაციამ სასწრაფოდ დაგეგმა კიდევ ერთი მოსაგები ამხანაგური მატჩი — 7 ივნისს თბილისში სენტ კიტსისა და ნევისის ნაკრებს შევხვდებით. ყოფილა ასეთი ქვეყანა და ნაკრებიც ჰყოლია თურმე.** ვინც არ იცის (ჩვენც არ ვიცოდით), ეს არის ორი კუნძულისგან — სენტ კიტსისა და ნევისისგან — შემდგარი ფედერაციული სახელმწიფო კარიბის ზღვაში. ქვეყნის მეთაურია დიდი ბრიტანეთის დედოფალი. დედაქალაქი და ყველაზე დიდი ქალაქია ბასტერი. ქვეყნის მოსახლეობა 54 ათასია, ხოლო ფართობი — 261 კვ კმ. რაც შეეხება ფეხბურთს, ამ ქვეყნის საფეხბურთო ასოციაცია დაარსდა 1932 წელს. ფიფას წევრი მხოლოდ 1992 წელს გახდა, ორი წლით ადრე კი რეგიონულ (კონკაკაფი) ასოციაციაში გაერთიანდა. ნაკრებს საერთაშორისო ასპარეზზე არაოფიციალური დებიუტი ჰქონდა 1979 წელს, როცა იამაიკასთან 1:2 დამარცხდა. თამაშობს 5-ათასიან სტადიონ „უორნერ პარკზე“.

**მოვუგებთ სენტ კიტსს? — აუცილებლად მოვუგებთ და ისევ ატყდება ამბავი, ხომ ხედავთ, რა მაგრები ვართო, მაგრამ იმას კი არავინ ამბობს, რომ ევროპის ერთ-ერთ უსუსტეს ნაკრებთან, ანუ ჩვენთან ამხანაგური მატჩის გამართვა, უბრალოდ, არავინ ისურვა და სენტ კიტსი და ნევისი ამიტომ ვიპოვეთ, ისინიც ჩვენ დღეში არიან.**

რაც შეეხება რაგბის, როცა დავწერეთ, რომ კარგი ნაკრები გვყავს, მაგრამ ახალ თაობას ამ დონეზე თამაში და ძველების სრულფასოვანი ჩანაცვლება გაუჭირდება-თქო, ლამის რედაქციაში მოგვივარდა გულშემატკივარი. შედეგად მივიღეთ ის, რომ გადამწყვეტ მატჩი რუმინეთთან, ძირითადად, ახალგაზრდებით დაკომპლექტებულმა ჩვენმა ნაკრებმა წააგო და, ანთიმოზ ივერიელის თასის გარდა, ევროპის ერთა თასიც დაკარგა. რაგბიში არსებულ პრობლემებზე ნაკრების ლიდერებიც დაუფარავად საუბრობენ, იმასაც არ მალავენ, რომ მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალიან გაუჭირდებათ და... ექვს ერში საქართველოს დამატების თემამ რუმინეთთან წაგების შემდეგ გაურკვეველი ვადით რომ გადაიწია, ესეც ფაქტია.

**ბესო ბარბაქაძე**

# პირს, რომელმაც ნასვამ მდგომარეობაში ავტოსაგზაო შემთხვევისას 6 ადამიანი იმსხვერპლა, 9 წლით აღუკვეთეს თავისუფლება




**თელავის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მთვრალ მდგომარეობაში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის, რომლის შედეგად 6 ადამიანი დაიღუპა, ტარიელ ჯამალაშვილი დამნაშავედ ცნო.**

„სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 11 თებერვალს ბაკურციხიდან თბილისის მიმართულებით მოძრავ „ფორდ-ტრანზიტის“ მარკის ავტომობილს მთვრალ მდგომარეობაში მყოფი, მართვის უფლების არმქონე ტარიელ ჯამალაშვილი მართავდა, რა დროსაც საგარეჯოს რაიონის სოფელ ბადიაურის მიმდებარე ტერიტორიაზე ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა, გადავიდა საპირისპირო მოძრაობის ზოლში და „ოპელ-ვექტრას“ მარკის ავტომობილს შეეჯახა. შეჯახების შედეგად მიღებული დაზიანებებით „ოპელ-ვექტრას“ მარკის ავტომობილის მძღოლი, სამი მგზავრი და ავტომობილ „ფორდ-ტრანზიტის“ ორი მგზავრი ადგილზე დაიღუპნენ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლონდონს აქვს სრული იურიდიული უფლება, არ დაუშვას რეფერენდუმის გამართვა „ბრექსიტის“ დასრულებამდე, მეტიც, საკითხის გადაწყვეტა უსასრულოდ გაწელოს. მაგრამ ამ შემთხვევაში შოტლანდიელების გაღიზიანება და დიდი ბრიტანეთიდან გამოყოფის მომხრეთა რაოდენობა, სავარაუდოდ, მკვეთრად გაიზრდება. ამგვარად, ტერეზა მეის კაბინეტის ამოცანა ამ ეტაპზე ისაა, რომ შეაკავოს შოტლანდიის ხელისუფლება „ბრექსიტის“ დასრულებამდე, ისე, რომ არ გამოიწვიოს შოტლანდიელი ამომრჩევლების გადასვლა სეპარატისტების რიგებში.**

# შოტლანდიის დამოუკიდებლობა: ეპიზოდი მეორე

**შოტლანდიის პარლამენტმა ქვეყნის დამოუკიდებლობის თაობაზე ახალი რეფერენდუმის გამართვის გადაწყვეტილება მიიღო. ეს 28 მარტს მოხდა, იმავე დღეს, როდესაც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელმაც ევროკავშირიდან გასვლის პროცედურას ოფიციალური სტარტი მისცა. ამ ორი მოვლენის კავშირი აშკარაა – შოტლანდიელების დიდ ნაწილს არა მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, არამედ ევროკავშირში დარჩენაც სურს. საინტერესოა, შეძლებენ თუ არა ორივე მიზნის მიღწევას?**




საზოგადოებრივი აზრი შოტლანდიის დამოუკიდებლობაზე საქართველოში ტრადიციულად გაორებულია. ერთი მხრივ, ქართველებს აფრთხობს პრეცედენტის გაჩენის შესაძლებლობა, რადგან ადგილობრივი სეპარატისტების ლიდერები მის მიმართ მუდმივ აპელირებას მოახდენენ. მაგრამ ამ პრაგმატული გათვლების გარდა, საკითხს „რომანტიული განზომილებაც“ აქვს. XIX საუკუნიდან ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე ტრადიციულად ძლიერ გავლენას ახდენდა შოტლანდიელი მწერლების, მაგალითად, რობერტ ბერნსისა და ვალტერ სკოტის შემოქმედება, შესაბამისად, მუდამ არსებობდა სიმპატია თავისუფლებისმოყვარე შოტლანდიელების მიმართ. მარტივად რომ ვთქვათ, ქართველებს ძალიან მოსწონთ ფილმი „მამაცი გული“. ასე რომ, ამ საკითხზე ქართული საზოგადოების აზრი პრაგმატულ გათვლასა და ემოციებს შორის იხლიჩება და ეს მკაფიოდ გამოიკვეთა 2014 წლის სექტემბერში, როდესაც შოტლანდიის დამოუკიდებლობის თაობაზე პირველი რეფერენდუმი გაიმართა.

მაშინ დიდი ბრიტანეთის ერთიანობის შენარჩუნების მომხრეი მეტი (55,3%) აღმოჩნდა, მაგრამ ამის შემდეგ დამოკიდებულება პრობლემის მიმართ შეიცვალა. „სკოტცენის“ გამოკითხვის თანახმად, დღეს დამოუკიდებლობას მხარს ორჯერ მეტი შოტლანდიელი უჭერს, ვიდრე 2012-ში, როდესაც დაიწყო კამპანია, რომელიც რეფერენდუმის გამართვით დაგვირგვინდა. **მნიშვნელოვანია, რომ დიდი ბრიტანეთიდან გამოყოფას გამოკითხული ახალგაზრდების (16-დან 24 წლამდე) 72% ემხრობა. 2014-ში ყველაზე მეტი ხმა დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ასაკოვანმა ამომრჩევლებმა მისცეს, რომლებიც, ტრადიციულად, ამჯობინებენ „შეჩვეულ ჭირს“ და მასშტაბურ რყევებს ერიდებიან,** მაგრამ ძველი სტაბილურობა მალე დავიწყებას მიეცემა, რადგან დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირი დატოვა და დიდი ცვლილებები გარდაუვალია.

ახალი რეფერენდუმის დანიშვნის მომხრეთა ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი ევროკავშირში დარჩენის სურვილია. **2016 წლის „ბრექსიტის“ რეფერენდუმზე შოტლანდია ყველაზე „პროევროპული“ რეგიონი გამოდგა — ევროკავშირში დარჩენას ხმა ამომრჩეველთა 62%-მა მისცა,** თუმცა, „სკოტცენის“ ბოლო გამოკითხვის თანახმად, ევროსკეპტიკოსების **რაოდენობამ შოტლანდიაში მკვეთრად მოიმატა — 67% მხარს დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლას ან საერთო-ევროპული ორგანოების უფლებამოსილების შემცირებას უჭერს.** ამის მიზეზი, სავარაუდოდ, არის ყოვლისმომცველი კრიზისი ევროკავშირში. ასე რომ, **დამოუკიდებლობის მხარდამჭერთა „ევროპული არგუმენტი“ მნიშვნელოვნად გაუფასურდა და გამორიცხული არაა, მისი დევალვაცია გაგრძელდეს.**

შოტლანდიის პირველი მინისტრის — ნიკოლა სტერჯენტის აზრით, რეფერენდუმი 2018 წლის მიწურულს ან 2019 წლის დასაწყისში, ანუ „ბრექსიტის“ დასრულებამდე უნდა ჩატარდეს. დიდი ბრიტანეთის პრემიერმა ტერეზა მეიმ ამის საპასუხოდ განაცხადა, რომ „ახლა ამის დრო არ არის“, თუმცა ცალსახა უარი ახალი რეფერენდუმის გამართვაზე არ უთქვამს. მისი თანაგუნდელების თანმდევი კომენტარებიდან ნათლად გამოჩნდა, რომ ხელისუფლება ახალ რეფერენდუმს მხოლოდ „ბრექსიტის“ პროცედურის დასრულების შემდეგ დათანხმდება.

ერთის შეხედვით, ლონდონს მეტი იურიდიული არგუმენტი აქვს. მას შემდეგ, რაც 1707 წლის უნიის აქტით ინგლისმა და შოტლანდიამ დიდი ბრიტანეთი შექმნეს, შოტლანდიელ სეპარატისტებს არ გააჩნდათ რამდენადმე დამაჯერებელი „იურიდიული შეფუთვა“ თავიანთი პრეტენზიებისთვის და ეს ვითარება მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში შეიცვალა. სერიოზული ბიძგი სეპარატისტულ მოძრაობას შოტლანდიის ნაპირებთან ნავთობის აღმოჩენამ მისცა. შოტლანდიის ეროვნული პარტია, რომელიც ადგილობრივ პარლამენტში ახლა ადგილების უმრავლესობას ფლობს, ბრალს სდებდა ლონდონს (სწორედ ამ კამპანიით დაიწყო მისი აღმასვლა) იმაში, რომ ნავთობისგან მიღებულ შემოსავლებს შოტლანდიის განვითარებაზე ნაკლებად ხარჯავს. ავტონომიის გაფართოების მსურველებმა იმდენი მოახერხეს, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას რეფერენდუმი 1979-ში დაანიშნინეს ადგილობრივი პარლამენტის აღდგენის თაობაზე, მაგრამ ის 2%-ზე ნაკლები სხვაობით წააგეს. განმეორებითი რეფერენდუმის გამართვა მხოლოდ 1997-ში მოხერხდა და მაშინ შოტლანდიის პარლამენტის აღდგენას ხმა ამომრჩეველთა 74%-მა მისცა. ამ პარლამენტს საკმაოდ ფართო უფლებები აქვს, მაგრამ მას არ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საკითხებზე, რომელიც „რეზერვირებულ სფეროებსა“ და ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას მიეკუთვნება. მათ შორისაა თავდაცვა, საგარეო პოლიტიკა, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის რეგულირება და ა.შ. დღეს მოქმედი კანონის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ შოტლანდიელები მოისურვებენ, განიხილონ ასეთი (მათ შორის დამოუკიდებლობის) საკითხი, შესაბამისი ნებართვა ცენტრალური ხელისუფლებისგან უნდა მიიღონ, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, 2012 წლის რეფერენდუმის დანიშვნისას.

**ლონდონს აქვს სრული იურიდიული უფლება, არ დაუშვას რეფერენდუმის გამართვა „ბრექსიტის“ დასრულებამდე, მეტიც, საკითხის გადაწყვეტა უსასრულოდ გაწელოს. მაგრამ ამ შემთხვევაში შოტლანდიელების გაღიზიანება და დიდი ბრიტანეთიდან გამოყოფის მომხრეთა რაოდენობა, სავარაუდოდ, მკვეთრად გაიზრდება. ამგვარად, ტერეზა მეის კაბინეტის ამოცანა ამ ეტაპზე ისაა, რომ შეაკავოს შოტლანდიის ხელისუფლება „ბრექსიტის“ დასრულებამდე, ისე, რომ არ გამოიწვიოს შოტლანდიელი ამომრჩევლების გადასვლა სეპარატისტების რიგებში.**

**გაერთიანებული ევროპის ლიდერები არ გამოთქვამენ განსაკუთრებულ ენთუზიაზმს ევროკავშირში შოტლანდიის «დარჩენაზე» და ამას ორი ძირითადი მიზეზი განაპირობებს: დიდ როლს ესპანეთის ხელისუფლების პოზიცია თამაშობს — ის ცდილობს, დაბლოკოს ყველა პროცესი, რომლებიც კატალონიის გამოყოფას შეუწყობს ხელს. ამასთანავე, დიდი ბრიტანეთი «ბრექსიტის» შემდეგაც ევროკავშირის უმნიშვნელოვანეს პარტნიორად დარჩება და ევროპის ქვეყნების მთავრობებს არ უღირთ შოტლანდიის გამო მასთან ურთიერთობის გაფუჭება**




ქვეყნის მთლიანობის რღვევის დაწყება ევროკავშირიდან გასვლის დასრულებამდე ყველაზე ცუდი კოშმარია, რომელიც შეიძლება ბრიტანელმა პოლიტიკოსებმა წარმოიდგინონ. ერთადერთი შეღავათი მათთვის ისაა, რომ გაერთიანებული ევროპის ლიდერები არ გამოთქვამენ განსაკუთრებულ ენთუზიაზმს ევროკავშირში შოტლანდიის „დარჩენაზე“ და ამას ორი ძირითადი მიზეზი განაპირობებს: დიდ როლს ესპანეთის ხელისუფლების პოზიცია თამაშობს — ის ცდილობს, დაბლოკოს ყველა პროცესი, რომლებიც კატალონიის გამოყოფას შეუწყობს ხელს. ამასთანავე, დიდი ბრიტანეთი „ბრექსიტის“ შემდეგაც ევროკავშირის უმნიშვნელოვანეს პარტნიორად დარჩება და ევროპის მთავრობებს არ უღირთ შოტლანდიის გამო მასთან ურთიერთობის გაფუჭება. ამ ორი ფაქტორის თანხვედრამ პრაქტიკულად გამორიცხა შოტლანდიის „ავტომატური“ გაწევრება ევროკავშირში; ედინბურგს მიუთითეს, რომ „რიგში დგომა“ მოუწევს. იმაივე შინაარსის განცხადება ნატოს გენერალურმა მდივანმა გააკეთა. **მართალია, ნაკლებად სავარაუდოა, რომ დამოუკიდებელი შოტლანდია ნატოს ფარგლებს გარეთ დიდი ხნის განმავლობაში დარჩეს, რადგან ეს დაამსხვრევს ალიანსის უსაფრთხოების მთელ არქიტექტურას ჩრდილოეთ ატლანტიკაში, მაგრამ იმის ალბათობა, რომ შოტლანდია გარკვეული დროის განმავლობაში „გაურკვევლობაში“ იცხოვრებს, საკმაოდ მაღალია.** პერიოდი, რომელსაც ქვეყანა გაერთიანებული სამეფოსა და ევროკავშირის ფარგლებს გარეთ გაატარებს, სავარაუდოდ, სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს დაუკავშირდება და უმტკივნეულო ნამდვილად არ იქნება, იმის გათვალისწინებით, რომ შოტლანდიელები სოციალური სამართლიანობის იდეებს და შესაბამის გარანტიებს ინგლისელებზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ (ზოგიერთი კომენტატორი დროდადრო „შოტლანდიის სოციალისტურ ბუნებაზეც“ კი საუბრობს).

მიუხედავად იმისა, რომ შოტლანდიის დამოუკიდებლობის მომხრეთა რაოდენობა გაიზარდა, ამომრჩეველთა დიდი ნაწილი კვლავინდებურად მერყეობს. ბრიტანულმა კვლევითმა ორგანიზაცია „იუგოვ“-მა გამოჰკითხა ორივე (2014 წლის დამოუკიდებლობის და 2016 „ბრექსიტის“) რეფერენდუმის სამი ათასზე მეტი მონაწილე და საკმაოდ საინტერესო შედეგი მიიღო. **დამოუკიდებლობასა და ევროკავშირში დარჩენას ხმა გამოკითხულთა 21%-მა მისცა, დიდ ბრიტანეთში და ევროკავშირში დარჩენას — 28%-მა, დიდი ბრიტანეთიდან და ევროკავშირიდან გასვლას — 14%-მა, ხოლო ბრიტანეთის ერთიანობის შენარჩუნებასა და მის გასვლას ევროკავშირიდან — 16%-მა.** ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი იმის დადგენაა, თუ რა მიმართულებით წავლენ ის ამომრჩევლები, რომელთაც დიდ ბრიტანეთშიც და ევროკავშირშიც დარჩენა უნდოდათ. ამოქმედებული „ბრექსიტის“ პირობებში მათ ახალი არჩევანის გაკეთება მოუწევთ. ეს საკმაოდ დიდი ჯგუფია და მისი განწყობის ცვლილება უდავოდ მოახდენს გავლენას მერყევ ამომრჩევლებზე.

ამ თემაზე საუბრისას ხანდახან შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ შოტლანდიელების მნიშვნელოვანი ნაწილი დამოუკიდებლობის საკითხს კალკულატორით ხელში უდგება და გულმოდგინედ ითვლის, რა პლიუსებს და მინუსებს მოუტანს დიდი ბრიტანეთიდან გამოყოფა. ეს გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის თავისუფლების მოყვარე შოტლანდიელებზე ჩვენ წარმოდგენასთან, რომელიც რომანტიკულმა ლიტერატურამ შეგვიქმნა, და 1991 წლის რეფერენდუმის გამოცდილებასთან. მაშინ ქართველი ამომრჩევლების 90,3%-მა (და რეფერენდუმში მონაწილეთა 98,9%-მა) ხმა დამოუკიდებლობის აღდგენას მისცა. ეს არჩევანი არც მერყეობას, არც კომპრომისს არ ითვალისწინებდა. ყველა მოითხოვდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას რაც შეიძლება მალე, მეტიც — დაუყოვნებლივ, ყოველგვარი გარდამავალი პერიოდის გარეშე. ეს განწყობა გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობას მოუმზადებელი შეხვდა და მომდევნო წლებში უდიდესი ზიანი განიცადა. შოტლანდიაში ვითარება განსხვავებულია, იქ ყველაზე თანმიმდევრულ სეპარატისტებსაც კი სურთ, რომ დამოუკიდებლობის აღდგენამ უმტკივნეულოდ ჩაიაროს და ქვეყანას სარგებელი მოუტანოს, ამისთვის მზად არიან, კომპრომისებზეც და პროცესის ხელოვნურ შენელებაზეც წავიდნენ. ალბათ, ისტორია განსჯის, ვისი მიდგომა იყო უფრო გონივრული — ქართველების თუ შოტლანდიელების.

**ლუკა ნემსაძე**

**კობა ნარჩემაშვილის ახლახან შევსებულ დეკლარაციაში ჩამოთვლილი რამდენიმე მილიონის ღირებულების ქონებას შს მინისტრად მუშაობისას შევსებულ დეკლარაციაში ვერ ნახავთ. მისი იმჟამინდელი ქონება საკმაოდ მწირია. თუკი შევარდნაძის შს მინისტრს 2003 წელს ზემოთ ჩამოთვლილი ქონებიდან, ფაქტობრივად, არაფერი გააჩნდა, გაუგებარია, როგორ დააგროვა რამდენიმე მილიონის კაპიტალი სააკაშვილის რეჟიმის მიერ დევნილმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა?! კითხვას ის გარემოება აჩენს, რომ „ოცნების“ დეპუტატს მითითებული არსად აქვს, რომ მას ან მის მეუღლეს, ან თუნდაც შვილს, რომელზეც არის ნარჩემაშვილების ქონების დიდი ნაწილი გაფორმებული, რაიმე ბიზნესი აქვთ...**

სხობს სახელისა...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# «ქუთათური ბიზნესი» და მილიონერი დეპუტატები

**საქართველოში, ოფიციალური მონაცემებით, 900 ათასამდე მოქალაქე სოციალურ შემწეობასა და პენსიაზეა დამოკიდებული, რომელიც სრულფასოვანი კვებისთვისაც არ არის საკმარისი. საქართველოს პარლამენტში კი 41 მილიონერი დეპუტატია (დამთხვევა სიმბოლურია — 41 ხომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო ნომერია). ამჯერად „ქართული ოცნების“ კიდევ ერთი ახალი „სახის“, შს ყოფილი მინისტრის — კობა ნარჩემაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი ერთ-ერთი ლიდერის, რომლის სახელთანაც პარლამენტში არაერთი დაპირისპირება ასოცირდება, აკაკი ბობოხიძის ქონებრივ დეკლარაციებს გაგაცნობთ. ნარჩემაშვილის ქონება 7 672 000 ლარს ითვლის, ხოლო აკაკი ბობოხიძისა 1 219 450 ლარადაა შეფასებული.**



კობა ნარჩემაშვილი



აკაკი ბობოხიძე

შს ყოფილი მინისტრი **კობა ნარჩემაშვილი** 1969 წლის 20 დეკემბერს დაიბადა ქალაქ ქუთაისში. ჰყავს მეუღლე **სოფიო ნარჩემაშვილი,** შვილები — **ვლადიმერ და ნინო ნარჩემაშვილები.**

მან დეკლარაცია დეპუტატის რანგში 2016 წლის 30 დეკემბერს შეავსო. შევარდნაძის მმართველობისდროინდელი შს მინისტრისა და მისი ოჯახის წევრების უძრავ-მოძრავი ქონების ნუსხა საკმაოდ შთამბეჭდავია. კობა ნარჩემაშვილის საკუთრებაა 750 კვ მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე. ამავე ტერიტორიაზე მას ეკუთვნის, ასევე, 259 კვ მ მიწის ნაკვეთი. სოფიო ნარჩემაშვილის საკუთრებაა 139.50 კვ მ არასაცხოვრებელი ფართობი თბილისში, თამარაშვილის ქ. №21-ში. პარტლამენტარის შვილის — ვლადიმერ ნარჩემაშვილი საკუთრებაა 126 კვ მ კომერციული ფართობი თბილისში, პეკინის გამზირის №6ა-ში. დეპუტატის ვაჟის სახელზეა გაფორმებული საცხოვრებელი სახლი თბილისში, გ. ისაკაძის ქუჩაზე, რომლის ფართობი 350 კვ მ-ია. მისი საკუთრებაა, აგრეთვე, 30 000 კვ მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში; მასზეა გაფორმებული 300 კვ მ ფართობის საცხოვრებელი სახლი დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში. ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის შვილის საკუთრებაა 700 კვ მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში. ვლადიმერ ნარჩემაშვილს ეკუთვნის 601.00 კვ მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი დაბა ბაკურიანში. დეპუტატ ნარჩემაშვილის საკუთრებაა 120 კვ მ საცხოვრებელი სახლი დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე. დეპუტატის შვილი 492 კვ მ მიწის ნაკვეთს გ.ისაკაძის ქუჩაზეც ფლობს. 110 კვ მ, 94კვ მ, 27კვ მ და 10კვ მ არასაცხოვრებელი ფართობების მფობელია ვლადიმერ ნარჩემაშვილი საგარეჯოს რაიონ სოფელ ხაშმში. „ოცნების“ დეპუტატის ვაჟის საკუთრებაა 165 კვ მ საცხოვრებელი სახლი დაბა ბაკურიანში; 600 კვ მ მიწის ნაკვეთი დიღომში, სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე.

რაც შეეხება ავტომობილებს, დეპუტატის საკუთრებაში ავტომობილი არ ირიცხება. სოფიო ნარჩემაშვილის საკუთრებაა ავტომანქანა Subaru impreza (2008წ). ვლადიმერ ნარჩემაშვილს ეკუთვნის ავტომანქანა Toyota camry 2007 წლის, მსუბუქი ავტომანქანა Nissan pathfinder-ი (2004) და სპეციალიზებული ავტომანქანა Steyr-Puch Pinzgauer-ი (1975წ). დეკლარაციის შევსებისას კობა ნარჩემაშვილს 122 000 აშშ დოლარი და 35 000 ლარი ჰქონია. სოფიო ნარჩემაშვილს — 17 000 აშშ დოლარი, 11 500 ლარი და 3 700 ევრო, ხოლო ვლადიმერ ნარჩემაშვილს მამამისის მიერ დეკლარაციის შევსების მომენტში — 3 400 აშშ დოლარი და 7 500 ლარი. პარლამენტარს, როდესაც დეკლარაციას ავსებდა, „თი-ბი-სი“ ბანკის სახელფასო ანგარიშზე 2602.14 ლარი ჰქონია.

2016 წელს ვლადიმერ ნარჩემაშვილს დაურეგისტრირებია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „უნივერსალ პლუსი“ და ამ შპს-დან მისმა წლიურმა შემოსავალმა 1725 ლარი შეადგინა. კობა ნარჩემაშვილს საკანონმდებლო ორგანოში გაწეული საქმიანობისთვის 5108.14 ლარი მიუღია.

**კობა ნარჩემაშვილის ახლახან შევსებულ დეკლარაციაში ჩამოთვლილი რამდენიმე მილიონის ღირებულების ქონებას შს მინისტრად მუშაობისას შევსებულ დეკლარაციაში ვერ ნახავთ. მისი იმჟამინდელი ქონება საკმაოდ მწირია. თუკი შევარდნაძის შს მინისტრს 2003 წელს ზემოთ ჩამოთვლილი ქონებიდან, ფაქტობრივად, არაფერი გააჩნდა, გაუგებარია, როგორ დააგროვა რამდენიმე მილიონის კაპიტალი სააკაშვილის რეჟიმის მიერ დევნილმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა?! კითხვას ის გარემოება აჩენს, რომ „ოცნების“ დეპუტატს მითითებული არსად აქვს, რომ მას ან მის მეუღლეს, ან თუნდაც შვილს, რომელზეც არის ნარჩემაშვილების ქონების დიდი ნაწილი გაფორმებული, რაიმე ბიზნესი აქვთ...** ერთადერთი, რაც დეკლარაციაშია მითითებული, არის დეპუტატის ვაჟის მიერ 2016 წელს დაარსებული „უნივერსალ პლუსი“ და საეჭვოა, მხოლოდ ამ შპს-დან მიღებული შემოსავლებით შეეძინოთ ნარჩემაშვილებს ზემოთ ჩამოთვლილი უძრავ-მოძრავ ქონება.

კობა ნარჩემაშვილი პარლამენტში საარჩევნო ბლოკ „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ წარმოადგენს. მან N49-ე მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გაიმარჯვა. განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სპეციალობა — სამართალმცოდნეობა, აგრეთვე, — ფინანსები და საბანკო საქმე.

კობა ნარჩემაშვილის სამუშაო გამოცდილება ასეთია:

* საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი (2001-2003);
* საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე (2000-2001);
* საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი (1998-2000);
* საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი (1998-1996);
* შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე (1997-1998);
* ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის წამყვანი სახელმწიფო მრჩეველი (1996-1997);
* წყალტუბოს პროკურატურის უფროსი გამომძიებელი (1994—1995);
* წყალტუბოს პროკურატურის სტაჟიორი (1993—1994);
* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი (1988—1993);
* წყალტუბოს რ-ის სოფელ გეგუთის საბჭოთა მეურნეობის სამშებელო ბრიგადის მუშა (1986—1988);
* წყალტუბოს კომუნალური საწარმოების კომბინატის ქალაქის გამწვანების კანტორის მუშა (1984—1986).

ნარჩემაშვილი არის ფრაქცია „ქართული ოცნება — სოციალ-დემოკრატები“-ის წევრი (2112—2016 ) და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების წევრი. ის, აგრეთვე, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრიცაა.

## აკაკი ბობოხიძე შპს «ორიონის» (ქუთაისი, ავტომშენებელი10/47) პარტნიორია უვადოდ და მისი წლიური შემოსავალი 6500 ლარია

ყველა მოწვევის პარლამენტის წევრი, ყოფილი ნაციონალი, ამჟამად „ევროპული საქართველოს“ წევრი **აკაკი ბობოხიძე** დაიბადა 1964 წლის 14 სექტემბერს ხონში, სოფელ გორდში. მან დეკლარაცია 2016 წლის 27 მაისს შეავსო. ჰყავს მეუღლე **ნანა გოდერძიშვილი**, ვაჟი — **ირაკლი ბობოხიძე.**

აკაკი ბობოხიძის ოჯახის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნუსხა ასეთია: პარლამენტარის საკუთრებაა 80 კვ მ საცხოვრებელი სახლი დიღომში. ნანა გოდერძიშვილის საკუთრებაა 450 000 კვ მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი საგარეჯოში. აკაკი ბობოხიძეს ეკუთვნის 1200 კვ მ სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი ლისზე, მუხათწყაროში. დეპუტატის საკუთრებაა, აგრეთვე, 230.00 კვ მ საცხოვრებელი სახლი თბილისში, ვაშლიჯვარში. აკაკი ბობოხიძის სახელზეა გაფორმებული 70 კვ მ საცხოვრებელი ფართობი გურამიშვილის ქუჩაზე. პარლამენტარს ეკუთვნის, აგრეთვე, 2000 კვ მ მიწის ნაკვეთი ქუთაისში, ყოფილ ლესელიძის ქუჩაზე. ავტომობილი დეპუტატის ოჯახში ნანა გოდერძიშვილის საკუთრებაა. ბობოხიძეებს მსუბუქი ავტომანქანა TOYOTA RAV4 ჰყავთ.

**აკაკი ბობოხიძეს „თი-ბი-სი ბანკში“ სახელფასო ანგარიშზე დეკლარაციის შევსებისას 2000 ლარი ჰქონია, „ბაზისბანკში“ სახელფასო ანგარიშზე — 100 ლარი, „რესპუბლიკა ბანკში“ მიმდინარე ანგარიშზე — 10 აშშ დოლარი, დეპოზიტზე კი 19018 აშშ დოლარი ერიცხება. რაც შეეხება დეპუტატის მეუღლეს, მას „საქართველოს ბანკში“ დეპოზიტზე 25 000 აშშ დოლარი ერიცხება. ნაღდი ფული კი დეკლარაციის შევსებისას აკაკი ბობოხიძეს 19 000 აშშ დოლარი ჰქონია.**

**აკაკი ბობოხიძე შპს „ორიონის“ (ქუთაისი, ავტომშენებელი10/47) პარტნიორია უვადოდ და მისი წლიური შემოსავალი 6500 ლარია.** პარლამენტში კი მისი წლიური შემოსავალი 65 393 ლარს შეადგენს.

აკაკი ბობოხიძეს გურამიშვილის ქუჩაზე მდებარე ბინის შესაძენად „ბანკი რესპუბლიკაში“ იპოთეკური სესხით უსარგებლია და 30 000 აშშ დოლარი აუღია სესხად, რაშიც მისმა წლიურმა გასავალმა 4697 აშშ დოლარი შეადგინა. ნანა გოდერძიშვილს საგარეჯოში მდებარე საცხოვრებელი სახლი გაუყიდია 25000 აშშ დოლარად. აკაკი ბობოხიძეს შვილის სწავლის გადასახადი 3990 ლარი გადაუხდია. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ კი 10 000 ლარი აქვს შეწირული. 4200 ლარი დეპუტატს ქონების გადასახადი აქვს გადახდილი. 22 000 ლარი დეპუტატის ოჯახს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიუღია.

აკაკი ბობოხიძე პარლამენტის წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით გახდა. მას განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიუღია მათემატიკოსის სპეციალობით.

აკაკი ბობოხიძის სამუშაო გამოცდილება ასეთია:

* სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორი იმერეთში (2006-2008);
* საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის თავმჯდომარე (2006-2006);
* სახელმწიფო რწმუნებული იმერეთში (2005-2005);
* საქართველოს სახალსო დამცველის რწმუნებული (1998-2001)
* საქართველოს სახელმწიფო საბჭო, მთავარი სახელმწიფო მრჩეველი (1992-1992);
* საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-2992);
* ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის უფროსი ლაბორანტი (1988-1990);
* ხონის საღამოს სკოლა, მასწავლებელი (1986-1987);
* ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის ასისტენტი (1986-1988).

არის წევრი საპარლამენტო ფრაქციისა „ევროპული საქართველო“, აგრეთვე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტის წევრი.

**გიორგი გელაშვილი**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჯერ კიდევ შარშან ევროკავშირში 28 ქვეყანა იყო, ამჟამად 27-ია, და გამორიცხული არ არის, რომის ხელშეკრულებიდან 70 წლის თავზე ამ გაერთიანებაში იმდენი ქვეყანა დარჩეს, რამდენიც იყო 1957 წელს, თუმცა, როგორც ჩანს, შეიძლება ექვსეულიც აღარ შედგეს, რადგან იტალია, სადაც აღინიშნა ევროკავშირის 60 წლისთავი, თვითონ ემზადება „ევროპული სამოთხიდან“ გასაქცევად.**

# ამერიკულ პროექტს — «გაერთიანებულ ევროპას» — 60 წლისთავზე კრახი ემუქრება

## რატომ ცდილობს აშშ-ის კოლონია ნახევრად კოლონიაში გაერთიანებას

**თითქმის ორი ათეული წელიწადია, საქართველოს ხელისუფლებები თვალში ნაცარს აყრიან მოსახლეობას ევროკავშირსა და ნატოში გაერთიანებისა და ამის შემდეგ ქვეყნის აყვავებაზე ზღაპრებით. ახლახან დიდი ზარზეიმითაც აღნიშნეს ევროკავშირის ქვეყნებთან 90 დღის უვიზო მიმოსვლის მოპოვების უფლება, თუმცა არც ნატო და არც ევროკავშირი საქართველოს წევრად მიღებას რომ არ აპირებენ, იმ მოთხოვნიდანაც ჩანს, რომლებსაც ევროკავშირი უყენებს საქართველოს — ეს არის 5 წლის განმავლობაში 25 ათასზე მეტი სტანდარტის შეცვლა და ევროპულ სტანდარტებსა და ნორმებზე გადასვლა, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია ასე მოკლე პერიოდში. ისიც გაურკვეველია, რატომ მიილტვის საქართველოს ხელისუფლება იმ გაერთიანებისკენ, რომელშიც უმწვავესი მიგრაციული კრიზისის ფონზე, თვე არ გავა, ტერორისტული აქტი არ მოხდეს, თანაც ევროკავშირის ხელმძღვანელობას, საქართველოს ხელისუფლების მსგავსად, ნაბიჯი ვერ გადაუდგამს აშშ-ის დაუკითხავად.**







The Telegraph
Business
The European Union always was a CIA project, as Brexiteers discover
AMBROSE EVANS-PRITCHARD

**ეს რომ ასეა, მოწმობს ევროკავშირის შექმნის ისტორია, რომლის დოკუმენტებიც აშშ-ის არქივებში ინახებოდა და 2000—2001 წლებში გასაჯაროვდა.**

25 მარტს იტალიის დედაქალაქში გაიმართა ევროკავშირის შექმნის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, რომელშიც ამ გაერთიანების 27 ქვეყნის ლიდერები მონაწილეობდნენ.

60 წლის წინათ, 1957 წლის 25 მარტს, რომში 6 ევროპულმა სახელმწიფომ — **გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, საფრანგეთმა, იტალიამ, ბელგიამ, ნიდერლანდებმა** და **ლუქსემბურგმა** — გააფორმა ხელშეკრულება ადამიანების, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის გადაადგილებაზე ყველა შეზღუდვის ლიკვიდაციის შესახებ. შეიქმნა ინტეგრაციული ჯგუფი სახელწოდებით „ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა“, ანუ „საერთო ბაზარი“. ასე აიღო სტარტი ევროპის ინტეგრაციის პროცესმა, რომელიც, 6 ათეული წლის განმავლობაში განვითარების ეტაპების გავლის შემდეგ დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. მეტამორფოზი განიცადა თვით რომის ხელშეკრულებამაც — ბოლო ცვლილება შეიტანეს 2009 წლის ლისაბონის შეთანხმების (ოფიციალური სახელწოდება — ლისაბონის შეთანხმება ევროკავშირის ხელშეკრულებისა და ევროპული თანამეგობრობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ) საფუძველზე.

ევროპელი პოლიტიკოსები „გაერთიანებული ევროპის“ იდეაზე ჯერ კიდევ წმინდა რომის იმპერიის (962—1806) პერიოდიდან ფიქრობდნენ, თუმცა ამ პერიოდში და მას შემდეგაც ევროპამ უამრავი ომი გადაიტანა და სახელმწიფოებს არაერთხელ შეეცვალა საზღვრები. ამ კონფლიქტებიდან, საკმარისია, გავიხსენოთ 30-წლიანი ომი XVII საუკუნეში, ნაპოლეონის ომები XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, საფრანგეთისა და პრუსიის ომი 1870—1871 წლებში და ორი მსოფლიო ომი, ანუ **მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე ევროპელებმა არათუ ინტეგრაციაზე მოლაპარაკება, არამედ კონტინენტზე მშვიდობის შენარჩუნებაც ვერ შეძლეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი ევროპელთა ცხოვრებაში აქტიურად ჩაერია აშშ.**

1948 წლის აპრილში ამოქმედდა აშშ-ის იმჟამინდელი სახელმწიფო მდივნის — **ჯორჯ კ. მარშალის** გეგმა, რომელიც, ფაქტობრივად, წარმოადგენდა გარიგებას აშშ-ის მხრიდან ევროპის ფინანსურ-ეკონომიკურ დახმარებაზე პოლიტიკურ საკითხებში დათმობის ნაცვლად. ამ გეგმის განხორციელებით ვაშინგტონი ჩაერია ევროპის ქვეყნების საპარლამენტო არჩევნებსა და მთავრობების ჩამოყალიბებაში — შეძლო საფრანგეთში გენერალი **შარლ დე გოლის** განეიტრალება და ევროპის ქვეყნების ხელისუფლების სათავეში საჭირო პოლიტიკოსების მოყვანა. „საჭირო პოლიტიკოსები“ კი იყვნენ ისინი, ვინც მხარს უჭერდნენ „ევროპის შეერთებულ შტატებს“ — ახალ „წმინდა რომის იმპერიას“.

**„გაერთიანებული ევროპის“ იდეა ამერიკელებმა ფარად აიფარეს, უწინარესად, იმიტომ, რომ მეორე მსოფლიო ომში ვერ მიაღწიეს მთავარ მიზანს, რომლისკენაც მიილტვოდნენ მსოფლიოში სასტიკი ხოცვა-ჟლეტის გაჩაღების ოკეანისგაღმელი ინიციატორები. ეს მიზანი იყო საბჭოთა კავშირის განადგურება ან დამორჩილება.** მეორე მსოფლიო ომის გამჩაღებლების შეცდომა იყო ის, რომ მათი პროექტი იმთავითვე ითვალისწინებდა ევროპის გაყოფას **ჰიტლერის** მესამე რეიხად და დანარჩენ ევროპად, მაგრამ მოხდა პირიქით — საბჭოთა კავშირმა, რომელიც **სტალინმა** ზესახელმწიფოდ გადააქცია, პოზიციები განიმტკიცა ევროპაში, და მისი გავლენის სფეროში რამდენიმე ევროპული სახელმწიფო მოექცა.

**„გაერთიანებული ევროპის“ პროექტის საფუძველში აშშ-მა ერთიანი „ევროატლანტიკური“ მუშტის შექმნის იდეა ჩადო. და ეს მუშტი მოსკოვის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული. ამ პროექტის შემადგენელი ნაწილი იყო, აგრეთვე, ნაციონალური სუვერენიტეტების დემონტაჟი და ევროპის მმართველობის ცენტრის გადატანა ზენაციონალურ დონეზე. ანუ, პროექტ „გაეთიანებულ ევროპაში“ თავიდანვე იყო ჩადებული ევროპის გადაქცევის იდეა ამერიკის ნახევრად კოლონიად.**

ამ მოსაზრების საჭირო მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობა დიდხანს არ ჰქონდათ ისტორიკოსებს, მაგრამ 2000—2001 წლებში აშშ-ში მეორე მსოფლიო ომის შემდგომი არქივების გახსნის შემდეგ გაირკვა, როგორ ცდილობდა ვაშინოტონი თავისი იდეის განხორციელებას „გაერთიანებული ევროპის“ შექმნის შესახებ (იხ. 2016 წლის 27 აპრილის The Telegraph-ში გამოქვეყნებული **ამბროუზ ევანს-პრიჩარდის** სტატია სათაურით „ევროკავშირი ყოველთვის იყო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს პროექტი“); ბრიტანულ გაზეთ „გარდიანში“ გამოქვეყნებულ დოკუმენტურ მასალებში აშკარად ჩანს, რომ 1950—1960 წლებში პროექტ „გაერთიანებული ევროპის“ შექმნასა და განხორციელებაში მონაწილეობდა აშშ-ის დაზვერვა. მაგალითად, 1956 წლის 26 ივლისის მემორანდუმი, რომელსაც ხელს აწერს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წინამორბედის, სტრატეგიული სამსახურის სამმართველოს, ხელმძღვანელი, გენერალი **უილიამ დონოვანი,** შეიცავს ინსტრუქციებს, როგორ უნდა განხორციელდეს ზენაციონალური ევროპარლამენტის შექმნის პროექტი. ევროპაში ვაშინგტონის ფორპოსტად იქცა გენერალ დონოვანის მიერ 1948 წელს შექმნილი „ამერიკის კომიტეტი გაერთიანებული ევროპისთვის“. ამ ორგანიზაციაში დონოვანის მოადგილე იყო **ალენ დალესი**, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ სათავეში ჩაუდგა აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს. ამ კომიტეტის საბჭოს წევრი იყო, აგრეთვე, ცსს-ის პირველი დირექტორი **უოლტერ ბედელ სმიტი.** გასაჯაროებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ **„ამერიკის კომიტეტი გაერთიანებული ევროპისთვის“ აფინანსებდა ისეთ ფედერალისტურ ორგანიზაციებს, როგორიც არის ევროპული მოძრაობა. დაფინანსების სქემები გულმოდგინედ იყო შენიღბული. შენიღბვის უმნიშვნელოვანეს რგოლებს კი წარმოადგენდნენ ამერიკული საქველმოქმედო ფონდები, რომლებიც, უკვე ათეული წლებია, საფარველად ემსახურებიან აშშ-ის სპეცსამსახურებსა და სახელმწიფო დეპარტამენტს.** ევროპული ფედერალისტების დასაფინანსებლად კონკრეტულად იყენებდნენ **როკფელერების ფონდსა** და **ფორდის ფონდს.** „ქველმოქმედებსა“ და ამერიკის დაზვერვას შორის კავშირი ძალიან მჭიდრო იყო — 1950 წლებში სტრატეგიული სამსახურების სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი, **პოლ ჰოფმანი,** ფორდის ფონდის თავმჯდომარეც იყო და გაერთიანებული ევროპისთვის ამერიკული კომიტეტის ხელმძღვანელიც. ამასთანავე, ევროპის ინტეგრაციის პროცესში გამუდმებით ჰყოფდა ცხვირს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი. აი ერთი მაგალითი: სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებული 1965 წლის 11 ივნისის მემორანდუმი შეიცავდა ინსტრუქციას ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის ვიცეპრეზიდენტის, ფრანგი **რობერ მარჟოლინისადმი** — როგორი თანმიმდევრობით უნდა ემოქმედა, რათა ევროპა მიეყვანა სავალუტო კავშირის შემოღებამდე.

ნიშანდობლივია, რომ **ვაშინგტონს „გაერთიანებული ევროპის“ შექმნა დაგეგმილი ჰქონდა მხოლოდ კონტინენტზე. დიდ ბრიტანეთს კი, როგორც აშშ-ის უახლოეს მოკავშირეს, განკუთვნილი ჰქონდა ავტონომიური სტატუსი დამაკავშირებელი რგოლისა აშშ-ისა და მომავალ „გაერთიანებულ ევროპას“ შორის. „ბრექსიტი“ კი — ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლა — ნიშნავს ევროპის დაბრუნებას ინტეგრაციის თავდაპირველ კონცეფციასთან, როგორიც ის ვაშინგტონმა შეიმუშავა.**

2017 წლის 25 მარტს რომში, რა თქმა უნდა, ევროკავშირის შექმნის ამ პიკანტურ ისტორიაზე ლაპარაკი არ ყოფილა და ეს მიუთითებს იმაზე, რომ აშშ-ის პროექტის ერთ-ერთი მიზანი მიღწეულია — **კონტინენტური ევროპა აშშ-ის ნახევრად კოლონიად იქცა.** რაც შეეხება მეორე მიზანს — გაერთიანებული ევროპის გადაქცევას აღმოსავლელი მეზობლებისკენ მიმართულ „რკინის მუშტად“, ამ მიმართულებით, რუსეთისა და ჩინეთის არმიების გაძლიერების ფონზე, ამერიკელებს სტრაბახო არაფერი აქვთ.

**ჯერ კიდევ შარშან ევროკავშირში 28 ქვეყანა იყო, ამჟამად 27-ია და გამორიცხული არ არის, რომის ხელშეკრულებიდან 70 წლის თავზე ამ გაერთიანებაში იმდენივე ქვეყანა დარჩეს, რამდენიც იყო 1957 წელს, თუმცა, როგორც ჩანს, შეიძლება ექვსეულიც აღარ შედგეს, რადგან იტალია, სადაც აღინიშნა ევროკავშირის 60 წლისთავი, თვითონ ემზადება „ევროპული სამოთხიდან“ გასაქცევად.**

ევროკავშირის წევრი ქვეყნების შეხვედრამ, რომელიც რომის იმპერიის ნანგრევებზე გაიმართა, ცხადყო, რომ ეს გაერთიანება ცდილობს ერთობის შენარჩუნებას სულ უფრო მზარდი ნაციონალიზმისა და „ბრექსიტით“ გამოწვეული შოკის, აგრეთვე, აშშ-ის ჯერჯერობით გაურკვეველი პოლიტიკის ფონზე. თუმცა ევროკავშირის თავმჯდომარის, პოლონეთის ყოფილი პრემიერმინისტრის — **დონალდ ტუსკის** განცხადება არც ისე ოპტიმისტური იყო: **„ათეულობით წელიწადი დაგვჭირდა, რომ ევროპის ერთობისთვის მიგვეღწია, მის განადგურებას კი შეიძლება ძალიან ცოტა დრო დასჭირდეს. ევროპა, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, ან ერთიანი იქნება, ან, საერთოდ, გაქრება“.**

მსოფლიოში პროცესები ისე ვითარდება, რომ ევროკავშირის ასეთი სახით შენარჩუნება შეუძლებელი იქნება და საქართველოს ხელისუფლების სწრაფვა ევროკავშირსა და ნატოში გაერთიანებისკენ გაუგებარია. როგორც ჩანს, ეს იმ ბლეფის გაგრძელებაა, რომელსაც, ბოლო 2 ათეული წელია, მიმართავდნენ **შევარდნაძის, სააკაშვილისა** და **„ქართული ოცნების“** ხელისუფლებები.

**ნიკა კორინთელი**

**მომზადებულია უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით**

**„ევროპის სახალხო პარტიის მალტაზე გამართულ კონგრესზე სააკაშვილმა რეგისტრაცია გაიარა, როგორც დელეგატმა საქართველოდან. ო, როგორი მატყუარაა! ქართველებისგან გარბის, როგორც კურდღელი, ციხეში რომ არ ჩასვან მკვლელობებისა და კორუფციის გამო, უკრაინელებს კი ატყუებს, რომ უკრაინა უყვარს!“**

შიზოკრატია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სამარცხვინო და უტიფარი ცრუ

## სააკაშვილმა კიდევ ერთხელ მოიჭრა თავი

**საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, ოდესის ოლქის ექსგუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი რას აღარ კადრულობს, ოღონდ პოლიტიკური ოკეანის ზედაპირზე იტივტივოს და თავის პატრონებს დაანახვოს, რომ კვლავ აქტიურია, ხალხს კი — ქართველებსაც და უკრაინელებსაც — თვალში ნაცარს აყრის, რომ მათზეა დამაშვრალი.**

სააკაშვილი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა სასაცილო სიტუაციაში მალტაზე 29-30 მარტს გამართულ ევროპის სახალხო პარტიის კონგრესზე. ოდესის ექსგუბერნატორის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ამ ღონისძიების ამსახველ ფოტოებზე ჩანს, რომ მან სხვისი ადგილი დაიკავა დარბაზში: მაგიდაზე, რომელსაც სააკაშვილი უზის, დევს აბრა — ჰოლანდიის პარტია „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის — **სიბრანდ ვან ჰერსმა ბუმის** გვარით. როგორც ჩანს, სააკაშვილს სურდა, ახლოს ყოფილიყო უკრაინის პრეზიდენტ **პეტრო პოროშენკოსთან,** რომელიც ნიდერლანდების წარმომადგენლის წინ დასვეს და ამიტომაც აიტუზა უკრაინის პრეზიდენტის ზურგს უკან (გახსოვთ, ალბათ, როგორ იყო ატუზული თეთრი სახლის შესასვლელში **დონალდ ტრამპის** ინაუგურაციაზე). ამას გარდა, როგორც უკრაინული გამოცემა „ობოზრევატელი“ იუწყება, სააკაშვილმა ღონისძიებაზე რეგისტრაცია გაიარა, როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დელეგატმა, სოციალურ ქსელში კი დაწერა:

**„ოფიციალურმა ხელისუფლებამ საქართველოს მოქალაქეობა ჩამომართვა და კანონით არ მაქვს უფლება, რომ ვიყო პარტიის ლიდერი, მაგრამ ევროპის სახალხო პარტიამ ანგარიში არ გაუწია ივანიშვილი-მარგველაშვილის გადაწყვეტილებას და თავის კონგრესზე მალტაში სიტყვა მომცა, როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერს...**

**ანტიოლიგარქიული გამოსვლა მალტაზე გამართულ ევროპის სახალხო პარტიის ყრილობაზე ათობით სახელმწიფო მეთაურისა და ათასობით დელეგატის წინაშე: „ჩვენი ხალხები არასოდეს შეურიგდებიან ჩვენი ქვეყნების დაპყრობას ოლიგარქებისა და დემოკრატიის მტრების მიერ“.**

**მე, აგრეთვე, შევხვდი ევროკომისარს გაფართოების საკითხებზე, იოჰანეს ჰანს, რომელზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული უკრაინის უვიზო სტატუსი“.**

ექსგუბერნატორის საქციელმა აღაშფოთა უკრაინის რადიკალური პარტიის ლიდერი **ოლეგ ლიაშკო,** რომელმაც სააკაშვილის განცხადებას სოციალურ ქსელში ეს კომენტარი დაურთო: **„ევროპის სახალხო პარტიის მალტაზე გამართულ კონგრესზე სააკაშვილმა რეგისტრაცია გაიარა, როგორც დელეგატმა საქართველოდან. ო, როგორი მატყუარაა! ქართველებისგან გარბის, როგორც კურდღელი, ციხეში რომ არ ჩასვან მკვლელობებისა და კორუფციის გამო, უკრაინელებს კი ატყუებს, რომ უკრაინა უყვარს“.**

აღსანიშნავია, რომ მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც არა მხოლოდ უკრაინაში, არამედ საქართველოშიც არაერთი ტყუილი უთქვამს, უკრაინაში მაღალ სახელისუფლო პოსტზე „მოღვაწეობის“ თითქმის 2 წლის (2015 წლის მაისი—2016 წლის ნოემბერი) განმავლობაში არაერთხელ ყოფილა კონფუზში (სასაცილო, უხერხულ მდგომარეობაში). აი რამდენიმე შემთხვევა:

### „სამხედრო საიდუმლოების გაცემა“

2016 წლის იანვარში, დონბასში სამხედრო ოპერაციების ზონის მონახულების შემდეგ, სააკაშვილმა ვიდეოზე აღბეჭდა და შემდეგ გამოაქვეყნა უკრაინელი სამხედროების საიდუმლო ბლოკპოსტები, თვით მეომრები, ოპერატიული რუკა. უკრაინულმა მედიამ სააკაშვილის ეს საქციელი „სამხედრო საიდუმლოების გაცემად შეაფასა“.




### ავტომობილის საბარგულში

2015 წლის აგვისტოში სააკაშვილი მონაწილეობდა მომავალი პოლიციელების წვრთნაში. ის, როგორც ჩანს, საკუთარი პერსონის წარმოჩენის მიზნით, საპატრულო ავტომობილის საბარგულში შეძვრა. ეს ისე მოუქნელად და სასაცილოდ ჩანდა, რომ უკრაინულმა პრესამ უყურადღებოდ არ დატოვა: **„სააკაშვილმა უკრაინელ პოლიციელებთან ერთად წაივარჯიშა. ეს იმ შემთხვევაში, თუ მის დასაპატიმრებლად საქართველოდან ჩამოვლენ “.**

### შარვალი უკუღმა

უკრაინელი პოლიციელების წვრთნაში მონაწილეობიდან რამდენიმე დღის შემდეგ სააკაშვილი კვლავ აღმოჩნდა დაცინვის ობიექტი. ოდესის ოლქის საზეიმო ღონისძიებაზე ის საშინლად შემოსილი გამოცხადდა — ტანზე ცუდად მომდგარი და დაჭმუჭნილი კოსტიუმით. ფოტოზე ჩანს, როგორ ცდილობს სიცილისგან თავის შეკავებას ოდესის მერი. ოდესის გუბერნატორის ყოფილმა მრჩეველ **ზოია კაზანჟის** აზრით, **„სააკაშვილმა შარვალი, უბრალოდ, უკუღმა ჩაიცვა“.**

### შარვალი წინდაში

2016 წლის 20 მარტს ქალაქ დნეპროპეტროვსკში გამართული ანტიკორუფციული ფორუმის ტრიბუნაზე გამოსულმა სააკაშვილმა დამსწრე საზოგადოება ჩაცმის სტილით განაცვიფრა, როცა მათ წინაშე წინდაში ჩატანებული შარვლის ტოტით წარდგა.

**მალტაზე გამართულ ევროპის სახალხო პარტიის კონგრესზე მიხეილ სააკაშვილის მიწვევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ე.წ. დემოკრატიულ დასავლეთს, სააკაშვილის მამა-მარჩენლებს, ფეხებზე ჰკიდიათ საქართველო და მისი სუვერენიტეტი — საქართველოს ხელისუფლების მიერ ძებნილად გამოცხადებული სააკაშვილის არათუ დაკავებასა და ქართული მართლმსაჯულებისთვის გადმოცემაზე ფიქრობს ვინმე, არამედ ქართველი ხალხის სისხლში ხელგასვრილ ჯალათს სიამოვნებით იწვევენ საერთაშორისო შეხვედრებზე სიტყვით გამოსასვლელად**



რაც შეეხება სააკაშვილის ტყუილებს, **ამ ცრუპენტელამ, ჰალსტუხის მღეჭველმა და თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე მიწაზე მფორთხავმა დასავლეთის მარიონეტმა, რომელიც 2008 წელს საქართველოს მოსახლეობას უტიფრად ატყუებდა, რუსეთს ომი მოვუგეთო და თბილისში, რუსთაველზე, ტაშ-ფანდური გამართა, შემდეგ კი უსირცხვილოდ ყვებოდა, როგორ დაემალა რუსულ თვითმფრინავებს „ღრუბელ-ღრუბელ“, რამდენიმე დღის წინათ კიდევ ერთხელ უტიფრად იცრუა, როდესაც განაცხადა, რომ „ეზიზღება ტყუილი“** (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №10, 2017 წლის 15-21 მარტი).

ევროპის სახალხო პარტიის მალტაზე გამართულ კონგრესზე მიხეილ სააკაშვილის მიწვევით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ე.წ. დემოკრატიულ დასავლეთს, სააკაშვილის მამა-მარჩენლებს, ფეხებზე ჰკიდიათ საქართველო და მისი სუვერენიტეტი — საქართველოს ხელისუფლების მიერ ძებნილად გამოცხადებული სააკაშვილის არათუ დაკავებასა და ქართული მართლმსაჯულებისთვის გადმოცემაზე ფიქრობს ვინმე, არამედ ქართველი ხალხის სისხლში ხელგასვრილ ჯალათს სიამოვნებით იწვევენ საერთაშორისო შეხვედრებზე სიტყვით გამოსასვლელად.

თუმცა რა უნდა ქნან, სააკაშვილი ხომ მათი „ძაღლიშვილია“?!

**ნიკა კორინთელი**





**ამ ცრუპენტელამ, ჰალსტუხის მღეჭველმა და თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე მიწაზე მფორთხავმა დასავლეთის მარიონეტმა, რომელიც 2008 წელს საქართველოს მოსახლეობას უტიფრად ატყუებდა, რუსეთს ომი მოვუგეთო, და თბილისში, რუსთაველზე, ტაშ-ფანდური გამართა, შემდეგ კი უსირცხვილოდ ყვებოდა, როგორ დაემალა რუსულ თვითმფრინავებს «ღრუბელ-ღრუბელ», რამდენიმე დღის წინათ კიდევ ერთხელ უტიფრად იცრუა, როდესაც განაცხადა, რომ «ეზიზღება ტყუილი» (იხ. «საქართველო და მსოფლიო» №10, 2017 წლის 15-21 მარტი)**



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„მე, როგორც ერთ-ერთი სვანი, შვილი იმ კუთხისა, ვიდექი გზაზე, საიდანაც უნდა მოსულიყო უცხო ძალა და მე უნდა დამეცვა ჩემი პატარა კუთხის უფლება. ამის შემდეგ 24 წელში ისევ მომიხდა ამ როლის შესრულება, მაგრამ 24 წელში მომხდარმა ამბებმა, როგორც მოგახსენათ უფროსმა ამხანაგებმა, სასტიკი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე. მე ვიგრძენი, რომ ამ გზით სიარული არ შეიძლებოდა და, თუ ამ გზას გავაგრძელებდი, მე არათუ ბედნიერებას, პირიქით — უბედურებას მოვუტანდი ჩემს კუთხეს“.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-12 (377-388)

# რატომ იყო სტალინი ხალხის ბელადი

## სვანების აჯანყების გამომწვევი ჭეშმარიტი მიზეზები

**დოკუმენტი №33**
**ბიძინა პირველის საბოლოო სიტყვა**
**1925 წლის 1 აგვისტოს სხდომა**

**ბიძინა პირველი:** — პატივცემულო მოსამართლენო! აქ ბრალმდებელმა სრულიად დამშვიდებით გადაწყვიტა ჩემი ბედის საკითხი და მოითხოვა უმაღლესი სასჯელი. ეს გარემოება მე მამძიმებს იმ მხრივ, რომ შეიძლება ის, რაც მე აქ უნდა ვთქვა, თქვენ მიიღებთ იმას, რომ თითქოს მე მეშინოდეს და ამით იყოს გამოწვეული. სრულებით არა. მე მხოლოდ მინდა სასამართლოს მოვახსენო ის, რაც ჩავიდინე. დიახ, მე **ამ 4 წლის განმავლობაში გებრძოდით თქვენ და მეკუთვნის უმაღლესი სასჯელი. დიახ, მართალია, 4 წლის განმავლობაში ვებრძოდი იმ მთავრობას, რომლის იდეური, პოლიტიკური მოწინააღმდეგე ვიყავი. მე ამ 4 წლის განმავლობაში მთელი ჩემი არსებით იმ გზაზე ვიდექი, მე ამ ბრძოლაში ჩემს სიცოცხლეზე არ ვფიქრობდი. მე ვფიქრობდი გამარჯვებაზე, რომელსაც ჩემი სიცოცხლე ვანაცვალე.** არ იყო აქ პირადული მომენტი. აქ არ იყო რაიმე სხვა პირადი ანგარიში. აქ იყო სულ სხვა. ეს იყო ის, რომ მე ჩემი ერი მიყვარდა და ვგრძნობდი, რომ 21 წელი იყო სახიფათო ამ ერისთვის. ჩამოსული ჯარი იყო საოკუპაციო ჯარი და მე ამ შთაბეჭდილებით წავედი აქედან. მე არ მინდა, მოგახსენოთ იმ შთაბეჭდილებებზე, რომლებიც შექმნილი იყო იქ. მე ოთხი წლის განმავლობაში გებრძოდით თქვენ და არასოდეს მიფიქრია ჩემს პირად ცხოვრებაზე და არასოდეს უნახივარ მტერს უკან მოხედილი. მაგრამ უნდა აღვნიშნო ისიც, რომ კარგად ვიცოდი, რომ დამარცხებულებს არ სჯიან, ვინაიდან მე ძვალსა და რბილში მქონდა გამჯდარი, რომ დამარცხებულს არ სჭირია დამცირება. მე ჩემი ხელით ვუხვევდი ჭრილობებს იმ დაჭრილებს, რომლებსაც ბრძოლის ველზე ვნახულობდი და რომლებიც შეიძლება ჩემი ხელით იყვნენ დაჭრილნი, მაგრამ რაც იყო, იყო. რაც მოხდა, მოხდა. მე ამის შეფასებას არ შევუდგები. მე არ შევუდგები იმ პირობების შეფასებას, რომლებმაც ამ გზამდე მიმიყვანა. აი დღეს, რაკი ასე დავსვით საკითხი, მე უარს ვამბობ. მე მხოლოდ ვიტყვი, რომ ის პირობები, რომლებიც საერთოდ შეიქნა საქართველოში და რომლებმაც მე განსაკუთრებულ მდგომარეობაში ჩამაყენა, თავისთავად მამართლებენ სრულიად. მე მივიღე მონაწილეობა 21 წლის მიწურულს სვანეთის აჯანყებაში, მაგრამ ეს არ იყო ხელმძღვანელობა ჩემი მხრიდან. **მე, როგორც ერთ-ერთი სვანი, შვილი იმ კუთხისა, ვიდექი გზაზე, საიდანაც უნდა მოსულიყო უცხო ძალა და მე უნდა დამეცვა ჩემი პატარა კუთხის უფლება. ამის შემდეგ 24 წელში ისევ მომიხდა ამ როლის შესრულება, მაგრამ 24 წელში მომხდარმა ამბებმა, როგორც მოგახსენათ უფროსმა ამხანაგებმა, სასტიკი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე. მე ვიგრძენი, რომ ამ გზით სიარული არ შეიძლებოდა და, თუ ამ გზას გავაგრძელებდი, მე არათუ ბედნიერებას, პირიქით — უბედურებას მოვუტანდი ჩემს კუთხეს. ეს აზრი გულწრფელი იყო და გადავწყვიტე, გამოვცხადებულიყავი მთავრობის წარმომადგენელთან. ჯერ ლიკვიდაცია მომეხდინა იმ ნაწილების, რომლებიც გაჭრილი იყვნენ ტყეში და მერე წამოვსულიყავი ტფილისში მთავრობასთან, რომელიც შემპირდა სიცოცხლეს.** მე შევასრულე ჩემი გულწრფელი სიტყვა და ნაბიჯი, რომელიც აუცილებელი იყო სვანეთისთვის მოვახდინე, მერე წამოვედი ტფილისში. ჩემში ასეთი შთაბეჭდილება იყო: შენ რომ ჩახვალ ტფილისში და მოგკიდებენ ხელს და დაპირებას არ შეასრულებენ! მე არ მქონდა ნდობა. ვგრძნობდი, რომ მომატყუებდნენ, მაგრამ გადავდგი ეს ნაბიჯი. როდესაც ჩამოვედი, აქ მთავრობამ მომცა ამნისტიის ქაღალდი, შემპირდა, რომ დამაყენებდა გზაზე და ვმსახურობდი. გადის რამდენიმე ხანი. ერთი წელი აქა ვარ და ვასრულებ ჩემს სიტყვას, რაც განვაცხადე. მაგრამ დღეს პირობები შეიცვალა, მთავრობის მხრიდან და არა ჩემი მხრიდან. აქ მოქალაქე ბრალმდებელმა მოინდომა, რომ უმაღლესი სასჯელით დავისაჯო. შეიძლება ზოგჯერ კიდევაც გაგიკვირდათ, როდესაც ნერვებაშლილი ჩემს თითებს ვკბენდი და ვამბობდი: ეს არ უნდა დაგმართნოდა! არ უნდა მოტყუებულიყავი! როგორც უნდა წავიდეს ჩემი ბედი, მე ამას არ ვაქცევ ყურადღებას. მე ახალგაზრდა ვარ და ჩემი მომავალი წინ არის. **ჩემი ახალგაზრდული გატაცებით ვფიქრობდი, რომ სარგებლობა მომეტანა ჩემი პატარა კუთხისათვის. ამ აზრით ვიყავი გამსჭვალული და აჯანყების გზა მიმაჩნდა აუცილებელ გზად, რომელსაც შეუძლია საქართველოს ხსნა.** ამ გზის უვარგისობაში დავრწმუნდი. მე ვაღიარე ეს. გულწრფელი მთიური ვაჟკაცური სიტყვა მივეცი მთავრობას და ვაღიარე გულწრფელად, რომ ყოველმა ქართველმა უნდა შესცვალოს ეს გზა და მუშაობის სიმძიმე უნდა გადაიტანოს ერის კულტურულ ფრონტზე, რომ ამ მუშაობით მოაღონიეროს თავისი ერი. ახლა მე არაფერი მეთქმის. მე შემიძლია გითხრათ: მე ვენდე თქვენს პატიოსანს სიტყვას. მე შემეძლო სვანეთში დავმალულიყავი, ვყოფილიყავი ისევ იქ, გამეგრძელებზია ძველი გზა ან შემეძლო საზღვარგარეთ წავსულიყავი. მე მქონდა სურვილი, დავრჩენილიყავი აქ და მემუშავნა ჩემი ერის კეთილდღეობისათვის ეროვნულ კულტურულ აღმშენებლობის დარგში. ამავე დროს, ჩემი მიზანი არის ხალხის სამსახური. როგორც გითხარით, მომავალი წინ არის. მთელი ჩემი შეხედულება გადავიტანე, რომ დავეწაფო მეცნიერებას, შევიძინო რამე ისეთი, რომ მომავალში მეტი ბაგაჟით, მეტი წონით თუ გამოვიდე და გამოვადგე ჩემს ერს. ბევრს არ ვიტყვი. **მე ვიტყვი: დე, გაიგოთ ამ ჩემი მაგალითით თქვენ როგორ ასრულებთ თქვენს სიტყვას, როგორ აფასებთ თქვენს სიტყვას. თუ თქვენ მუხანათურად, ეგრე ღალატური ნაბიჯით ჩამიგდებთ, მაშინ მე მექნება სათქმელი, მართალი ვიყავი, როდესაც თქვენ გებრძოდით. ეს შემიძლია ვთქვა და უკანასკნელი სალამი მივუძღვნა ჩემს ერს, პატარა კუთხეს, რომელსაც მე ვემსახურებოდი მთელი ჩემი ახალგაზრდობით. სვანეთი, ჩემი პატარა სამშობლო, ლეგენდარული ქვეყანა არის.** ის დღესაც ლეგენდებით იკვებება. მე ვიცი, იქ დაარსდება ლეგენდა ერთი ახალგაზრდის სიცოცხლის ტრაღიკული ბედის შესახებ. მე ვიცი, ვინმე მოხუცი სვანი აიღებს ჭიანურს და დაამღერებს ჩემი ეგრედ უდროოდ დაღუპულ ბედ-იღბალს. მოხუცი ქალები ატირდებიან და ცრემლით დასველებული გაწყდება ჭიანურის სიმი და ამით შეშფოთებული ვაჟკაცი ავარდება მაღლა კოშკზე და ჩამორეკს სამგლოვიარო ზარს, რომ ამცნოს ქვეყანას, იმ პატარა კუთხეს, რომელსაც მე გულწრფელად ვემსახურებოდი, რომ კიდევ შესრულდა ერთი ტრაღედია.

დიახ, მოსამართლენო! მე მზად ვარ ჩემი მოქმედებისათვის პასუხი ვაგო. აი, ჩემი გული. ის სამ ტყვიას გააცივებს მაინც. აი, ჩემი სხეული. გინდათ, ჩამაგდეთ ბნელ სარდაფში, მაწამეთ, ამკუწეთ, დამგლიჯეთ! თქვენ წინაშე ვარ გულწრფელი სურვილით, რომ ჩემი ერისათვის რაიმე მიმეტანა. დღესაც მარტო ეს დამრჩენია ვთქვა, რომ მე ვემსახურებოდი ჩემს ერს, ჩემს ქვეყანას.

მე სრულიად შეგნებულად გამოვცხადდი თქვენ წინაშე. მე გულწრფელად გენდეთ თქვენ და თუ მოვტყუვდი, რა ვუყოთ, ალბათ, ისტორიაა, თუმც ისტორია არ შეჩერდება ჩემზე, მაგრამ ნაწილი საზოგადოებისა მაინც იტყვის.

მოსამართლენო! მე ვათავებ ჩემ სიტყვას. მე ბევრს არ მოგაწყენთ ჩემი ლაპარაკით. მე გეუბნებით მხოლოდ, მე მიყვარდა ჩემი ერი, ჩემი ქვეყანა, ის მუდამ მეყვარება.

მოსამართლენო! როდესაც თქვენ შეუდგებით ჩემი ბედის გადაწყვეტას, მაშინ გახსოვდეთ, მე მიყვარს ჩემი ერი, მუდამ ვიქნები მასთან და თქვენთანაც, თუ ჩემს ერს ანგარიშს გაუწევთ.

მე ვათავებ ჩემ სიტყვას და დეე, თქვენს სინდისზე იყოს გადაწყვეტა, მოსამართლენო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 379, ტომი 5, ფურცელი 318-325.



**«დიახ, მოსამართლენო! მე მზად ვარ, ჩემი მოქმედებისთვის პასუხი ვაგო. აი, ჩემი გული. ის სამ ტყვიას გააცივებს მაინც. აი, ჩემი სხეული. გინდათ, ჩამაგდეთ ბნელ სარდაფში, მაწამეთ, ამკუწეთ, დამგლიჯეთ! თქვენ წინაშე ვარ გულწრფელი სურვილით, რომ ჩემი ერისთვის რაიმე მიმეტანა. დღესაც მარტო ეს დამრჩენია, ვთქვა, რომ მე ვემსახურებოდი ჩემს ერს, ჩემს ქვეყანას»**

### დოკუმენტი №34

**1924 წლის აჯანყების მონაწილეთა საქმეზე**

**საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს**
**განაჩენი**
**1925 წლის 5 აგვისტო**
**ს[აქართველოს] ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] სახელით**

**უზენაესმა სასამართლომ თავის სამსჯავრო სხდომაზე განიხილა 1925 წლის 15 ივლისიდან 2/3 მარიამობის თვემდე, შემდეგი შემადგენლობით:**

**თავმჯდომარე ამხანაგი გ. ს. ვაშაძე**

**და სახალხო მსაჯულნი: ამხანაგები: ი. თ. სტურუა**
**ი. ა. ცინცაძე**

უზენაესი სასამართლო გამომდინარეობს რა ზემოთ აღნიშნული ჩამოყალიბებული ბრალდებისაგან და იხელმძღვანელა რა მე-317, 318, 319, 320, 326 და ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 26 მ[უხლე-ბით],

**ადგენს:**

**1. ბრალდება მიმართული: ვ. ბილანიშვილის, ნ. ნაკაშიძის, ა. კალანდარაშვილის, ე. ლატარიას, აკ. ფიჩხაიას, პ. ხურციძის, ლ. ესვანჯიას, შ. კალანდარაშვილის, ი. ავალიშვილის, ვ. ბერიძის და შ. თვალთვაძის მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 58-ე, I ნაწ[ილით] 59 მ[უხლებით], ჩაითვალოს დაუმტკიცებლად;**

**2.** ბრალდება მიმართული: ი. ფანოზიშვილისა და ა. ძაძამიას მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 61-ე მ[უხლით], ჩაითვალოს დაუმტკიცებლად;

**3. ბრალდება მიმართული დ. ონიაშვილის, გ. ანჯაფარიძის, გ. გიორგაძის, კ. ნინიძის, ნ. იმნაიშვილის, გ. რცხილაძის, ს. დადიანის, ა. კალანარაშვილის, შ. კალანდარაშვილის, ვ. ბილანიშვილის, ნ. ნაკაშიძის, ლატარიას, ფიჩხაიას, ხურციძის, ესვანჯიას, ავალიშვილის, ბერაძის, თვალთვაძის, ფანცულაიას, მამალაძის, ძაძამიას, ხოფერიას, გაბლიანის, კვირიკაძის, ჭანიშვილის, ივ. ლორთქიფანიძის, ნ. ქარცივაძის და ნ. კახიანის მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე-60 მ[უხლით], ჩაითვალოს დაუმტკიცებლად;**

**4.** ბრალდება მიმართული დ. ონიაშვილის, ნ. ქარცივაძის, ვ. ბილანიშვილის, ნ. ნაკაშიძის, გ. ანჯაფარიძის, ა. კალანდარაშვილის, ე. ლატარიას, ა. ფიჩხაიას, პ. ხურციძის, ლ. ესვანჯიას, შ. კალანდარაშვილის, ი. ავალიშვილის, ვ. ბერიძის, შ. თვალთვაძის, გ. გიორგაძის, ნ. იმნაიშვილის, კ. ნინიძის, გ. რცხილაძის, ს. დადიანის, ვ. ცინცაბაძის, გ. ბალთაძის, ნ. კახიანის, ვ. მამალაძის, თ. შენგელიას, შ. იოსელიან ის, ხ. ლაშხიას, **ბ. პირველის**, ვ. ნაცვლიშვილის და ვ. გეგეჭკორის მიმართ, გათვალისწინებული სისხ[ლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე-16, 64 მ[უხლებით], **ჩაითვალოს დაუმტკიცებლად;**

**5. ბრალდება მიმართული დ. ონიაშვილის, ნ. ქარცივაძის, ვ. ბილანიშვილის, ნ. ნაკაშიძის, გ. ანჯაფარიძის, ა. კალანდარაშვილის, ე. ლატარიას, ა. ფიჩხაიას, პ. ხურციძის, ლ. ესვანჯი-**

**„ჩემი ახალგაზრდული გატაცებით ვფიქრობდი, რომ სარგებლობა მომეტანა ჩემი პატარა კუთხისთვის. ამ აზრით ვიყავი გამსჭვალული და აჯანყების გზა მიმაჩნდა აუცილებელ გზად, რომელსაც შეუძლია საქართველოს ხსნა. ამ გზის უვარგისობაში დავრწმუნდი. მე ვაღიარე ეს. გულწრფელი მთიური ვაჟკაცური სიტყვა მივეცი მთავრობას და ვაღიარე გულწრფელად, რომ ყოველმა ქართველმა უნდა შეცვალოს ეს გზა და მუშაობის სიმძიმე უნდა გადაიტანოს ერის კულტურულ ფრონტზე, რომ ამ მუშაობით მოაღონიეროს თავისი ერი“.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ას, შ. კალანდარაშვილს, ვ. ბერიძის, შ. თვალთვაძის, გ. გიორგაძის, ნ. იმნაიშვილის, კ. ნინიძის, გ. რცხილაძის, ს. დადიანის და ფანცულაიას, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 66-ე მ[უხლებით], ჩაითვალოს დაუმტკიცებლად;**

**6.** ვახტანგ დიმიტრის ძე ნაცვლიშვილი, მის მიმართ წაყენებული ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო, გამართლებული იქნას;

**7. ბრალდება მიმართული ივანე ნესტორის ძე ლორთქიფანიძის, ვალერიან მიხეილის ძე ბილანიშვილის, ესტატე ბესარიონის ძე ლატარიას, აკაკი ალექსის ძე ფიჩხაიას, ლავრენტი ვასილის ძე ესვანჯიას, შალვა კონსტანტინეს ძე თვალთვაძის, ვლასი ლიკას ძე მამალაძის შალვა დიმიტრის ძე იოსელიანის, ხარიტონ პეტრეს ძე ლაშხიას, ვლადიმერ ალექსის ძე გეგეჭკორს, თეოფილე სიმონიეს ძე შენგელიას, ეგნატე გიორგის ძე გაბლიანს, ამბროსი საბას ძე კვირიკაძის, მიხეილ თომას ძე ჭანიშვილის, გაბრიელ კონსტანტინეს ძე გოგოლიშვილის, კონსტანტინე დარისპანის ძე ლორთქიფანიძის, ალექსანდრე სამსონის ძე ბოკერიას, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჩხაიძის, აკაკი მათეს ძე კალანდარაშვილის, შალვა მათეს ძე კალანდარაშვილის და არტემ ფილიპეს ძე ფანცულაიას მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 61-ე მ[უხლით], ჩაითვალოს დამტკიცებულათ. სასამართლო ითვალისწინებს რა მათ მიერ ჩადენილ ქმედობის მცირე მნიშვნელობას, თანახმად ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 28-ე მ[უხლისა] მიესაჯოს თითოეულ მათგანს თავისუფლების აღკვეთა სამი წლით, სასტიკი იზოლაციით. უზენაესი სასამართლო იღებს რა მხედველობაში, რომ ზემოაღნიშნული პირები საშიშროებას საბჭოთა ხელისუფლებისათვის არ წარმოადგენენ, თანახმად საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მე III სესიის 1925 წ[ლის] 7 მარტის დადგენილებისა, განთავისუფლებული იქნან სასჯელისაგან;**



**8.** ბრალდება მიმართული დავით ეფრემის ძე ონიაშვილის მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 58-ე, I ნაწ[ილით] 59-ე მ[უხლებისა], ჩაითვალოს დამტკიცებულათ. უზენაესი სასამართლო იღებს რა მხედველობაში დ. ონიაშვილის თავისი შეცდომების გულწრფელ აღიარებას საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, თანახმად ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 28-ე მ[უხლისა], მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა სამი წლით, სასტიკი იზოლაციით, წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით. ზენაესი სასაამრთლო ითვალისწინებს რა დ. ონიაშვილის ავადმყოფობას, დარჩენილი სასჯელის ვადას, თანახმად ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 46-ე მ[უხლისა], სთვლის პირობით სასჯელად სამი წლით გამასწორებელი ვადით;

**9. ბრალდება მიმართული: გრიგოლ სამსონის ძე რცხილაძის, სამსონ პლატონის ძე დადიანის, კირილე იასეს ძე ნინიძის, ნიკიფორე ბესარიონის ძე იმნაიშვილის და გრიგოლ კიმოთეს ძე გიორგაძის მიმართ, გათვლისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 58-ე, I ნაწ[ილით] 59-ე მ[უხლებისა], ჩაითვალოს დამტკიცებულათ. უზენაესი სასამართლო იღებს რა მხედველობაში, რომ ხსენებული პირები წინააღმდეგი იყვენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მოწყობის და სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე აღიარეს საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის აუცილებლობა, თანახმად ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 28-ე მ[უხლისა], მიესაჯოს თითოეულ მათგანს თავისუფლების აღკვეთა სამი წლით, სასტიკი იზოლაციით. უზენაესი სასამართლო ითვალისწინებს რა, რომ გ. რცხილაძე, ს. დადიანი, ნ. იმნაიშვილი, კ. ნინიძე, გ. გიორგაძე არ წარმოადგენენ საბჭოთა ხელისუფლებისთვის საშიშროებას, თანახმად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის 7 მარტის დადგენილებისა, გათავისუფლებული იქნან სასჯელისაგან;**

10. ბრალდება ალექსანდრე ბეგლარის ძე ძაძამიას მიმართ, გათვალისწინებული ს[იხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე-16, 64 მ[უხლებით], ჩაითვალოს დამტკიცებულათ. უზენაესი სასამართლო იღებს რა მხედველობაში მის პროლეტარულ მდგომარეობას, თანახმათ ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 28-ე მ[უხლისა], მიესაჯოს მას სამი წ[ლით] თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით. ხოლო ამ სასჯელის მოხდიდან საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის 7 მარტის დადგენილების თანახმათ, განთავისუფლებულ იქნას;

**11. ბრალდება ნიკოლოზ იოთამის ძე ქარცივაძის მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 58-ე, I ნაწ[ილით] 59-ე მ[უხლებით], რომელზედაც ის ერთხელ უკვე იყო გასამართლებული საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ, უზენაესი სასამართლო ხელმძღვანელობს რა ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე-3 მ[უხლით], ნ. ქარცივაძეს ამ საქმეზე სასამართლო პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს;**

12. ბრალდება იაკობ საბას ძე ფანოზიშვილის მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე-16, 64 მ[უხლებით], რომელზედაც ის ერთხელ უკვე იყო გასამართლებული საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ, უზენაესი სასამართლო ხელმძღვანელობს რა სისხლის სამართლის კოდექსისი მე-3 მუხლით, ი. ფანოზიშვილის ამ საქმეზე სასამართლო პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს;

**13. ბრალდება მიმართული: აპოლონ კომოთეს ძე ბახტაძის, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ნაკაშიძის, ვლადიმერ ალექსის ძე ბერიძის, პართენ ივანეს ძე ხურციძის და გენადი მოსეს ძე ბელთაძის მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 61-ე მ[უხლით], ჩაითვალოს დამტკიცებულათ და თანახმათ ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 28-ე მ[უხლისა], მიესაჯოს თითეულ მათგანს თავისუფლების აღკვეთა სამი წლით, სასტიკი იზოლაციით, წინასწარი დაპატიმრების დროის ჩათვლით;**

14. ბრალდება სიმონ გიორგის ძე ხოფერიას მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 61-ე, 16-ე, 64-ე მ[უხლებით], ჩაითვალოს დამტკიცებულათ და თანახმათ ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 28-ე მ[უხლისა], მიესაჯოს მას სამი წ[ლით] თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლაციით, წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით;

**15. ბრალდება გიორგი ნესტორის ძე ანჯაფარიძის მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 58-ე, I ნაწ[ილით] 59-ე მ[უხლებისა], ჩაითვალოს დამტკიცებულად და მიესაჯოს მას თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით, სასტიკი იზოლაციითა და წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით;**

**16. ბრალდება მიმართული ივანე დავითის ძე ავალიშვილისა და ბიძინა გიორგის ძე პირველის** მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 61-ე მ[უხლით], ჩაითვალოს დამტკიცებულად და მიესაჯოს თითეულ მათგანს **ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა**, სასტიკი იზოლაციით და წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით;

**17. ბრალდება ნაპოლეონ ილიას ძე კახიანის მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 61-ე მ[უხლით], ჩაითვალოს დამტკიცებულათ და მიესაჯოს მას თავისუფლების აღკვეთა რვა წლით, სასტიკი იზოლაციით და წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით;**

18. ბრალდება გრიგოლ დიმიტრის ძე ცინცაბაძის მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე-60, 61-ე მ[უხლებით], ჩაითვალოს დამტკიცებულად და მიესაჯოს მას რვა წლით თავისუფლების ატკვეთა, სასტიკი იზოლაციით და წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით;

19. ბრალდება მიმართული კონსტანტინე ემანუილის ძე ანდრონიკაშვილის, იასონ ვლადიმერის ძე ჯავახიშვილის, გრიგოლ ევგენის ძე ჯინორიას, მიხეილ ნიკოლოზის ძე ბოჭორიშვილის და მიხეილ ნიკოლოზის ძე იშხნელის მიმართ, რომელთაგან პირველ ოთხს ბრალდებათ ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 58-ე, I ნაწ[ილით] 59-ე, მე-60, მე-16, 64-ე, 66-ე მ[უხლებით] გათვალისწინებული დანაშაული და უკანასკნელს ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 61-ე, მე-60, მე-16, 64-ე, 66-ე მ[უხლები], ჩაითვალოს დამტკიცებულად და მიესაჯოთ მათ სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. **უზენაესი სასამართლო იღებს რა მხედველობაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და, აგრეთვე, ზემოაღნიშნული ბრალდებულების სამსჯავრო სხდომაზე განცხადებას, რითაც ისინი მოუწოდებენ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს, დაადგნენ მშვიდობიან გზას და საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობით მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოებრივ, ეკონომიურ და კულტურულ აღმშენებლობაში, სასჯელის უმაღლეს ზომას — დახვრეტას — ცვლის ათი წლით თავისუფლების აღკვეთით, სასტიკი იზოლაციითა და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით. განაჩენი საბოლოოა და არ შეიძლება გასაჩივრდეს.**

**ნივთები, დამამტკიცებელი საბუთები, გადაეცეს რევოლუციის მუზეუმს.**

**თავმჯდომარე გალაქტიონ ვაშაძე**

**წევრები: ვანო სტურუა, ი. ცინცაძე**

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 766-779.**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



**«უზენაესი სასამართლო იღებს რა მხედველობაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და, აგრეთვე, ზემოაღნიშნული ბრალდებულების სამსჯავრო სხდომაზე განცხადებას, რითაც ისინი მოუწოდებენ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს, დაადგნენ მშვიდობიან გზას და საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობით მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოებრივ, ეკონომიურ და კულტურულ აღმშენებლობაში, სასჯელის უმაღლეს ზომას — დახვრეტას — ცვლის ათი წლით თავისუფლების აღკვეთით, სასტიკი იზოლაციითა და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით. განაჩენი საბოლოოა და არ შეიძლება გასაჩივრდეს»**


## გამოვიდა II ტომი




## ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

არა არის დაფარული
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გვამის გაკვეთისას მედიკოსებმა დაადგინეს, რომ ბერეზოვსკის ნეკნი გატეხილი ჰქონდა. როდესაც ცხედარი იპოვეს, მის გვერდით ეგდო რაღაც საგანი, რომელიც ჰგავდა ზონარს თუ გადასახვევ მასალას. აქამდე დადგენილი არ არის, ვის ეკუთვნის ცერის ანაბეჭდი აბაზანაში. ექსპერტები, რომლებმაც ნახეს ფოტო აბაზანისა, რომელშიც, ოფიციალური ვერსიით, ბერეზოვსკიმ სიცოცხლე მოისწრაფა, ამბობენ, რომ იქ თავის ჩამოხრჩობა შეუძლებელი იყო — ძელი ვერ გაუძლებდა მამაკაცის სიმძიმეს, ამის მიუხედავად, ბრიტანელი სამართალდამცველები მაინც გაიძახიან, რომ ბერეზოვსკიმ თავი მოიკლა.**

# როდესაც ბერეზოვსკი სახიფათო შეიქნა გადაბირებული რუსი პოლიტიკოსებისთვის, ის დასავლეთის სპეცსამსახურებმა მოიშორეს

**2013 წლის 23 მარტს 67 წლის ბიზნესმენის — ბორის ბერეზოვსკი მისმა პირადმა მცველმა ინგლისში, ქალაქ ასკოტში, ბერეზოვსკის ყოფილი ცოლის, გალინა ბეშაროვას, კუთვნილი სახლის აბაზანაში ჩამომხრჩვალი იპოვა. გვამის გაკვეთისას მედიკოსებმა დაადგინეს, რომ ბერეზოვსკის ნეკნი გატეხილი ჰქონდა. როდესაც ცხედარი იპოვეს, მის გვერდით ეგდო რაღაც საგანი, რომელიც ჰგავდა ზონარს თუ გადასახვევ მასალას. აქამდე დადგენილი არ არის, ვის ეკუთვნის ცერის ანაბეჭდი აბაზანაში. ექსპერტები, რომლებმაც ნახეს ფოტო აბაზანისა, რომელშიც, ოფიციალური ვერსიით, ბერეზოვსკიმ სიცოცხლე მოისწრაფა, ამბობენ, რომ იქ თავის ჩამოხრჩობა შეუძლებელი იყო — ძელი ვერ გაუძლებდა მამაკაცის სიმძიმეს, ამის მიუხედავად, ბრიტანელი სამართალდამცველები მაინც გაიძახიან, რომ ბერეზოვსკიმ თავი მოიკლა. მას შემდეგ ოთხი წელიწადი გავიდა, მაგრამ გამოძიება წინ არ წაწეულა. ბიზნესმენის გარდაცვალებაზე კი უამრავი ვერსია არსებობს.**

ოფიციალური ვერსიის თანახმად, რუსეთიდან გაქცეული ოლიგარქი საშინელ დეპრესიას განიცდიდა ვალების გამო და ამიტომ დაასრულა სიცოცხლე თვითმკვლელობით, მაგრამ ბიზნესმენის გარემოცვას ამ ვერსიის არ სჯერა.

**სერგეი სოკოლოვი,** რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ბორის ბერეზოვსკის უსაფრთხოების დაცვას რუსეთში, ამბობს, რომ ბერეზოვსკის ანგარიშებზე მილიარდამდე დოლარი იყო:

„ბერეზოვსკის სიკვდილი ჩემთვის ამოხსნილი რებუსია. დარწმუნებული ვარ, ეს დასავლეთის სპეცსამსახურების ნახელავია. ბორისი მოკლეს იმიტომ, რომ ჰქონდა საიდუმლო ინფორმაცია, რომლის გასაჯაროებასაც აპირებდა. ეს ზუსტად ვიცი. ბერეზოვსკი არ იყო ღარიბი. მისი სიკვდილის შემდეგ სასწრაფოდ გავრცელდა ხმა, რომ **რომან აბრამოვიჩთან** სასამართლო პროცესის შემდეგ ისე გაღარიბდა, თვითმფრინავის ბილეთის ყიდვაც არ შეეძლო და ფული ნაცნობი ბიზნესმენისგან ისესხაო. ეს მტკნარი სიცრუეა. მას სიკვდილის მომენტში დაახლოებით მილიარდი დოლარი ჰქონდა ანგარიშებზე. პირადი ცხოვრებაც აწყობილი ჰქონდა: შვილები, ცოლები და ახალგაზრდა გოგონები, რომლებიც თავს ეხვეოდნენ, ყველა კმაყოფილი ჰყავდა. არც დეპრესიას განიცდიდა.

**ბერეზოვსკი აპირებდა რუსეთში დაბრუნებას და სურდა, ინდულგენცია მიეღო რუსეთის ხელისუფლებისგან. ის სწორედ იმიტომ მოკლეს, რომ ხელთ არსებული საიდუმლო ინფორმაციის გადაცემას აპირებდა პუტინისთვის. ეს იყო აუდიო და ვიდეოჩანაწერები რამდენიმე ოლიგარქზე, რომლებიც მას ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას სთავაზობდნენ მაღალი თანამდებობის სანაცვლოდ. ბერეზოვსკი ამ ადამიანებისთვის, რომლებზეც კომპრომატი შეაგროვა, დიდ საფრთხეს წარმოადგენდა.**

ბერეზოვსკის სიკვდილი ხელს აძლევდა დასავლეთის სპეცსამსახურებს. მათ გარეშე ინგლისში არაფერი კეთდება. ყველა ყოფილი ჩვენიანი, რომლებმაც თავშესაფარი მიიღეს ლონდონში, ასე თუ ისე, ინგლისის დაზვერვის ინტერესებს ემსახურებიან. მაგრამ გადაბირება ისეთი ფიგურისა, როგორიც ბერეზოვსკი იყო, ძალიან რთულია. ასეთები იდეოლოგიური მოსაზრებით ან თანამშრომლობენ სპეცსამსახურებთან, ან — არა. ვიცი, რომ ბერეზოვსკის ახლო ურთიერთობა ჰქონდა „მი 6“-თან (დიდი ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის სამსახური), „მოსადთან“ (ისრაელის დაზვერვა) და აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან, რადგან ბევრი რამ, რასაც ბერეზოვსკი იღებდა ბრიტანეთის ხელისუფლებისგან, შეუძლებელი იყო ამ ქვეყნის სპეცსამსახურის ნებართვის გარეშე. და, **როდესაც ბერეზოვსკი სახიფათო შეიქნა გადაბირებული რუსი პოლიტიკოსებისთვის, ის დასავლეთის სპეცსამსახურებმა მოიშორეს“.**

ბერეზოვსკის მკვლელობა რამდენიმე თვის განმავლობაში მზადდებოდა. როგორც ჩანს, ეს სპეცსამსახურების მიერ ბრწყინვალედ შესრულებული ოპერაცია იყო. თვითონ განსაჯეთ:

*** ბერეზოვსკის სახლს დღე და ღამ იცავდა დაცვის სამსახური და მთელ პერიმეტრზე ვიდეოკამერები იყო დაყენებული. ოლიგარქის სიკვდილის დღეს კი დაცვის ყველა წევრი (ბერეზოვსკის პირადი მცველისა და მძღოლის — ავი ნავამის გარდა, რომელმაც ოლიგარქის ცხედარი იპოვა, მოგვიანებით კი განაცხადა, რომ ბაბი (ბორის აბრამის ძე ბერეზოვსკი) დეპრესიაში იყო, სადღაც გაქრა, ხოლო ვიდეოკამერები, რომლებიც ყოველ 100 მეტრშია დამონტაჟებული, გათიშული იყო.**

***** ამ ოპერაციაში, როგორც ჩანს, მონაწილეობდა არა მხოლოდ „მი 6“, არამედ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოც და ბერეზოვსკის გარემოცვაში იყვნენ ამ სპეცსამსახურების მიერ გადაბირებული ადამიანები, მათ შორის, დაცვის წევრები.

სკოტლენდ-იარდის წარმომადგენლები ოლიგარქის დაღუპვის მიზეზებზე ბუნდოვნად საუბრობენ: „სიკვდილის მიზეზი შეესაბამება თავის ჩამოხრჩობის ვერსიას“.

## ავი ნავამზე, რომელმაც ოლიგარქის ცხედარი იპოვა, არაფერი ისმის.

სხვათა შორის, ლონდონში გაურკვეველ ვითარებაში დაასრულეს სიცოცხლე ბერეზოვსკის ბიზნესპარტნიორებმაც — **ბადრი პატარკაციშვილმა** და **ალექსანდრე პერეპილიჩენკომ.** ისინი ბერეზოვსკისთან ახლოს ცხოვრობდნენ. ნისლიანი ალბიონის ამ ფეშენებელურ ნაწილში მდიდრები ხშირად ყიდულობენ მამულს. სხვათა შორის, ლონდონში დაიღუპნენ ბერეზოვსკის ბრიტანელი პარტნიორებიც: 55 წლის ბიზნესმენი **ჯონი ელიჩაოფი**, რომელიც ბრიტანეთის დედაქალაქის ერთ-ერთი მაღაზიის სახურავიდან გადმოხტა, და 52 წლის **სკოტ იანგი**, რომელმაც ამ შემთხვევიდან ერთი თვის თავზე ანალოგიურად მოისწრაფა სიცოცხლე.

ბერეზოვსკი ლონდონის სასაფლაო განერბერიზე უნდა დაესაფლავებინათ — ასე სურდათ გარდაცვლილის ნათესავებს, მაგრამ დაკრძალვის ცერემონია გარდაცვალებიდან თვე-ნახევრის შემდეგ გაიმართა ბრიტანეთის დედაქალაქიდან 50 კმ-ის მოშორებით — დახურული კუბო, კონსპირაციული და საიდუმლო ცერემონია, თუმცა პაპარაცებმა მაინც შეძლეს მომღიმარი ადამიანების გადაღება, რომლებსაც მწუხარების არაფერი ეტყობოდათ.

ახლახან გაჩნდა ბერეზოვსკის მკვლელობის კიდევ ერთი ვერსია: **ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ოლიგარქს შეიძლება ხელში ჩაუვარდა „მამაკაცური ხუთშაბათის კლუბის“ დოკუმენტები.**

XX საუკუნის 40-იან წლებში ლონდონის ბოჰემის წარმომადგენლები სამეფო სისხლის მქონე რამდენიმე პიროვნებასთან ერთად სექსუალური ორგიების ჩასატარებლად იკრიბებოდნენ, მათ შორის იყო ედინბურგის პრინცი **ფილიპი** — ინგლისის სამეფო ტახტის მემკვიდრე **პრინცესა ელისაბედის** ახალგაზრდა ქმარი. ამ ადამიანების გარყვნილება ფოტოებზე აღბეჭდა იმხანად სამეფო ოჯახის ფოტოგრაფმა **ბერონ ნეიჰუმმა.** მას შემდეგ, რაც ელისაბედ II ტახტზე ავიდა, „მამაკაცური ხუთშაბათის კლუბი“ დაიხურა, ფოტოარქივი კი გაქრა. ექსპერტთა აზრით, სკანდალური ფოტოები ბერეზოვსკის ჩაუვარდა ხელში.

სხვა ვერსიით, ბერეზოვსკი მოკლეს იმის გამო, რომ ანდერძიდან, რომელიც სიკვდილამდე 9 დღით ადრე შეადგინა, ამოიღო მეორე ცოლი — **გალინა ბეშაროვა** და შვილები, რომლებიც მასთან ჰყავდა — 23 წლის **არტემი** და 20 წლის **ანასტასია.** ეს გამოწვეული იყო იმით, რომ გალინამ განქორწინებისას ბაბს 100 მლნ გირვანქა სტერლინგი წაართვა.

მიუხედავად იმისა, რომ ბერეზოვსკიმ მეორე ცოლი ანდერძიდან ამოიღო, რატომღაც მის სახლში მივიდა იმ საბედისწერო ღამეს. მეორე დღეს კი ბეშაროვამ პოლიციას აცნობა, რომ მის სააბაზანოში იპოვეს ბერეზოვსკის ცხედარი, რომელსაც ყელზე შემოხვეული აქვს ზეწარი თუ თოკი, რომლითაც ფარდა იყო ჩამოკიდებული.

სამართალდამცველების აზრით, სახლში შეღწევა შეუძლებელი იყო, თვითმკვლელობის ვერსიაც ძალიან საეჭვოა და, გამოდის, ბაბი მისი უახლესი გარემოცვის წარმომადგენელმა გამოასალმა სიცოცხლეს, ამას კი მკვლელი სპეცსამსახურის დაუხმარებლად ვერ შეძლებდა.

არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომლის მიხედვით ბერეზოვსკი თავიდან მოიშორეს იმის გამო, რომ მზად იყო, მოსკოვთან შერიგების სანაცვლოდ ჩვენება მიეცა სკანდალებით განთქმული მაგნატის — **უილიამ ბრაუდერის** ფონდ Hermitage Capital-იდან გამქრალ მილიარდებზე.

**ბორის ბერეზოვსკიმ თავის დროზე მონანიების 2 წერილი გაუგზავნა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ბიზნესპარტნიორების ხელით. როგორც პუტინმა განაცხადა, ბერეზოვსკი წერდა, რომ ბევრი შეცდომა დაუშვა და მიტევებას ითხოვდა, აგრეთვე, დაბრუნების უფლებას რუსეთში. ეს იყო დიდი ოპერაციის ნაწილი, რომელსაც ბიზნესმენი გეგმავდა.**

ასეა თუ ისე, ბრიტანელი გამომძიებლების მიმართ, რომლებიც ბორის ბერეზოვსკის იდუმალებით მოცულ ვითარებაში დაღუპვის საქმეს იძიებდნენ, ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს...



**ბერეზოვსკის სახლს დღე და ღამ იცავდა დაცვის სამსახური და მთელ პერიმეტრზე ვიდეოკამერები იყო დაყენებული. ოლიგარქის სიკვდილის დღეს კი დაცვის ყველა წევრი (ბერეზოვსკის პირადი მცველისა და მძღოლის — ავი ნავამის გარდა, რომელმაც ოლიგარქის ცხედარი იპოვა, მოგვიანებით კი განაცხადა, რომ ბაბი (ბორის აბრამის ძე ბერეზოვსკი) დეპრესიაში იყო, სადღაც გაქრა, ხოლო ვიდეოკამერები, რომლებიც ყოველ 100 მეტრშია დამონტაჟებული, გათიშული იყო**



სახლი, რომელშიც 2013 წლის 23 მარტს შეწყდა ბორის ბერეზოვსკის სიცოცხლე



აბაზანა

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„2015 წლიდან დღემდე კონტროლი ჩაუტარდა ბრაზილიიდან შემოტანილ ხორცსა და ხორცის პროდუქტების 1305 სასაქონლო პარტიას, ლაბორატორიულად გამოკვლეულ იქნა 290 ნიმუში. მათგან მიკრობიოლოგიური შეუსაბამობა აღმოჩნდა 4 სასაქონლო პარტიაში (სალმონელა). კომპანია JBS-დან შემოსულია 114 სასაქონლო პარტია, მათგან 25, მონიტორინგის გეგმის თანახმად, დაექვემდებარა ნიმუშების აღებას, ერთში აღმოჩნდა სალმონელა (ქათმის გაყინული ღვიძლი – 25 182 კგ ). კომპანია BRF-დან შემოსულია 152 სასაქონლო პარტია, მათგან 30 დაექვემდებარა ნიმუშების აღებას და ერთ სასაქონლო პარტიაში აღმოჩნდა სალმონელა (გაყინული ქათამი – 25 700 კგ)“.

# ბრაზილიიდან იმპორტირებულ ქათმის ხორცში სალმონელა აღმოჩნდა

## ევროპამ ბრაზილიიდან ხორცის იმპორტი შეაჩერა, საქართველომ — არა

**CNNMoney-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სკანდალში გახვეული არც ერთი ქარხნიდან ევროპაში ხორცი აღარ შევა. ბრაზილიიდან ხორცის იმპორტი საერთოდ აკრძალა ჩინეთმა, ჩილემ, კანადამ, მექსიკამ, ეგვიპტემ და კიდევ რამდენიმე ქვეყანამ. მკაცრი კონტროლი დააწესა რუსეთმა, ხარისხის ინსპექტირებას იწყებს ამერიკა. ქვეყნებმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც ბრაზილიის ხელისუფლებამ ვადაგასული ხორცით ვაჭრობის მასშტაბური სქემა გაშიფრა, — იუწყება commersant.ge**

ბრაზილიაში უვარგისი, გაფუჭებული ხორცის გაყიდვის გამო 3 ქარხანა უკვე დაიხურა; 21-ში კი შემოწმება გრძელდება. ამ საკითხზე გამოძიება 2 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. საბოლოოდ კი, ბრაზილიის 6 შტატში 194 საწარმოში ჩატარებული რეიდების შედეგად ფედერალურმა პოლიციამ დაადგინა, რომ ქარხანათა უმეტესობა სერტიფიკატებს ქრთამის მეშვეობით იღებდა. იმ კომპანიებს შორის, რომლებშიც ჰიგიენის ნორმების დარღვევა გამოვლინდა, „სადიასა“ და „სიერას“ ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანიები JBS-ი და BRF-ი მოხვდა. აღსანიშნავია, რომ ამ კომპანიების პროდუქცია საქართველოშიც იყიდება. რაც შეეხება საქართველოს, **როგორც შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ბრაზილიიდან იმპორტირებული ხორცი საქართველოში ლაბორატორიულ კვლევას დაექვემდებარება.** მათი ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლისას ხორცისა და ხორცპროდუქტების ფიზიკური შემოწმებისა და ლაბორატორიული კვლევის სიხშირე განსაზღვრულია სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული მონიტორინგის გეგმით, რომელიც ეფუძნება რისკის ანალიზს და ითვალისწინებს პროდუქციის სახეობას, წარმოშობის ქვეყანას, ადამიანთა და ცხოველთა ჯანმრთელობის საფრთხეს. გეგმა მტკიცდება ყოველწლიურად, სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით და შედგენისას გათვალისწინებულია ევროკავშირის პრაქტიკა.

აღსანიშნავია, რომ გარკვეულ შემთხვევებში (მაგალითად, გარე წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით ან შემოსავლების სამსახურის მიერ ჩატარებული სხვადასხვა კვლევის შედეგის მიხედვით და ა.შ.) შესაძლებელია, გეგმის გარდა, სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით, განხორციელდეს დამატებითი საკონტროლო ღონისძიებებიც.

თითოეულ იმპორტირებულ სასაქონლო პარტიას აქვს შესაბამისი ვეტერინარული ან ჯანმრთელობის სერტიფიკატი, რომელშიც არის ინფორმაცია ადამიანისა და ცხოველთა ჯანმრთელობისთვის პროდუქტის უსაფრთხოების შესახებ და რომლის გაცემაზეც პასუხისმგებელია ექსპორტიორი ქვეყნის შესაბამისი სამსახური.

„საქართველოში დაშვებულია მხოლოდ ევროკომისიის მიერ აღიარებულ საწარმოებში წარმოებული პროდუქციის იმპორტი. 2015 წლიდან დღემდე კონტროლი ჩაუტარდა ბრაზილიიდან შემოტანილ ხორცსა და ხორცის პროდუქტების 1305 სასაქონლო პარტიას, ლაბორატორიულად გამოკვლეულ იქნა 290 ნიმუში. მათგან მიკრობიოლოგიური შეუსაბამობა აღმოჩნდა 4 სასაქონლო პარტიაში (სალმონელა). კომპანია JBS-დან შემოსულია 114 სასაქონლო პარტია, მათგან 25, მონიტორინგის გეგმის თანახმად, დაექვემდებარა ნიმუშების აღებას, ერთში აღმოჩნდა სალმონელა (ქათმის გაყინული ღვიძლი — 25 182 კგ). კომპანია BRF-დან შემოსულია 152 სასაქონლო პარტია, მათგან 30 დაექვემდებარა ნიმუშების აღებას და ერთ სასაქონლო პარტიაში აღმოჩნდა სალმონელა (გაყინული ქათამი — 25 700 კგ). უნდა აღინიშნოს, რომ სწრაფი განგაშის შეტყობინების სისტემით (RASFF), რომელიც ემსახურება ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი პროდუქციის შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ გადაცემას ევროკავშირის ქვეყნებში და რომელშიც ჩართულია სურსათის ეროვნული სააგენტოც, ბრაზილიიდან ექსპორტირებულ ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე შეტყობინება არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მიერ უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ბრაზილიიდან ხორცის იმპორტის ყველა სასაქონლო პარტია დაექვემდებარება ლაბორატორიულ კვლევას და, მიღებული შედეგიდან გამომდინარე, მოხდება კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება“, — ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.



**იმ კომპანიებს შორის, რომლებშიც ჰიგიენის ნორმების დარღვევა გამოვლინდა, მოხვდა «სადიასა» და «სიერას» ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანიები JBS-ი და BRF-ი, რომელთა პროდუქცია საქართველოშიც იყიდება**

საქართველოში ბრაზილიიდან იმპორტირებული ხორცის ლაბორატორიული კვლევის მიზეზი ბრაზილიის ხელისუფლების მიერ რამდენიმე მსხვილ ხორცის მწარმოებელ ბრაზილიურ კომპანიაში აღმოჩენილი დარღვევები გახდა.

**ცნობისთვის:**

**სალმონელა დაავადებაა, რომელიც აზიანებს საჭმლის მომნელებელ სისტემას. სალმონელას ბაქტერია, ძირითადად, ცხოვრობს ცხოველებისა და ადამიანების ნაწლავებში, საიდანაც იგი ფეკალიებთან ერთად გამოდის. ადამიანები ინფიცირდებიან, ძირითადად, დაბინძურებული წყლის ან საკვების მიღებით. სალმონელათი დაავადებულის სიმპტომებია: ფაღარათი, სიცხე ან მუცლის სპაზმები. ინფიცირებიდან 8-72 საათის შემდეგ ზოგიერთ შემთხვევაში სალმონელათი გამოწვეულმა ფაღარათმა, შესაძლოა, ისე გამოფიტოს ადამიანი, რომ საჭირო გახდეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება. იმ შემთხვევაში, თუ ინფექცია გასცდა ნაწლავებს და გავრცელდა, შესაძლოა, განვითარდეს სიცოცხლისთვის საშიში გართულებები.**

# სახელმწიფომ «ნენსკრა ჰიდროს» 100 ჰექტარამდე მიწა ერთ დოლარად გადასცა



**საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 97,52 ჰექტარი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები ერთ ამერიკულ დოლარად სს „ნენსკრა ჰიდროს“ გადაეცა. მთავრობამ შესაბამისი განკარგულება 2017 წლის 14 მარტს გამოსცა.**

ამ განკარგულებით, უძრავი ქონების საპრივატიზაციო პირობებია:

ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში საპრივატიზაციო თანხის გადახდა;

ნენსკრაჰესის აშენება და ექსპლუატაციაში მიღება.

280 მეგავატის სიმძლავრის ჰესის მშენებლობის დაწყების შესახებ ხელშეკრულებას ხელი 2015 წლის აგვისტოში მოაწერეს. მშენებლობას კორეული კომპანია K waters ახორციელებს. ოფიციალური ინფორმაციით, ჰესი ელექტროენერგიის გამომუშავებას 2019 წლიდან დაიწყებს, ხოლო პროექტი 2021 წელს დასრულდება.

ჰესის ღირებულება 1 მილიარდი აშშ დოლარია. ჰესის მშენებლობის საბანკო სესხის ნაწილში „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი“, „აზიის განვითარების ბანკი“ და კორეის „ექსიმ ბანკი“ მონაწილეობენ. ჰესმა წელიწადში 1.2 მილიარდი კვტ/სთ უნდა გამოიმუშავოს.

**ჰესის მშენებლობას აპროტესტებს ადგილობრივი მოსახლეობა.**

**მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერში დიდი ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ აქცია 2016 წლის ივლისშიც გაიმართა. აქციის მონაწილეებმა ხელისუფლებისადმი 4-პუნქტიან მოთხოვნათა წერილი შეიმუშავეს. ისინი განსაკუთრებით ნენსკრაჰესის მშენებლობას აპროტესტებენ. მათ სურთ, რომ შეწყდეს პროექტის დაფინანსების განხილვა, სანამ:**

*არ შეიქმნება ალტერნატიული პროექტი, რომელიც არ გულისხმობს ხეობის დატბორვას;

*არ იქნება წარმოდგენილი ინფორმაცია, რა სარგებელს მოუტანს პროექტი თემს და საპირწონეა თუ არა ეს სარგებელი იმ ზიანის, რომელიც მიადგება ქვეყანას;

*არ მოხდება გეოლოგიური საფრთხეების შესწავლა და თემისათვის წარდგენა;

*არ მოხდება პროექტის საჯარო განხილვა, რომელშიც ჩართულნი იქნებიან, როგორც საერთაშორისო ექსპერტები, ასევე, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

# რა დაუჯდა ახმეტის ბიუჯეტს საკრებულოს თავმჯდომარის სატელეფონო «ცელქობა»

**ახმეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გელა ჯუღაშვილმა თანამდებობიდან გადადგომამდე კორპორაციულ ტელეფონზე ულიმიტო ინტერნეტის მომსახურება გაიაქტიურა, რაც შემდეგ უწყვეტ რეჟიმში დარჩა ჩართული. საბოლოოდ მომსახურების საფასურმა 4 000 ლარს გადააჭარბა. აღნიშნული თანხა შპს „მაგთიკომს“ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გადაურიცხეს, იმის მიუხედავად, რომ თვითმმართველობის თანამდებობის პირთა ინტერნეტით მომსახურება ბიუჯეტიდან არ ფინანსდება.**



კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ახმეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გელა ჯუღაშვილმა** 2015 წელს სამსახურებრივი ტელეფონის ნომერზე — 599 85 79 01, შემთხვევით გააქტიურა ულიმიტო ინტერნეტსერვისი, ხოლო შემდეგ მისი გათიშვა დაავიწყდა. სერვისი ხანგრძლივი დროის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში იყო ჩართული, რის გამოც ინტერნეტმომსახურების საფასურმა 4 000 ლარს გადააჭარბა.

2016 წლის თებერვალში, შპს „მაგთიკომის“ მოთხოვნის საფუძველზე, აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, კერძოდ კი საკრებულოსთვის გამოყოფილი ხარჯებიდან, გადაირიცხა.

იურისტების განმარტებით, ადგილი აქვს საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვას, რაც, შესაძლოა, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამოხელეო დანაშაულის ნიშნებს შეიცავდეს.

**ცნობისთვის:** ახმეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგო თვეში 2 650 ლარს შეადგენს. მასვე ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე ყოველთვიურად 600 ლიტრის ოდენობით ბენზინი ეძლევა.

გელა ჯუღაშვილი ახმეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე 2014 წლის 14 ივლისს აირჩიეს. ეს თანამდებობა მან 2016 წლის 2 მარტს თავისი ინიციატივით დატოვა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყებოდა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის გადადგომის რეალური მიზეზი „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობიდან მიღებული პარტიული დირექტივა გახდა.

შეგახსენებთ, რომ მანამდე ახმეტის საკრებულოს წევრებმა ორჯერ დააყენეს გელა ჯუღაშვილის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი — 2016 წლის 3 მაისსა და 5 დეკემბერს, მაგრამ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო 16 ხმა ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მოგროვდა.

**გვერდი მოამზადა ლუკა მაისურაძემ**

ანალიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ევროპას თურქეთის დახმარება სჭირდება, რათა შეაჩეროს ლტოლვილების მოზღვავება, რომელთაც, თავის მხრივ, კრიტიკულ მომენტში შეუძლიათ, გააძლიერონ უკიდურეს მემარჯვენეთა პოზიციები.

# გვინდა თუ არა ნატო და ევროკავშირი?

**გვინდა თუ არა ნატო? — ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ვუპასუხოთ — არა! ნატო არის აგრესიული სამხედრო ბლოკი, რომელმაც ყველა ქვეყანა, რომლებშიც კი ფეხი დადგა, დაშალა და დაანგრია, მოსახლეობა გაჟლიტა. მაგალითად იუგოსლავიაც კმარა. ეს აყვავებული ქვეყანა ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა რამდენიმე ნაწილად დაშალა, აღდგომის დღესასწაულზე ბომბავდა, თან ცინიკურად ულოცავდა. არაბული ქვეყნები — ლიბია, ეგვიპტე, ერაყი და ა.შ. ქვების გროვად და ადამიანთა სასაკლაოდ აქცია... მაშ, რისთვის გვჭირდება ნატო?!**



არ გვინდა, აგრეთვე, ევროკავშირიც. ეს გაერთიანება მალე დაიშლება. აგერ, დიდმა ბრიტანეთმა უკვე დატოვა, გერმანია სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ნატოს მთავარ მამოძრავებელ ძალად აღიარეს, უკმაყოფილებას გამოთქვამენ ესპანეთი, საბერძნეთი, პორტუგალია და ა.შ. ყველა უკმაყოფილოა ევროკავშირით და ჩვენ რა სურვილი გვკლავს, ვერ გამიგია.

საქართველო პატარა ქვეყანაა. ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ყველასთან კარგად უნდა ვიყოთ და არა რომელიმე ერთ ქვეყანასთან.

**საქართველოს არ სჭირდება არც ნატო და არც ევროკავშირი, საქართველოს სჭირდება ერთადერთი რამ — ნეიტრალიტეტი.** ჩვენი ღირსეული წინაპრები **ილია მართალი** და **გაბრიელ ეპისკოპოსი** ჯერ კიდევ ასი წლის წინათ გვიანდერძებდნენ, საქართველო ნეიტრალური ქვეყანა უნდა იყოს, ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო. ჩვენი მეობა რომ შევინარჩუნოთ, ჩვენი მენტალიტეტი, ჩვენი ადათ-წესები, საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ ნეიტრალიტეტი განსაკუთრებული სტატუსით.

სრულიად საქართველოს ხსნის ეროვნულმა ფრონტმა ბატონი **აკაკი ჟორჟაძის** თაოსნობითა და ხელმძღვანელობით, ხელმოწერები შეაგროვა მოთხოვნით:

**1. საქართველოს მიენიჭოს ნეიტრალური ქვეყნის განსაკუთრებული სტატუსი (არც ჩრდილოეთი, არც დასავლეთი, აშშ, ნატო თუ სხვა. ყველასთან თანაბრად, კეთილმეზობლურად);**

2. დაცულ იქნას პრინციპი: საქართველოში წარმოშობით ქართველი მასპინძელია, ანუ საქართველოს განაგებს ქართველი ერი ერთიანი ეროვნული იდეოლოგიის საფუძველზე. **საქართველო თავის ისტორიულ ფარგლებში, თავისი მიწით, წყლით, წიაღისეულით, სხვა სულიერ-მატერიალური ფასეულობებით წარმოადგენს ქართველი ერის საკუთრებას და მისი ყიდვის, გაყიდვის, გაცემა-გასხვისების უფლება არავის აქვს** (გაცემული, მითვისებული, გაყიდულ-გასხვისებული, წართმეული ტერიტორიები უკან უნდა დაგვიბრუნდეს);

**3.** მართვის არსებული სისტემა შეიცვალოს ჩვენი და კაცობრიობის გადამრჩენელი ახალი სისტემით.

**სამართლებრივი საკითხების გადასაწყვეტად ხელისუფლება გადაეცეს ერს, მისი უმრავლესობის წარმომადგენლებს, სრულიად საქართველოს ეროვნულ ყრილობას, რომელიც საწყისისთვის აირჩევს და დაამტკიცებს დროებით კოალიციურ მთავრობას, განსაზღვრავს ახალი არჩევნების ვადებს, ახალი სისტემის მოთხოვნების შესაბამისად.**

ამ მოთხოვნებზე შეგროვდა ორ მილიონამდე ხელმოწერა. ჩატარდა ეროვნული ყრილობა, რომელმაც ლეგიტიმურად ცნო ეს ხელმოწერები, ამიტომ უნდა შესრულდეს ყრილობის გადაწყვეტილება.

ამ ხელმომწერთა თვალსაზრისი უფრო ახლოსაა ქართველი ერის გუნება-განწყობილებასთან, ვიდრე ის გაყალბებული რეფერენდუმი, რომელიც ხელისუფლებამ ჩაატარა.

ამიტომაც არ გვინდა ნატო და ევროკავშირი!

**მივბაძოთ სომხეთსა და აზერბაიჯანს, ისინი არ მიილტვიან ნატოსა და ევროკავშირისკენ იმიტომ, რომ ჰყავთ ეროვნული მთავრობა, საქართველოს კი მართავენ ამერიკის ელჩი და ამერიკისგან დაფინანსებული არასამთავრობოები.**

ჩვენი წინაპრები ჩვენზე ჭკვიანები რომ იყვნენ, იქიდანაც ჩანს, რომ საქართველო ჩვენამდე მოიტანეს. ჩვენ კი რას ვშვრებით? — მივექანებით უფსკრულისკენ. 25 წელია, ხალხმა ვერ ამოისუნთქა, ერი განადგურდა. ქართველი ქალი მუსლიმანურ სამყაროს ლანგრით მივართვით, ის თურქეთში და არა მხოლოდ იქ, მონურ შრომას ეწევა, რათა სამშობლოში დარჩენილი ოჯახი გამოკვებოს. ჩვენი ქვეყნის „ელიტა“ კი ფუფუნებაში ცხოვრობს — არ იკლებს უცხოეთში ვოიაჟებს სახელმწიფოს ბიუჯეტის ხარჯზე, უზარმაზარ ხელფასებსა და პრემია-დანამატებს, აგარაკებსა და ფეშენებელურ სასახლეებს. მილიონებს ოფშორულ ზონებში ინახავენ, ხალხი კი ფეხებზე ჰკიდიათ. მინისტრებისა და პარლამენტარების ხელფასები 40-ჯერ აღემატება რიგითი მოქალაქის პენსიას. ღმერთი არ სწამთ, ეს ხომ უსინდისობაა?! ქვეყანას პატრონი არ ჰყავს, მათ პასუხი რომ მოჰკითხოს... ეროვნება წაგვართვეს, მამის სახელი წაგვართვეს, რათა მომავალმა თაობებმა აღარ იცოდნენ, ვისი გორისანი არიან.

**ყოველივე ეს კეთდება ამერიკის შეერთებული შტატების კარნახით. ამ ქვეყანას არ სჭირდება ქართველი. ამერიკას საქართველო უნდა ქართველების გარეშე და ჩვენი მთავრობაც ამერიკის თამაშს თამაშობს. ალბათ, ამაში დიდძალ ფულს აკეთებენ. მთავრობასა და პარლამენტში შეიყვანეს უმწიფარი ახალგაზრდები, რომლებსაც ქვეყნის სიყვარული და მართვა საბავშვო თამაშები ჰგონიათ“.**

**ჩინელები ამბობენ: ვაი, იმ უბედურ ქვეყანას, რომელსაც ახალგაზრდები მართავენო.**

შევახსენებ ჩვენს ხელისუფლებას: საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და იმ იმედით ნუ იქნებიან, რომ ამერიკის მითითებებითა და კოაბიტაციით გადარჩებიან. უფალი ამბობს: „და არ არსებობს დაფარული რამ, რაც ცხადი არ გახდება, და არც შეფარული არსებობს, რომ არ გაცხადდეს“.

ჰოდა, ყველაფერს ფარდა აეხადა. უფლის განგებით, ყველა პასუხს აგებს, ყველა მიიღებს სასჯელს დამსახურების მიხედვით. ქართველი ერი კი, თუ გავიღვიძებთ და გამოვფხიზლდებით, გადავრჩებით და კიდეც გავბრწყინდებით.

აქ მტერი ფეხს ვერ მოიკიდებს. როგორც სულმნათი **ანა კალანდაძე** იტყოდა:

**„სამკვიდრო შენს ქვეშ
მტრად მოსულმა
ვერავინ ნახა“.**

**ცისანა ფოცხვერაშვილი**

# ქრისტიანობის საყოველთაო დევნაზე უფლებადამცველები თვალს ხუჭავენ

**ტრამპის დადგენილება, ტერაქტი ლუვრში, ფიიონის საქმე, ანტიქრისტიანული აქციების გახშირება... უილ-უილიამ გოლდნადელი გმობს დასავლურ მაზოხიზმს, რომელიც საინფორმაციო-პოლიტიკურ სისტემას ბოლომდე ართქმისა და ისტორიისკენ წარმართავს.**



„მე არაერთხელ ჩამიტარებია თანამედროვე საინფორმაციო-პოლიტიკური საზოგადოების ფსიქოპათოლოგიური ანალიზი, — წერს ავტორი, — ახლახან კი შემოგთავაზეთ დასავლური მაზოხიზმის სადისტურ აღმოსავლურ პარანოიასთან დაპირისპირება, რომელსაც კვებავს მემარცხენე ისლამური ნარცისიზმი.

კოლექტიური უგონობის ამგვარი კვლევით განვიხილე საკითხები, რომლებიც დამახასიათებელია ატლანტიკის ორივე ნაპირის სივრცისთვის. ისინი შეიძლება შევადაროთ გაუტკივარების იმ პრეპარატებს, რომლებსაც უნიშნავენ საფრანგეთის საზოგადოებას ეგზისტენციური შიშის სამკურნალოდ“.

**უეჭველია, რომ ტრამპის კრიტიკა უახლოეს წლებში ანტიდასავლური საქმიანობის მთავარი იარაღი იქნება.**

ეს ყველაფერი უთუოდ ხელს შეუწყობს წინა პლანზე მემარცხენე მოძრაობის დაბრუნებას, რომლის ინტელექტუალური და ზნეობრივი პრესტიჟი ღრმა კრიზისში შედის. მით უფრო, რომ მისი დიდი მოცულობის გამო მიზანში მოხვედრა გაიოლებულია.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ანტიმიგრაციული დადგენილებები, რომლებიც აშშ-ის ახალი პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, როგორც ჩანს, სახელდახელოდ მიიღო, მაინცდამაინც დამაჯერებელი არ არის არც უშიშროების თვალსაზრისით და არც იმ სიის მიხედვით, ამ დოკუმენტებში რომ არის წარმოდგენილი.

ეს არგუმენტი ერთგვარად მკრთალდება საფრანგეთში მომხდარი ტერორისტული აქტის შუქზე, ემირატებიდან ჩამოსულმა ეგვიპტელმა რომ მოაწყო.

მაგრამ ჯერ ნუ ჩავუღრმავდებით რიგ გამოვლინებებს, რომელთა ანალიზზე დოქტორი შარკოც არ იტყოდა უარს, და აღვნიშნოთ ერთი პერიფერიული ლინგვისტური მომენტი, რომელიც ადასტურებს თანამედროვე ვოკაბულარის *(ქრესთომატიას ან სასკოლო სახელმძღვანელოს დართული მოკლე ლექსიკონი)* იდეოლოგიზებას.

ის ადამიანები, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან საფრანგეთის, როგორც ქრისტიანული ქვეყნის განსაზღვრას, არავითარ საშიშროებას არ ხედავენ, თუ სირიას ან სუდანს მუსლიმურ ქვეყნებად მოვიხსენიებთ. ამით ისინი უფრო მეტად ხაზს უსვამენ გადაწყვეტილების ანტირელიგიურ ხასიათს.

ისინი დაუფიქრებლად ლაპარაკობენ „შავ აფრიკაზე“ ან „ისლამის მიწაზე, მაგრამ მზად არიან, სამართალში მისცენ ნებისმიერი, ვინც გაბედავს და იტყვის „ქრისტიანული მიწა“ ან „თეთრი ევროპა“. მიდი და გაარკვიე...

სწორედ ამ უგონო ირაციონალურობიდან იღებს სათავეს მასმედიის შხამიანი ისტერიკის წყარო.

ტელევიზია მაქსიმალური კეთილგანწყობილებით მოეკიდა მემარცხენე და ისლამისტ აქტივისტებს, რომლებიც თავიანთი აღშფოთების გამოსახატად პლაკატებით გამოცხადდნენ ამერიკის აეროპორტებში. **ჩვენი „ტელევიზიონშჩიკები“ უყურებენ, მაგრამ ვერ ამჩნევენ, რომ მემარცხენე ისლამური მოძრაობების აქტივისტები სტიქიური სახალხო მრისხანების სიმბოლოებად წარმოგვიდგნენ.**

სიტუაციაში მეტ-ნაკლებად გასარკვევად, აღვნიშნოთ, რომ **„ამერიკელები მხარს უჭერენ ანტიმიგრაციულ დადგენილებებს“ (49 პროცენტი — მომხრე და 41 პროცენტი — წინააღმდეგი),** რომელთა წინააღმდეგ ტრამპთან დაპირისპირებულმა მედიამ გაშალა სრულიად არაპროპორციული და აღმაშფოთებელი (ეს ეხება ჰოლაკოსტასთან რიგ შედარებებს) კამპანია.

აღნიშნული ისტერიის დემონსტრაცია იყო ჩხუბი და შეხლა-შემოხლა, რომელიც გაჩაღდა ერთი კვირის წინათ ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტში, სადაც ზოგიერთმა სტუდენტმა გადაწყვიტა, გაეპროტესტებინა კონსერვატიული საიტის — Breitbart-ის ჟურნალისტის იქ ყოფნა.

„მოაკეტინეთ მას!“ — გაჰყვიროდნენ ისინი.

ეს უეჭველად ის ადამიანები გახლავან, რომლებიც ამართლებენ მათი კერპის — **ნოამ ჰრომსკის** დაწერილ შესავალს, რომელიც მან **რობერ ფორისონის** ნეგაციონისტურ წიგნს წარუმძღვარა იმავე თავისუფალი სიტყვის დასაცავად. საფრანგეთში **ფიიონის** გარშემო შექმნილი სიტუაციის გაშუქება არც ზომიერებით, არც საღი აზროვნებით არ გამოირჩევა.

რაგინდ უხერხულად იმართლოს მან თავი, ან სისხლისსამართლებრივი, ან ზნეობრივი კრიტერიუმებით აგოს პასუხი, ვერაფერი გაამართლებს ნაირ-ნაირ თავაწყვეტილ გამოძიებებს, რომლებიც ამ ქვეყანაში იმართება, მისი (ფიიონის) ყოფილი თანამშრომლების თვალთვალით დაწყებული და სახელმწიფო ტელეარხზე სპეციალური გადაცემით დამთავრებული, რომელსაც უძღვებოდა წამყვანი **ელიზ ლიუსე.** რა კარგი იქნებოდა, რომ ამ ქალბატონს, იმავე პრინციპულობით გამოეძია უყაირათობის ფაქტები სახელმწიფო ტელემაუწყებლობაში, რომლის შესახებაც პერიოდულად, მაგრამ სასხვათაშორისოდ ლაპარაკობენ საანგარიშო პალატაში **(დაკვირვებული მკითხველი უმალ მიაქცევს ყურადღებას, რომ მსგავსი ვითარებაა საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში: ლაპარაკი იყო გაფლანგულ მილიონებზე, მაგრამ მედიამ ეს სისხლის სამართლის დანაშაული „რუსთავი 2“-ის მიერ დამუშავებული მეთოდით ოსტატურად ამოაფარა სიტყვის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ „ექსპერტების“ ლაყბობას).**

ტერორისტულმა აქტმა ლუვრში დაგვანახვა, რომ საინფორმაციო-პოლიტიკური საფრანგეთი თუხთუხებს ისეთი ანესთეზიოლოგებით, რომლებიც კოშმარული ძილიდან გამოღვიძებულ საფრანგეთს ზღაპრების მოყოლით კვლავ ძილის ბურანში გახვევს.

**ტერაქტის შედეგად დაღვრილი სისხლი ჯერ გამშრალიც არ იყო, რომ მიგრაციული საკითხები სადღაც შორს გადამალეს. ისინი არც ერთ ჟურნალისტს არ წამოუწევია მემარცხენეთა არც ერთი პრამიერიზის დროს.**

**ქლოროფორმით გაბრუებულ საფრანგეთს ეუბნებიან, რომ ანტიებრაული და ანტიმუსლიმური აქციების რაოდენობა ბოლო წლის განმავლობაში შემცირდა, მაგრამ რატომღაც ავიწყდებათ დააზუსტონ, რომ ქრისტიანების წინააღმდეგ აგრესია არნახულად იზრდება.**

წინასაარჩევნო კონტექსტში მწვავედ დგება საკითხი: შეუძლია თუ არა, საზოგადოებრივმა აზრმა თავი დააღწიოს ამ ისტერიკულ მარქსისტებს, „კეთილგანწყობილ“ ანესთეზიოლოგებსა და სხვა მათდაგვარ ქვიშით მოვაჭრეებს და უმალვე უგანოს იმათ, ვინც დაეხმარება ოცნებების კრედიტით მოვაჭრეებს, როგორც აბორგებულ შეშლილებს.

მოამზადა
**არმაზ სანებლიძე**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მართლმადიდებელი ეკლესია მიიჩნევს, რომ „ოჯახის“ ერთნაირსქესიანი მოდელი ხელს უწყობს ცხოვრების გარყვნილი წესის მიმდევარი თაობის კვლავწარმოებას.**

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მისთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას. ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე; ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის; მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

## ოღონდ კლიენტები არ დაკარგონ!




**ფულები რომ არის ჩვენი გამხარებელი, პირველად საჯაროდ მაკარმა განაცხადა, თბილისელმა სოვდაგარმა, ქეთოს მამამ და კოტეს სიმამრმა: წაიმღერა სიკო დოლიძის ოპერაში. საუკუნის წინათ.**

სულ ახლახან კი, 2017 წლის 3 აპრილს, ამ კონსტანტასადმი ერთგულება ორიგინალური ფორმით გამოხატა დიდი ბრიტანეთის ოთხმა უმსხვილესმა ბანკმა — HSBC-მ, Lioyds Banking Croup-მა, Barclays-მა და The Royal Bank of Skotland-მა.

თავიანთ კლიენტებს — მამათმავლებს, ლესბოსელებსა და ტრანსგენდერებს დაუწვა „ნამეტნავი“ პატივისცემის ნიშნად.

ფულის გულისთვის.

ჩვეულებრივ, ბანკების თანამშრომლები, რომლებიც კლიენტების მიმართ ზრდილობიანი დამოკიდებულების სანიმუშო გამოვლენით ხასიათდებიან, ლგბტელთა რაოდენობის მომრავლების გამო პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ — როგორ მიმართონ ამ „არატრადიციონალებს“ ისე, რომ გენდერული თანასწორობის პრინციპები არ შელახონ?!

დაფიქრდნენ ბანკირები და მიაგნეს გამოსავალს: უშუალო ურთიერთობების დროს თუ არა, საქმიან მიმოწერაში მაინც, აქამდე სავსებით საკმარისი იყო კლიენტის გვარის წინ Mr (მისტერ), Ms (მისს), Mrs (მისის) და Sir (სერ) დაწერა. მაგრამ შეიცვალა დროება და „მისტერი“ შეიძლება „მის“ აღმოჩნდეს, „სერი“ კი — „მისის“. ჰომოფობობის იარლიყს მოგაწებებენ!

მიდი და ედავე...

ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად მოიგონეს: Mx, Mre, Msr, Sai და მისთანანი. რომელი რას ნიშნავს, მომკალით, არ ვიცი.

არც შენ გჭირდება, მკითხველო, „ვინც არ უნდა იყო მანდ, ღარიბი თუ მაშვრალი, მდიდარი თუ მათხოვარი, მტერი თუ მოყვარე, მეზობელი თუ ნათესავი“, რადგან სიხარულით ბანკის კარის გაღება შენი საქმე არ არის.

ხოლო ვისიც არის, იმათ საერთო ენა უჩვენოდ გამონახეს...



## «ცისფერებზე» ანეკდოტები შენთვის შეინახე

**ერთ ანეკდოტს მოგიყვებით.**

**ლგბტ საზოგადოების ოფისში მიდის ახალგაზრდა კაცი და იქაურებს ეუბნება:**

— გეი ვარ და მიმიღეთ.
— მსახიობი ხარ?
— არა.
— ბალერონი?
— არა.
— ესტრადის მომღერალი?
— არა.
— კუტურიე?
— არა.
— აბა, ვინა ხარ, გენაცვალე, რომელი პროფესიის?
— ზეინკალი ვარ, მუშა.
— შენ გეი კი არა, პედერასტი ყოფილხარ და აქ არაფერი გესაქმება.

ძველია, წვერებიანი, იმდროინდელი, როცა ლგბტელები ის-ის იყო ასპარეზზე გამოდიოდნენ და ამიტომ შეიძლება არც გაგეცინოთ.

მაგრამ, ღმერთმა დაგიფაროთ, არ გაბედოთ, არ მოყვეთ კანადაში ეს ან სხვა ანეგდოტი მამათმავლების შესახებ, რადგან ან დიდ ჯარიმას გადაგახდევინებენ, ან ციხეში ამოგაყოფინებენ თავს.

„— სადოური კანონია?!
— იქოური!“

ანეკდოტების მოყვარულთა თავზე სწორედ ასეთი დამოკლეს მახვილია დაკიდებული ვანკუვერში, ტორონტოში, მონრეალში და არ ღირს გარისკვა. გეების დაცინვა აქ ალზევებულია „სიძულვილის ნიადაგზე დანაშაულის ჩადენის“ დონემდე.

საიდან გავიგე?

წავიკითხე ინტერნეტში გამოქვეყნებული დოკუმენტი „არასასურველი ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში რეკომენდებული ქცევის საერთო წესების ელემენტების შესახებ“, რომელშიც შეტანილია ეს დროული გაფრთხილება.

ეშმაკმა არ შეგაცდინოთ, რადგან „კანადაში, დიდი ხანია, ლეგალიზებულია ერთნაირსქესიანთა ქორწინება და შეიმჩნევა სერიოზული „დაციკლვა“ გენდერულ თანაბარ უფლებებზე“.

კომენტატორები ერთ აზრზე დგანან — „საერთო ელემენტები“ ადგილობრივი დიპლომატების კოლექტიური შრომის ნაყოფია.

ერთნაირსქესიანთა დიპლომატია!

## რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში ლესბოსელების მიერ ბავშვების შვილად აყვანა ნარკომანების «ნემსს» შეადარეს



**ოჯახის, დედობისა და ბავშვების დაცვის საკითხების რუსეთის საპატრიარქოს კომისიის თავმჯდომარემ, დეკანოზმა დიმიტრი სმირნოვმა ჰომოსექსუალი „მშობლები“ ბავშვებისთვის გამიზნულ ნარკომანის „ნემსს“ შეადარა.**

„...ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, რომ, როდესაც ბავშვს მიაკუთვნებენ ლესბოსელ დედას და იგი წელიწადის განმავლობაში გაივლის იქაურ „სკოლას“, შემდეგ ამ უკუღმართი საზოგადოებიდან მისი გამოყვანის ყველა გზა მოჭრილია. იგი ამ „ნემსზე“ზის“, — თქვა სმირნოვმა.

**როგორც ნარკომანი.**

მართლმადიდებელი ეკლესია მიიჩნევს, რომ „ოჯახის“ ერთნაირსქესიანი მოდელი ხელს უწყობს ცხოვრების გარყვნილი წესის მიმდევარი თაობის კვლავწარმოებას.

## ერთად იქნებიან იმ ქვეყნადაც... ფერფლის სახით

**ტოკიოს ერთ-ერთი რაიონის — ედოგავას ბუდისტურმა ტაძარმა შესაძლებლად მიიჩნია ერთნაირსქესიანთა მიცვალებული წყვილების ერთად დამარხვა.**



იაპონიაში ბუდისტური წესით მიცვალებულთა 99,8 პროცენტის კრემაცია ხდება. მათ ფერფლს საგვარეულო სასაფლაოზე მარხავენ. გეიქორწინებები იაპონიაში აკრძალულია. მხოლოდ რამდენიმე რაიონსა და ტოკიოს ორ რაიონშია ლეგალიზებული. გარდაცვლილი ჰომოსექსუალების ჭირისუფლები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან მათთვის უცხო ადამიანის საოჯახო სასაფლაოზე დამარხვას.

ზემოთ დასახელებულ ტაძარში ჭირისუფლებს სთავაზობენ ერთსქესიანი წყვილებისთვის გამზადებულ სპეციალურ საფლავის ქვას, რომელიც მარმარილოსგან კეთდება, ცილინდრული ფორმისაა და სიმაღლით ერთი მეტრი და ოცი სანტიმეტრია, ეწოდება „ანდო“.

**ამ სიტყვას ქართულ „ნდობასთან“ საერთო არაფერი აქვს, რადგან იაპონურად ნიშნავს „შვების მიცემას“, „ამოსუნთქვას“. მიცვალებულების იმქვეყნიური შვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ გვერდის მომზადების შემდეგ ავტორი ნამდვილად გრძნობს შეღავათს და წერტილის დასმისთანავე „სეიფგარდის“ საპნით, რომელიც ბაქტერიებს პირწმინდად სპობს, ყოველთვის ხელს იბანს.**

გვერდი მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის სადაზვერვო სამსახურებმა ყველა მხარეს წარუდგინეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რუსეთმა გავლენა იქონია 2016 წლის არჩევნების შედეგებზე. რაში გამოიხატებოდა ეს გავლენა, საგამოძიებო ორგანოების გარდა, არავინ იცის. მაგრამ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ რუსეთს აქვს თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები, რომლებიც გავლენას ახდენს მის უმთავრეს მოწინააღმდეგეზე — ამერიკის შეერთებულ შტატებზე.**




### The Glob and mail:

## კანადელი აბორიგენები თავიანთ ქვეყანაში მეორეხარისხოვან ადამიანებად ითვლებიან

**კანადის თავმომწონე პრემიერმინისტრ ტრიუდოს, რომელიც აშშ-ის ჯიბრზე აცხადებს, რომ მიგრანტებს, რომლებსაც ტრამპმა თავისი ქვეყნის საზღვრები ჩაუკეტა, სიხარულით მიიღებს, სინამდვილეში კანადის ძირითადი მცხოვრებნი, ინუიტები, სასიკვდილოდ ჰყავს განწირული.**

The Glob and mail ამის დასამტკიცებლად ასახელებს აღმაშფოთებელ რეალობას, რომელშიც აქაური აბორიგენები ცხოვრობენ.

კანადაში ტუბერკულოზით დაავადებულთა კოეფიციენტი მოსახლეობის 100 ათას კაცზე 4,7 პროცენტია, ნუნავუტში — 229,6 პროცენტი 100 ათას კაცზე, რაც საერთო მაჩვენებელზე 48-ჯერ მეტია. ნუნავუტი სამთაგან ერთ-ერთი ტერიტორიაა კანადის შემადგენლობაში, რომელიც უმთავრესად ინუიტებით, ძირძველი ხალხების ერთ-ერთი ჯგუფით, არის დასახლებული. ისინი ესკიმოს-ალეუტების ჯგუფს განეკუთვნებიან.

ტუბერკულოზი ცუდი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო ფართოდაა გავრცელებული კანადის ჩრდილოეთში, სადაც ადამიანები ცხოვრობენ მჭიდროდ დასახლებულ უბნებში, იკვებებიან ცუდად, ეწევიან ბევრს, და სადაც ბევრი ისეთი დაავადებაა გავრცელებული, როგორიც დიაბეტია, და ეს ჩვეულებრივ მოვლენადაა მიჩნეული. რისკ-ფაქტორები, რომლებიც ტუბერკულოზის გაჩენას ხელს უწყობს, ერთგვარი რეზიუმეა ინუიტების ყოველდღიური ცხოვრების. ლეგენდარული ექიმის — **სერ უილიამ ოსლერის** სიტყვებით: „ტუბერკულოზი სოციალური დაავადებაა სამედიცინო ასპექტით“.

ევროპელებთან კონტაქტამდე ინუიტებში ტუბერკულოზი საერთოდ არ არსებობდა, მაგრამ უკვე 1800-იან წლებში ეს დაავადება ადგილობრივი მოსახლეობის №1 მკვლელად მოგვევლინა. დღეს ნუნავუტსა და სხვა ადგილობრივ თემებში ტუბერკულოზის პროფილაქტიკასა და მკურნალობას ხშირად ხელს უშლის ენობრივი ბარიერი და სამედიცინო პერსონალის მიერ აბორიგენების მიმართ გულგრილი დამოკიდებულება, რაც კანადის მთავრობის პოლიტიკის პირდაპირი ანარეკლია.



### RT:

## ათასი გვერდი და არავითარი დასკვნა

**ამერიკელმა კონგრესმენებმა პირველი ზეპირი მოხსენება გააკეთეს გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, რომელიც ეხება მოსკოვის სავარაუდო ჩარევას 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში.**

დაზვერვის სპეცკომიტეტის ხელმძღვანელმა, სენატორმა **რიჩარდ ბერმა** განაცხადა, რომ ექსპერტებმა შეისწავლეს რუსეთთან დაკავშირებული ათასობით საიდუმლო დოკუმენტის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ ამ ეტაპზე რაიმე დასკვნის გაკეთება „სიგიჟე იქნებოდა“. მან თქვა, რომ ამჟამად კომიტეტმა მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია და ჩვენებების მისაცემად მიიწვია 20 ადამიანი. მათგან უმეტესის გვარები არ ცხადდება. კომიტეტში მოუსმენენ პრეზიდენტის მრჩეველს და მის სიძეს — **ჯარედ კუშნერს**, რომელმაც თვითონ ისურვა სპეცკომისიის წარმომადგენლებთან საუბარი. **„ვიმედოვნებ, რომ გავივლით საკითხის შესწავლის მთელ პროცესს, სანამ საკუთარ მოსაზრებას ჩამოვაყალიბებთ“,** — დაასკვნა კომიტეტის თავმჯდომარემ.

აშშ-ის სენატში აღნიშნული მოსმენებისადმი დამოკიდებულების შესახებ შეკითხვას კრემლში უპასუხეს, რომ ეს საკუთნივ აშშ-ის საქმეა. „ჩვენი დამოკიდებულება საერთოდ ამ ისტერიკისადმი კარგადაა ცნობილი. დასამატებელი არაფერი გვაქვს, — განაცხადა რუსეთის პრესმდივანმა **დიმიტრი პესკოვმა**, — ჩვენ კრემლში ბევრი საზრუნავი გვაქვს და ამ დებატებს თვალს არ ვადევნებთ. არავითარი ახალი ფორმულირება იქიდან არ გვესმის და, საეჭვოა, რომ მოვისმინოთ — გაცვეთილი ფირფიტაა ფუტურისტული სიმღერებით“, — თქვა მან.



### The American Thinker:

## დემოკრატებო, ან წარმოადგინეთ რუსეთთან ტრამპის მორიგების საბუთები, ან მორჩით ლაყბობას!

**„დაამტკიცეთ ტრამპისა და მის საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული ადამიანების რუსეთთან მორიგების ფაქტი ან მოკეტეთ. „რუსული გამოძიება“ — სიცრუეა“, — წერს გამოცემა.**

რესპუბლიკელებმა და ტრამპმა ნება მისცეს დემოკრატებსა და მედიას, გაეერთიანებინათ ორი საკითხი: პირველი, რუსები შეეცადნენ და, შესაძლებელია, წარმატებასაც მიაღწიეს არჩევნებზე გავლენის მოხდენის საქმეში; მეორე, აღნიშნული გავლენა დაკავშირებული იყო ტრამპისა და მისი მომხრეების ვლადიმერ პუტინთან აქტიურ მორიგებასთან. **აშშ-ის სადაზვერვო სამსახურებმა ყველა მხარეს წარუდგინეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რუსეთმა გავლენა იქონია 2016 წლის არჩევნების შედეგებზე. რაში გამოიხატებოდა ეს გავლენა, საგამოძიებო ორგანოების გარდა, არავინ იცის. მაგრამ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ რუსეთს აქვს თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები, რომლებიც გავლენას ახდენს მის უმთავრეს მოწინააღმდეგეზე — ამერიკის შეერთებულ შტატებზე.**

მასმედია თითქოს ზედმეტად დაინტერესებული არ იყო ყველა ამ ინციდენტში რუსეთის მონაწილეობის გაშუქებით, მაგრამ დღეს ყველა ერთად დაბეჯითებით აცხადებს, რომ **დონალდ ტრამპი რუსეთთან ერთად ისწრაფვოდა აშშ-ის პრეზიდენტის სავარძლის დასასაკუთრებლად.**

ნება გვიბოძეთ, შეგახსენოთ: **დღემდე არაფერი ყოფილა წარმოდგენილი, რაც დაამტკიცებდა, რომ ტრამპი და რუსეთი გარიგებულნი იყვნენ...**

...საინტერესო, აი, რა არის: თუ ვერ მოიძიეთ რუსეთთან თანამშრომლობის მტკიცებულებანი „დაზვერვითი ინფორმაციის შემთხვევითი შეკრების“ შემდეგაც კი, თქვენ უნდა შეწყვიტოთ ეს გამოძიება...

დონალდ ტრამპმა ბოლოს და ბოლოს უნდა მოითხოვოს, იმ მტკიცებულებათა წარმოდგენა, რომლებიც მოწმობს პუტინთან მორიგებას. მანაც და რესპუბლიკელების პარტიამაც ნება მისცეს ამ სიცრუის გამავრცელებლებს, ძალიან ღრმად შეეტოპათ.



### The American Conservative:

## ჩერნოგორიის ნატოში გაერთიანება შეცდომაა

**ჩერნოგორიას ნატოს კარი გაეხსნა მას შემდეგ, რაც აშშ-ის სენატმა დიდი უმრავლესობით ხმა მისცა ბალკანეთის ამ ციცქნა სახელმწიფოს ალიანსში გაწევრებას. რატიფიცირებას მხარი დაუჭირა 97 სენატორმა, წინააღმდეგი მხოლოდ ორი იყო — რენდ პოლი და მაიკ ლი. ორივე სენატორი რესპუბლიკელია.**

პოლმა თავისი პოზიცია დაასაბუთა იმით, რომ ჩერნოგორიის ნატოში გაერთიანებამ შეიძლება გაამწვავოს ურთიერთობა მოსკოვთან, ომიც კი, რადგან, კოლექტიური თავდაცვის ნატოს პრინციპიდან გამომდინარე, ერთ-ერთ მოკავშირეზე თავდასხმა ნიშნავს ყველაზე თავდასხმას.

უმრავლესობის პოზიცია კი ემყარება მოსაზრებას, რომლის თანახმად, ჩერნოგორიას, თავისი სიმცირის მიუხედავად, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. რუსეთის ყოფილი მოკავშირე ეს ქვეყანა მდებარეობს დასავლეთისა და მოსკოვის დაპირისპირების შუაგულში. **ნატოში ჩერნოგორიის შესვლა საშუალებას მისცემს ალიანსს, განავრცოს თავისი საზღვრები ადრიატიკის სანაპიროს გასწვრივ.**

რეალისტური პოზიციის მიხედვით კი, ჩერნოგორიის ნატოში გაერთიანება ალიანსს არაფერს არგებს. უაზრობაა უსაფრთხოების გარანტიის გავრცელება ქვეყანაზე, რომელსაც არ ძალუძს, აშშ-ის ან ალიანსის უსაფრთხოება რამენაირად გააძლიეროს. ამ თვალსაზრისით, „სენატმა არ შეასრულა თავისი ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულება, ჩვენი ქვეყნის მიმართ რომ აქვს დაკისრებული, — წერს The American Conservative და ასკვნის, — ჩვენ მივესალმებით სენატორებს: რენდ პოლსა და მაიკ ლის, რომლებმაც ხმა არ მისცეს ნატოს უაზრო და არასასურველ გაფართოებას... ჩერნოგორიის ალიანსში ჩართვა იყო შეცდომა, რომლის აცილება თავიდანვე შეიძლებოდა. იმის იმედილა შეიძლება გვქონდეს, რომ ეს ნატოს ექსპანსიის ბოლო რაუნდი იქნება“.

ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აქტიურად მოუწოდებს გერმანიას, განიხილოს თავდაცვის ბიუჯეტის გაზრდის საკითხი და, სტატიის ავტორის თქმით, თავს უფლებას აძლევს, „ცრუ“ ბრალდებები წაუყენოს მას ნატოს ვალების გადაუხდელობის გამო.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





Die Zeit:

# გერმანიას არ შეუძლია ტრამპის მოთხოვნების დაკმაყოფილება

**გერმანიას თავისი ისტორიის განმავლობაში ყველაზე მცირე არმია ჰყავს, ამიტომ მზად არ არის, უზრუნველყოს თავისი და ნატოს საზღვრების დაცვა, — წერს Die Zeit.**

ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აქტიურად მოუწოდებს გერმანიას, განიხილოს თავდაცვის ბიუჯეტის გაზრდის საკითხი და, სტატიის ავტორის თქმით, თავს უფლებას აძლევს, „ცრუ“ ბრალდებები წაუყენოს მას ნატოს ვალების გადაუხდელობის გამო.

„ეს აშკარა სისულელეა, მაგრამ ამ დისკუსიებში არის ჭეშმარიტების მარცვალი: „ცივი ომის“ მომდევნო 25 წლის განმავლობაში ბუნდესვერმა განახორციელა განიარაღების მასშტაბური პროგრამა. საეჭვოა, რომ მას შეუძლია ძირითადი ამოცანის შესრულება: საგანგებო სიტუაციაში დაიცვას ქვეყანა და, როგორც შედეგი, — სამხედრო ალიანსი“, — აღნიშნავს გამოცემა.

„ცივი ომის“ დროს ბუნდესვერს ჰყავდა 500 ათასი ჯარისკაცი. დღეისთვის მათი რაოდენობა დაახლოებით 176 ათასია. ეს არის გერმანიის ისტორიაში ყველაზე პატარა არმია, — გვეუბნება ავტორი.

მკაცრი ეკონომიის ფონზე ტექნიკის რაოდენობაც მკვეთრად შემცირდა: „ცივი ომის“ დროს საბრძოლო ტანკების რაოდენობა 3000 იყო, ამჟამად 225-ია. სხვა სამხედრო ტექნიკაის მიმართაც იგივე სურათია: არ ჰყოფნით თვითმფრინავები, ხომალდები, ასევე, ძვირადღირებული ვერტმფრენები.

„უკრაინის კრიზისის დაწყებიდან და ყირიმის რუსეთთან შეერთების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა, — განაგრძობს Die Zeit, — მაგრამ მასშტაბურ ცვლილებებს არავინ ელოდება, რადგან, მაგალითად, ტანკების რაოდენობა გეგმით 225-დან მხოლოდ 320-მდე უნდა გაიზარდოს“.

არადა, ბუნდესვერი, რომელიც ლიტვაში ნატოს ადგილობრივ ძალებს სარდლობს, ტრაბახობს, რომ მზად არის, დაეხმაროს მოკავშირეებს „ძლიერ მეზობელთან“ დაპირისპირების შემთხვევაში.

„მაგრამ ეს მხოლოდ პოლიტიკური დემონსტრაციაა, — აღნიშნავს წერილის ავტორი, — რადგან ჯარების განკარგულებაშია მხოლოდ ოცი საბრძოლო მანქანა Marder, რომლებიც ექსპლუატაციაში შესულია ჯერ კიდევ 70-იან წლებში. ხოლო როცა ამ მანქანების ეკიპაჟები წვრთნის დროს ერთმანეთს ელაპარაკებიან, მათი საუბრები „პრაქტიკულად ყველას ესმის“ — დაშიფვრის რადიოაპარატურით ისინი აღჭურვილი არ არის.




Rasmussen Reports:

# ამერიკელებს არ სურთ იმ ქალაქებში ცხოვრება, რომლებმაც მიგრანტები შეიფარეს

**ბევრ ამერიკელს ეჭვი ეპარება, რომ ის საზოგადოებები, რომლებიც არალეგალურ იმიგრანტებს მთავრობისგან იცავენ, მათთვის უსაფრთხოა.**

მერილენდის გარეუბნის საშუალო სკოლაში 14 წლის გოგონას გაუპატიურებამ ორი უფროსკლასელის მიერ, რომლებიც უკანონოდ იმყოფებოდნენ აშშ-ში, ბიძგი მისცა დებატებს „თავშესაფარი ქალაქების“ სტატუსის დადგენის შესახებ. ასეთია ამერიკის 200 ქალაქი და ოლქი, მათ შორის — ვაშინგტონი, ნიუ იორკი, ბოსტონი, ჩიკაგო, მაიამი, ფილადელფია, რომლებიც ქვეყნის პრეზიდენტის დადგენილებებს საბოტირებენ და აშშ-ის საიმიგრაციო და საბაჟო პოლიციას არ გადასცემენ არალეგალებს, რომლებსაც სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენიათ.

1000 პოტენციური ამერიკელი ამომრჩევლის სოციოლოგიური გამოკითხვით დადგინდა, რომ მხოლოდ 32 პროცენტია თანახმა, იცხოვროს იმ ქალაქებში, რომლებმაც არალეგალი იმიგრანტები შეიფარეს, 52 პროცენტი ასეთი „თავშესაფარი ქალაქების“ წინააღმდეგია, 14 პროცენტი ბოლომდე გარკვეული არ არის.

Le Figaro:

# რესპუბლიკელები საფრანგეთის პროკურატურისგან პრეზიდენტ ოლანდის წინააღმდეგ საქმის აღძვრას მოითხოვენ

**მემარჯვენეთა პარტიის „პოლიტიკურმა მძიმეწონოსნებმა“ გამოაქვეყნეს ღია წერილი საფრანგეთის საფინანსო პროკურორის — ელიან ულეტის მიმართ, რომლითაც მოითხოვეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ქვეყნის პრეზიდენტის — ფრანსუა ოლანდის წინააღმდეგ. Le Figaro აქვეყნებს დოკუმენტს თავისი კომენტარებით.**

გასულ კვირაში გამოსულ წიგნზე „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ბობოს მოედანზე“ (საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეზიდენციის მისამართი) დაყრდნობით ფრანგი მემარჯვენეები ითხოვენ, შესწავლილ იქნას აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილი ინფორმაცია საფრანგეთის პრეზიდენტის „ჩრდილოვანი კაბინეტის“ შესახებ. წიგნის ავტორი სამი ჟურნალისტი 200-ზე მეტ გვერდზე მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ იყენებდა მოქმედი პრეზიდენტი სახელმწიფო აპარატს თავისი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ.

შესაძლო სამართალდარღვევების შესწავლა მოითხოვეს მემარჯვენე პოლიტიკოსებმა, რომელთა შორის არიან **ფილიპ ბა** (სენატის საკანონმდებლო კომისიის თავმჯდომარე), **ბრიუნო რეტაიო** (სენატში რესპუბლიკელების საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელი), **კრისტიან ჟაკობი** (ეროვნულ კრებაში რესპუბლიკელების საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელი), **ვალერი პეკრესი** (ილ-დე-ფრანსის რეგიონის თავმჯდომარე).

მათ ღია წერილში მითითებულია ისეთი დანაშაულები, როგორიცაა მართლმსაჯულების ორგანოების კორუფცია, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, პირადი ცხოვრების ხელყოფა, მიმოწერის საიდუმლოების დარღვევა, გამოძიების საიდუმლოების დარღვევა და სხვ.

პრეზიდენტობის მემარჯვენეთა კანდიდატის — ფრანსუა ფიიონის მომხრეები იმოწმებენ საფრანგეთის კონსტიტუციის მე-40 მუხლს, რომლის მიხედვით, სამართალდამცავი ორგანოები ვალდებულნი არიან, რეაგირება მოახდინონ დანაშაულის თაობაზე მიწოდებულ ინფორმაციაზე.

**ფრანსუა ფიიონმა** „ფრანს 2“-ის ეთერში გამოსვლისას დაადანაშაულა მოქმედი პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი, რომ სწორედ მან დაგეგმა მის (ფიიონის) წინააღმდეგ შეტევის კამპანია. „თუ ყველაფერი, რაც ამ წიგნშია დაწერილი, დადასტურდება, ვფიქრობ, ეს იქნება ერთადერთი შემთხვევა საფრანგეთის ისტორიაში, როცა ქვეყნის მეთაურმა ასე ღრმად შეტოპა“, — თქვა მან.




«Вести»:

# «ეს ჩვენი მიწაა!»



**უკრაინის ლვოვის ოლქის პოლონური თემის წარმომადგენლებმა გადაკეტეს „ლვოვი-ვარშავის“ გზატკეცილი და ავტომანქანების საბურავებს ცეცხლი წაუკიდეს, — წერს უკრაინული გაზეთი „ვესტი“.**

საპროტესტო აქციის მონაწილეები გამოვიდნენ პლაკატებით — „ეს ჩვენი მიწაა!“, „ვოლინი ჩვენს გულშია!“, „ხელი არ ახლოთ ჩვენს ძეგლებს“. მანიფესტანტები განსაკუთრებით აღაშფოთა ლუცკში, პოლონეთის საკონსულოსთვის ყუმბარების დაშენამ.

„გვინდა, პოლონეთში ყურადღება მიაქციონ იმას, თუ როგორ გვამცირებენ აქ (უკრაინაში), როგორ არღვევენ ჩვენს უფლებებს. ჩვენს სამთავრობო დაწესებულებებს ცხრილავენ, მალე ჩვენც დაგვხვრეტენ“, — განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილე **ტარას კმეტმა.**

ადგილზე მისული წესრიგის დამცველები და პოლონელები ერთმანეთს შეეტაკნენ.

აქციაზე რეაგირება მოახდინა უკრაინის უშიშროების სამსახურმა — უწყების ხელმძღვანელის აპარატის უფროსმა **ალექსანდრ ტკაჩუკმა** განაცხადა, რომ პოლონელების მიტინგი უთუოდ არის „რუსეთის საინფორმაციო ოპერაციის ნაწილი“. მისი თქმით, აქციაზე მივიდნენ, „მათ შორის, ბომჟებიც და არასრულწლოვანებიც“.

**გვერდები მოამზადა არმაზ სანებლიძემ**

მოზაიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველაზე სასარგებლო პროდუქტიც კი მისი არასწორად გამოყენების შემთხვევაში ჩაისთან ერთად არამხოლოდ დაკარგავს თავის დადებით თვისებებს, არამედ, შესაძლოა, გადაიქცეს საშიშ კანცეროგენად.**

# არიან თუ არა ადამიანები ერთადერთი გონიერი არსებები სამყაროში?



**მარსზე, შესაძლოა, ამჟამადაც იყოს სიცოცხლე. ამაში ნასას მეცნიერები დარწმუნებული არიან. სპეციალისტები ხაზს უსვამენ იმას, რომ სიცოცხლის ყველაზე მარტივი ფორმები მარსზე ოკეანეებში იყო.**

სამეცნიერო გამოცემა Tudei nius ufa-ში აღნიშნულია, რომ ახალი თეორია მას შემდეგ წამოიწია წინ, რაც პლანეტა მარსის ორბიტაზე მომუშავე კოსმოსური ზონდიდან მონაცემები მიიღეს.

რა თქმა უნდა, მარსზე ოკეანეები დაშრა, მაგრამ ახალ თეორიაში საუბარია იმაზე, რომ სიცოცხლე უკვალოდ არ გამქრალა. შესაძლოა, მიწისქვეშა ოკეანეები ჯერ ისევ შეიძლება შენარჩუნებული იყოს მარსზე. ნასას წარმომადგენლები იუწყებიან, რომ შესაძლოა, მარსზე უცხოპლანეტური ცხოვრება ამ პლანეტის ისტორიის დასაწყისიდან არსებობდა.

ნასას შტაბ-ბინაში იმედოვნებენ, რომ პლანეტის უკანასკნელი წარმომადგენლები მიწის ქვეშ იმალებიან. და კიდევ ერთი ვერსია — ისინი გადასახლდნენ მარსის იშვიათ ოაზისებზე.

მეცნიერებმა „გაარკვიეს“, სინამდვილეში როგორ გამოიყურებიან უცხოპლანეტელები. სპეციალისტთა თქმით, სტერეოტიპები, რომლებსაც თავს გვახვევენ კინოფილმებსა და ფანტასტიკურ წიგნებში, რადიკალურად განსხვავდება რეალობისგან. მეცნიერები დარწმუნებული არიან, რომ ბუნება ძალიან გაგვაოცებს უცხოპლანეტელთა მრავალფეროვნებით. ერთი სიტყვით, დაივიწყეთ დიდთავა მწვანე ადამიანებიო.

**ნასას მეცნიერები აღნიშნავენ, რომ უცხოპლანეტელებს აქვთ სქელი კანი, რომელიც უზრუნველყოფს მათ აუცილებელ დაცვას მზის სხივებისგან. იმის გათვალისწინებით, რომ ისინი ცხოვრობენ ჩვენგან აბსოლუტურად განსხვავებულ პირობებში, სავარაუდოდ, მათი „სიცოცხლის წყარო“, წყალი კი არა, შეიძლება მეთანი იყოს გარემოს მაღალი ტემპერატურის გამო. შესაძლებელია ასევე კიდურებისა და თავის არქონაც.**

ადრე pravda.ru წერდა, რომ ნასას სპეციალისტებმა მარსზე ნახევრად დანგრეული კოშკები აღმოაჩინეს, რომელთა წარმომავლობა უცნობი იყო. ექსპერტთა ინფორმაციით, ეს მშენებლობები დამშრალი ტბის ნაპირას მდებარეობდა. იდუმალი კოშკები უცხოპლანეტელთა აშენებული იყო, რომლებიც ამ პლანეტაზე უხსოვარ დროში იყვნენ.

ხოლო კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს ექსთანამშრომელი დარწმუნებულია, რომ უცხოპლანეტელები იყვნენ რუსული ხომალდი „როსიასა“ და ამერიკული აპარატი „ირიდიუმის“ შეჯახების მიზეზი 2009 წელს, როცა ძლიერი შეჯახების შედეგად ორივე პატარა ნაწილებად დაიმსხვრა.

უფოლოგმა **სკოტ უორინგმა** განაცხადა, ნასას მიერ გამოქვეყნებულ სურათზე აღმოაჩინა ამოუცნობი მფრინავი ობიექტი. უფოლოგის თქმით, სურათზე მან უცხოპლანეტელთა უზარმაზარი ხომალდი დაინახა. „ამ ხომალდის ზომა ბევრად აღემატება დედამიწისას. ის ძალიან დიდია“, — განაცხადა უორინგმა.

სხვა უფოლოგების ვარაუდით, უცხოპლანეტელთა ხომალდები, შესაძლოა, დასატუმბად საჭირო ენერგიას ვარსკვლავებიდან იღებენ.

**დაიმახსოვრეთ, რომ უცხოპლანეტელებს უახლოეს 10 წელიწადში იპოვიან.** არამიწიერი ცივილიზაციების ძებნის ამერიკული ინსტიტუტის მთავარი ასტრონომი **სეტ შოსტაკი** დარწმუნებულია, რომ ადამიანები არ არიან ერთადერთი ცოცხალი გონიერი არსებები სამყაროში. მისი სიტყვებით, მეცნიერები ცდილობენ, დააფიქსირონ რომელიღაც არამიწიერი განვითარებული ცივილიზაციის მიერ გადმოცემული სიგნალი რადიოტელესკოპის საშუალებით. დაახლოებით ყოველ 10 წამში მკვლევარები ავტომატურ რეჟიმში ამოწმებენ „უცხოპლანეტური გზავნილების“ მიღებას. მსგავს სიგნალებს მეცნიერები, ათი წელი მაინც იქნება, რაც იღებენ.

ასე ფიქრობენ ექსპერტები.

აშშ-ის როჩესტერის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა კი ადამიანის არამიწიერ გონიერ ცივილიზაციასთან შეხვედრის რეალობა უტოპიად მიიჩნიეს. ის დაახლოებით ისევეა შესაძლებელი, როგორც, მაგალითად, შექსპირის პიესის დაწერა კლავიატურაზე თავის კაკუნით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ცივილიზაციებმა, რომლებიც მეზობელ გალაქტიკებში სამყაროს არსებობის განმავლობაში არსებობდა, უკვე მოასწრო გაქრობა, უცხოპლანეტელებთან შეხვედრის შანსი ნულის ტოლია.

# ეიფელის კოშკის გარშემო ტყვიაგაუმტარ შუშის კედელს აღმართავენ



**უსაფრთხოების მიზნით პარიზის მთავრობამ გადაწყვიტა, ეიფელის კოშკს შემოავლოს 2,5 მეტრი სიმაღლის შუშის კედელი, — იტყობინება Prensa Latina.**

პროექტი 20 მილიონი ევრო დაჯდება, მშენებლობა კი 2018 წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს. ამ გადაწყვეტილების მიღება საფრანგეთის დედაქალაქში ტერორისტული საფრთხის ზრდამ განაპირობა. ახალი კონსტრუქცია შეცვლის ლითონის ღობეს, რომელიც 2016 წელს ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის წინ გააკეთეს. პარიზის მერიას ასევე განზრახული აქვს ეიფელის კოშკის მოდერნიზებაში 300 მილიონი ევროს ჩადება.

# ექიმები გვირჩევენ: რასთან ერთად არ შეიძლება ჩაის დალევა?

## ჩაი შაქრიანი გვიყვარს თუ თაფლიანი?



**ყველაზე სასარგებლო პროდუქტიც კი მისი არასწორად გამოყენებისას ჩაისთან ერთად არამხოლოდ დაკარგავს თავის დადებით თვისებებს, არამედ, შესაძლოა, გადაიქცეს საშიშ კანცეროგენად.**

### ჩაი შაქრით

მეცნიერები ამ ნარევს სხვადასხვაგვარად უყურებენ. არსებობს მონაცემები, რომელთა მიხედვით ის ხალხი, რომელმაც უარი თქვა ჩაიში შაქრის დამატებაზე, იშვიათად ავადდება ონკოლოგიური დაავადებებით. მხოლოდ ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს მეტწილად შავ ჩაის ეხება. მათი აზრით, მწვანე ჩაის დადებით თვისებებზე შაქარი არ მოქმედებს — პირიქით: აძლიერებს მის სამკურნალო თვისებებს, რადგან ორგანიზმს ეხმარება სასმელში არსებული კატეხინების უკეთ გათავისებაში.

### ჩაი რძით

ჩაი შეიცავს ძალიან მნიშვნელოვან კომპონენტს — კატეხინებს, რომლებიც საკმაოდ ძლიერი ბუნებრივი ანტიოქსიდანტებია. სწორედ ისინი ანეიტრალებენ თავისუფალი რადიკალების მოქმედებას, რომლებიც აზიანებს უჯრედებს და იწვევს ონკოლოგიურ დაავადებებს. ამას გარდა, კატეხინები ხელს უშლის დიაბეტის განვითარებას და გულსისხლძარღვთა უკმარისობას. ოღონდ გაითვალისწინეთ, როდესაც ჩაის რძეს დაუმატებთ, ეს უნიკალური სამკურნალო თვისება ნაწილობრივ დაიკარგება.

### ჩაი ლიმონით

ლიმონი ცხელ სასმელში არ უნდა ჩავდოთ. მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით მასში მთლიანად იშლება C ვიტამინი და სხვა ძვირფასი კომპონენტები. ლიმონის სასარგებლო თვისებების შესანარჩუნებლად არ ღირს მისი იმწამსვე ჩაიში ჩადება. რეკომენდებულია, დაელოდოთ, სანამ ჩაი არ შეგრილდება.

### ჩაი თაფლით

თაფლი შაქარზე უფრო სასარგებლოა, მაგრამ ვინც ცხელ თაფლიან ჩაის სვამს, თავის ჯანმრთელობას სერიოზული რისკის ქვეშ აყენებს. 40 გრადუსის ზევით თაფლში მთლიანად იშლება დიასტაზის ფერმენტი, უფრო მაღალ ტემპერატურაზე (60 გრადუსზე) თაფლი კანცეროგენად იქცევა — მასში შემავალი ფრუქტოზა მჟავად გარდაიქმნება, რომელსაც შეუძლია კუჭში, ნაწლავებსა და საჭმლის მომნელებელ სხვა ორგანოებში ავთვისებიანი წარმონაქმნების პროვოცირება მოახდინოს.

# მეცნიერებმა დაადგინეს, შვილები ინტელექტს მემკვიდრეობით რომელი მშობლისგან იღებენ



**გერმანელმა მეცნიერებმა ულმის უნივერსიტეტიდან დაადგინეს, გონებრივი შესაძლებლობების მემკვიდრეობას ბავშვი რომელი მშობლისგან იღებს.**

მათ ჩაატარეს გენების გამოკვლევა და დაადგინეს, რომ **გენი, რომელიც პასუხისმგებელია ადამიანის ინტელექტზე, არის X ქრომოსომაში, ანუ ბავშვი თავისი გონებრივი მონაცემებით, სქესის მიუხედავად, დედისგანაა დავალებული**.

ხოლო **გარე სამყაროს ემოციურ აღქმას შვილები, პირიქით, მამის გენების დახმარებით ახდენენ.** მეცნიერებმა იქვე აღნიშნეს, რომ ბავშვის ინტელექტზე მოქმედებს მშობლების მხრიდან გამოვლენილი ყურადღებაც და სიყვარულიც.

ადრე მეცნიერები ინტელექტზე წყლის გავლენაზეც საუბრობდნენ. სან-დიეგოს სამეცნიერო-კვლევითი უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ **ტვინში არის რეცეპტორები, რომელთა მუშაობა დამოკიდებულია მოხმარებულ სითხეზე. როგორც მკვლევარებმა თქვეს, მათ მიერ აღმოჩენილ რეცეპტორებს შეუძლია ტვინის მუშაობის სტიმულირება. ოღონდ ეს ნერვული დაბოლოებები აქტიურდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ორგანიზმში წყალი მოხვდება.** ექსპერტთა აზრით, დღის განმავლობაში მაქსიმალურ ეფექტს რომ მიაღწიოს, ადამიანმა წყლის დალევა დილიდან უნდა დაიწყოს. ამ შემთხვევაში ტვინი მიიღებს მისთვის აუცილებელ სიმხნევესა და ენერგიას და შეძლებს მაქსიმალური დატვირთვით მუშაობას.

ამასთანავე, ახლახან გახდა ცნობილი, რომ ჭარბი წონა ხშირ შემთხვევაში იწვევს ანთების განვითარებას, მათ შორის ტვინის უჯრედებშიც, და ადაბლებს ადამიანის ინტელექტის დონეს. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ რაც მეტია სხეულის მასა, მით მეტია სისხლში ცილის — CRP-ის მოლეკულები, რომლებიც მიუთითებს ორგანიზმში სისტემური ანთების კერებზე. ხოლო რაც მეტი იყო კვლევის მონაწილეთა სისხლში ამ ცილის წილი, მით უფრო სწრაფად ეცემოდა მათი IQ შემდგომი 6 წლის განმავლობაში.

ტექნოლოგიის სახელწოდებაა „ნეირონული მაქმანი“, რომელიც საშუალებას მისცემს ადამიანებს, კომპიუტერს შეტყობინებები გადასცეს პირდაპირ, ფიზიკური ინტერფეისის ამოქმედების გარეშე. ტექნოლოგია ითვალისწინებს ტვინში ელექტროდების იმპლანტაციას და ამგვარად ადამიანები შეძლებენ კომპიუტერში თავიანთი აზრების ჩატვირთვასა და გადმოტვირთვას.

მოზაიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ილონ მასკი კომპიუტერთან ტვინის დაკავშირებას გვპირდება



**ამერიკელმა ბიზნესმენ-გამომგონებელმა, მილიარდერმა ილონ მასკმა დააფუძნა ახალი კომპანია Neuralink, რომელიც ამუშავებს ტექნოლოგიებს ადამიანის ტვინის კომპიუტერთან დასაკავშირებლად.**

ტექნოლოგიის სახელწოდებაა „ნეირონული მაქმანი“, რომელიც საშუალებას მისცემს ადამიანებს, კომპიუტერს შეტყობინებები გადასცეს პირდაპირ, ფიზიკური ინტერფეისის ამოქმედების გარეშე. ტექნოლოგია ითვალისწინებს ტვინში ელექტროდების იმპლანტაციას და ამგვარად ადამიანები შეძლებენ კომპიუტერში თავიანთი აზრების ჩატვირთვასა და გადმოტვირთვას.

**Neuralink**-ის დამაარსებლები იმედოვნებენ, რომ პერსპექტივაში აღწერილი ტექნოლოგია ადამიანის ინტელექტის შესაძლებლობების გაზრდას შეუწყობს ხელს, ასევე, ზოგიერთი დაავადების მკურნალობას, მათ შორის ეპილეფსიისა და დამბლის.

კომპანიამ უკვე დაიწყო მეცნიერ-თანამშრომლების აყვანა. მათ შორის არიან ელექტროტექნიკის სპეციალისტები, ასევე მკვლევარები, რომლებიც ტვინს სწავლობენ.

ადრე მასკმა განაცხადა, რომ ადამიანი უნდა იქცეს **კიბორგად** (ცოცხალი ორგანიზი, რომლის ფიზიოლოგიური ფუნქციები დამოკიდებულია ელექტრონულ და მექანიკურ მოწყობილობებზე), რათა მომავალში ცხოვრებამ ჩიხში არ მოაქციოს.

# რაში მდგომარეობს ხალების საიდუმლო?



**რატომ უჩნდება ადამიანს სხეულზე ხალი და რას უნდა ნიშნავდეს ის? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ამერიკელმა მეცნიერებმა სცადს.**

მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ხალები, რომლებიც სხვადასხვა ადგილას აქვს ადამიანს, ჯანმრთელობის მახასიათებლებია და ადამიანის ხასიათსაც განსაზღვრავს.

მკვლევართა აზრით, ადამიანს ხალი დედის მუცელში უჩნდება. მათი მნიშვნელობა კი, შესაძლოა, ძალიან ფართო იყოს.

მაგალითად, თუ ხალი ადამიანს **საფეთქელთან** აქვს, ის **მოგზაურობის მოყვარულია** და ერთ ადგილას ყოფნა მისთვის მოსაწყენია.

**ცხვირზე** ხალი კი კარიერაში **წარმატების მიღწევის სურვილზე** მიანიშნებს ან სუნთქვის ორგანოების პრობლემებზე. ეს ადამიანები დიდ დროს უთმობენ სამუშაოს.

თუკი ხალი **ტუჩზე** ან **წარბზეა**, ეს ადამიანი **მხიარულია** და მასთან დროის გატარება საინტერესოა, ადვილად ეწყობა ადამიანებს და ასევე ადვილად პოულობს უცხოებთან საერთო ენას. მას **აქვს ლიდერის თვისებები** და **ზედმეტად ოპტიმისტია**.

ხალი **ლოყაზე**, ასევე, **ლიდერული თვისებების** მიმანიშნებელია. სპეციალისტების აზრით, ლოყაზე ხალიანი ადამიანები წარმატებულნი არიან და საკმაოდ ხშირად მაღალ მატერიალურ სტატუსს აღწევენ. ამას გარდა, ისინი **რომანტიკულები არიან** საპირისპირო სქესის მიმართ.

ხალი **ფეხზე,** ასევე, **მოგზაურობით გატაცებაზე** მიანიშნებს. ამას გარდა, ადამიანები მსგავსი ნიშნით ხშირად არიან ძალიან მოსიყვარულეები. მათ ცხოვრების მანძილზე, შესაძლოა, რამდენიმე პარტნიორი გამოიცვალონ.

რამდენიმე წლის წინათ ლონდონის სამეფო კოლეჯის სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ სხეულზე ხალის რაოდენობით შეიძლება სიცოცხლის ხანგრძლივობის განსაზღვრაც. ამას გარდა, ადამიანებს, რომლებსაც სხეულზე ათობით ხალი აქვთ, ნაკლები ნაოჭები უჩნდებათ და სხვა თანატოლებზე ახალგაზრდულად გამოიყურებიან.

# რა გაჩნდა პირველად — კვერცხი თუ ქათამი?



**დიდი ბრიტანეთის მეცნიერებმა ჩაატარეს გამოკვლევა და იპოვეს პასუხი მარადიულ კითხვაზე — ქათამი უფრო ადრე გაჩნდა თუ კვერცხი.**

ბრიტანელმა მეცნიერებმა კვლევისას გამოიყენეს საკმაოდ ძლიერი კომპიუტერი HECToR და დაამტკიცეს, რომ კვერცხი ქათამზე გვიან გაჩნდა.

**საქმე ისაა, რომ ერთ-ერთი პროტეინი, რომელიც ძირითად როლს ასრულებს კვერცხის ნაჭუჭის შექმნაში, ქათმის ორგანიზმის გარეშე ვერ გამომუშავდება.** კომპიუტერი დაეხმარა მეცნიერებს, კვერცხის ფორმირების ყველა ფაზას დაჰკვირვებოდნენ.

სპეციალისტების დასკვნა ასეთია: ცილა OC-17-ს, რომელსაც ქათმის კვერცხი შეიცავს, მხოლოდ ქათმის საკვერცხეები გამოიმუშავებს. ზოგადად კი, კვერცხის ჩამოყალიბება ფრინველთა გაჩენამდეც ხდებოდა. ამდენად, საკითხი დახურულია, განაცხადეს მეცნიერებმა.




# მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ავტომობილების ტოპ-ხუთეული

**დასახელდა ყველაზე პოპულარული ავტომობილები. ტოპი შეადგინეს პორტალ „ავტონოვოსტი დნიას“ ექსპერტებმა. მათ დათვალეს, რამდენი ავტომობილი შემოვიდა ბაზარზე.**

მეხუთე ადგილზეა **„ფორდი“ Model T**. გამოვიდა 16,5 მილიონი მანქანა. უშვებდნენ 1908 წლიდან 1927 წლამდე.

**მეოთხე** ადგილზეა „ვოლკსვაგენი“ Beetle. მისი „ტირაჟი“ 21,5 მილიონია. **მესამე ადგილზე** აღმოჩნდა **„ვოლკსვაგენი“ Golf,** რომელიც მსოფლიოში დაახლოებით 24 მილიონი გამოვიდა.

**მეორე** ადგილი წილად ხვდა **„ფორდ“ F-series**-ს. მისი ყიდვა შეიძლება მხოლოდ აშშ-ში. გამოშვებულია 25 მილიონი.

**ლიდერი** კი გახდა **„ტოიოტა“ Corolla.** გამოუშვეს 1966 წელს. მას შემდეგ კონვეიერიდან ჩამოვიდა ამ მოდელის დაახლოებით 35 მილიონი ავტომანქანა.

## მსოფლიოს საუკეთესო მანქანა

მსოფლიოს საუკეთესო მანქანის წოდებაზე კი სამი პრეტენდენტი დასახელდა, რომელთაგან გამარჯვებულს კონკურსი **„წლის მსოფლიო ავტომობილი“** გამოავლენს. ჟიურის მიერ დასახელებული სამი ავტომობილია **„აუდი“** Q5, **„იაგუარი“ F-Pace** და **„ვოლკსვაგენი“ Tiguan.**

## ეკოლოგიურად ყველაზე მავნე ავტომობილები

ექსპერტებმა ასევე შეადგინეს ანტირეიტინგი **ეკოლოგიურად ყველაზე მავნე ავტომობილებისა,** რომლებიც დიზელის საწვავზე მუშაობენ.

ამ სიის თავში აღმოჩნდნენ **„რენოსა“** და **„ნისანის“** მარკის მანქანები, რომლებიც გარემოს ყველაზე მეტად აბინძურებს“.



# როგორ ვიცოცხლოთ ასი წელი: 116 წლის მოხუცის რჩევები



**ბერნანდო ლა პალო 1901 წლის 17 აგვისტოს დაიბადა, მშვენიერ ფიზიკურ ფორმაშია და არც გონებას უჩივის. ექიმების აზრით,რომლებმაც მოხუცს გამოკვლევები ჩაუტარეს, ბერნანდო 70-80 წლის მამაკაცივით გამოიყურება, ხსნის ტავსატეხებს, კითხულობს წიგნებს და აქვს საკმაოდ კარგი მახსოვრობა.**

ამას კი ის 5 პროდუქტს უმადლის, რომლებითაც ძირითადად იკვებება, და რეგულარულ ფიზიკურ ვარჯიშს.

ლა პალო არ ჭამს წითელ ხორცს და ნახევარფაბრიკატებს. ის უპირატესობას ანიჭებს ხილს, ბოსტნეულსა და ფაფებს.

აი ის 5 პროდუქტი, რომლებიც, მისი აზრით, სიცოცხლეს ახანგრძლივებს:

*** თაფლი.** თუ ადამიანი უარს იტყვის შაქარზე, უფრო დიდხანს იცოცხლებს. აჯობებს კერძები თაფლით დაატკბოთ.

*** ნიორი.** ის არა მხოლოდ პიკანტურობას ანიჭებს კერძს, არამედ არის ანტისეპტიკური და ანტიბაქტერიული საშუალება. ასევე, შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინებს, რომლებსაც შეუძლია იმუნიტეტის გაძლიერება.

*** შოკოლადი.** დღეს ბევრი ცდილობს, შოკოლადზე უარის თქმას. ბერნანდოს აზრით კი, შოკოლადის ზომიერად მიღება აუმჯობესებს განწყობას, გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობას. ოღონდ ეს პროდუქტი უნდა შეიცავდეს დიდი რაოდენობით კაკაოს.

*** დარიჩინი.** ეს სანელებელი არა მხოლოდ გემოს აძლევს კერძს, არამედ დაბლა სწევს „ცუდი“ ქოლესტერინის დონეს და აღკვეთს დიაბეტის განვითარებას.

*** ზეთისხილის ზეთი.** ძველ რომში ის სიცოცხლისა და ახალგაზრდობის ელექსირად ითვლებოდა. ის ძალიან სასარგებლოა ორგანიზმისთვის, აქვს გამაახალგაზრდავებელი თვისებები მასში შემავალი E ვიტამინისა და ანტიოქსიდანტების წყალობით.

ასე რომ, თუ გინდა, დიდხანს და ჯანმრთელად იცოცხლო, მიჰყევი ბერნანდო ლა პალოს რჩევებს.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სისხლის სამართლის სამ საქმეზე (ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურა — სისხლის სამართლის საქმე №0393128, ძველი თბილისის რ-ის პროკურატურა — სსს №0695176 და ქ. თბილისის პროკურატურა — სსს №1097873), 23 წელია, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს საქმის წარმოება (თუ შეიძლება ამას წარმოება ვუწოდოთ), მაგრამ სამართალდამცავი სამსახურების მხრიდან საქმის გაყალბებით, უსასრულოდ გაჭიანურებითა და მიჩქმალვით სამართლიანი შედეგი არ ჩანს.**

# სამართალი საქართველოში — გაცრუებული იმედები

## აღმასრულებელი და საკანონმდებლო სახელისუფლო შტოები პრაქტიკულად ვერ უზრუნველყოფენ მოქალაქეების სამართლებრივ დაცვას

**გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის იმედი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ქართველ ხალხს სამართლიან და ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოში ღირსეულ ცხოვრებას მოუტანდა, არ გამართლდა. საოცნებო დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მეოთხედი საუკუნის გასვლის შემდეგაც კი სახელმწიფოს სამართლებრივი მდგომარეობა, სამწუხაროდ, კვლავ ჭაობშია, ხოლო ეკონომიკისა და, შესაბამისად, მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის მაჩვენებლები ახლოსაც ვერ მიდის საბჭოური პერიოდის 1989 წლის დონესთან.**



**ვიმოქმედოთ კანონით დაშვებული ნებისმიერი საშუალებით ჩვენი მოქალაქეობრივი უფლებების დასაცავად, რათა ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, რომლებსაც თავი კანონსა და კონსტიტუციაზე მაღლა მდგომად მიაჩნიათ, დავანახვოთ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს საზოგადოებრიობა, ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში გამოჩენილი სულგრძელობის მიუხედავად, ველარ მოითმენს უკანონობასა და განუკითხაობას**

მიზეზები მეტწილად სუბიექტურია, პოლიტიკოსთა მნიშვნელოვანი შემადგენლობა, რომლებიც არჩევნების გზით დასავლური დემოკრატიისა და სამართლიანობის დაცვის ლოზუნგებით ხელისუფლების მაღალი პოსტებისკენ მიისწრაფვიან, სინამდვილეში, უფრო „სულთნობასა" და ფუფუნებით ცხოვრებაზე მეოცნებენი არიან, ვიდრე დემოკრატიულ-სამართლებრივი და ეკონომიკური მმართველობითი ინსტიტუციების მწყობრად ჩამოყალიბებული პროგრამების შემმუშავებლები და მათი ცხოვრებაში რეალურად გამტარებლები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ **ეკონომიკის და, მით უმეტეს, საბაზრო ეკონომიკის, განვითარება შეუძლებელია არასამართლებრივ გარემოში, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, სამართლიანი საკანონმდებლო ბაზის არსებობასთან ერთად, სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ კანონიერების უკომპრომისო დაცვაა, ვინაიდან მათი მხრიდან ყოველი არასამართლებრივი და ანგარებიანი ქმედება და გადაწყვეტილება ძირს უთხრის საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებას.**

გახმაურებული და პოლიტიკურად ანგაჟირებული საქმეებისგან განსხვავებით, თავისი მნიშვნელობით შედარებით უბრალო, ყოფითი ხასიათის სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეები, რომლებიც ჯანსაღ სამართლებრივ სივრცეში, ალბათ, 6 თვეში მაინც გადაწყდებოდა, დანაშაულებრივად წლობით გრძელდება. აი ეს არის ინდიკატორი იმის დასადგენად, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებიდან მეხუთე წელს რას წარმოადგენს რეალურად ჩვენი ქვეყანა სამართლებრივ ჭრილში.

ზემოთქმულის დასადასტურებლად გაგაცნობთ იმ კონკრეტულ ფაქტს, რომელსაც უტყუარობის თვალსაზრისით მიკროსკოპული სიზუსტით ვიცნობ, ვინაიდან მე მეხება და რომლის გამოც მე, სრულიად უდანაშაულო ადამიანი, 1993 წლიდან დღემდე ვარ სამართალდამცავი სტრუქტურების დანაშაულებრივი და უკანონო ქმედებების მსხვერპლი, რამაც გამოუსწორებელი დაღი დაასვა ჩემს პიროვნულ ღირსებასა და დარჩენილ ცხოვრებას.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე 1997 წელს გამოვაქვეყნე ღია წერილი **მინდია უგრეხელიძის, ჯამლეტ ბაბილაშვილის, გიორგი ბარამიძისა** და **მიხეილ სააკაშვილის** სახელზე, სათაურით „მახინჯი პრაქტიკის კლასიკური მეთოდი", 23 წლის განმავლობაში სამართალდამცავ ორგანოებში სამართლის მიღწევის სრული იმედგაცრუების გამო გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ გავასაჯაროო ეს უსამართლობა.

სისხლის სამართლის სამ საქმეზე (ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურა — სისხლის სამართლის საქმე №0393128, ძველი თბილისის რ-ის პროკურატურა — სსს №0695176 და ქ. თბილისის პროკურატურა — სსს №1097873), 23 წელია, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს საქმის წარმოება (თუ შეიძლება ამას წარმოება ვუწოდოთ), მაგრამ სამართალდამცავი სამსახურების მხრიდან საქმის გაყალბებით, უსასრულოდ გაჭიანურებითა და მიჩქმალვით სამართლიანი შედეგი არ ჩანს.

კოალიცია „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, იმ იმედით, რომ ამჯერად ნამდვილად მივაღწევდი სამართლიან შედეგს, სამივე საქმეზე 2013 წლის 15 მაისს №01/61979 განცხადებით, რომელსაც ახლდა დოკუმენტური მასალების 224-ფურცლიანი დანართი, მივმართე საქართველოს იუსტიციის მინისტრ **თეა წულუკიანს.** მან კი 2013 წლის 8 ივნისით დათარიღებული №58772 წერილით მიმართა საქართველოს იმჟამინდელ მთავარ პროკურორს — **არჩილ კბილაშვილს,** რათა აუცილებლად და დროულად მომხდარიყო შესაბამისი რეაგირება, რაც, ალბათ, ნიშნავდა იმას, რომ ობიექტურად გადამოწმებულიყო №01/61979 განცხადების დასკვნითი მოთხოვნა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, „საქსტატის" ცნობებისა და შესაბამისი კომპენსაციების მოთხოვნის თანახმად, **ჩემი კანონიერად კუთვნილი თანხის — 178 165 ლარის (იმ დროის სავალუტო კურსის გათვალისწინებით 107 000 აშშ დოლარის) — სახელმწიფო სახსრებიდან სასამართლო წესით გადახდის თაობაზე ქცეულიყო რეალობად.**

2014 წლის 13 მარტს (№01/13-23811) და იმავე წლის 22 მაისს (№01/13-47921) განცხადებებით მივმართე საქართველოს მთავარ პროკურორს — **გიორგი ბადაშვილს,** ხოლო 2015 წლის 25 თებერვალს №4413 განცხადებით მივმართე საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე **ეკა ბესელიას.**

2015 წლის 14 სექტემბერს №01/13-86374 განცხადებით კვლავ მივმართე საქართველოს მთავარ პროკურორს — **გიორგი ბადაშვილს**, ასლები კი გავუგზავნე საქართველოს იუსტიციის მინისტრ **თეა წულუკიანს** (№01/15429) და პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეებს — **ეკა ბესელიასა** (№18656) და **ვახტანგ ხმალაძეს** (№18657).

ვინაიდან აღნიშნული წერილების პასუხად ქალაქ თბილისის, ძველი თბილისისა და ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურებიდან მივიღე ისეთივე ტრაფარეტული და ცინიკური პასუხები, როგორიც მანამდე, იძულებული შევიქენი, 2015 წლის 15 დეკემბრის №74748 განცხადებით მიმემართა საქართველოს პრემიერმინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილისთვის.** შედეგად მივიღე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის — **სოფიო სიჭინავას** 2015 წლის 22 დეკემბრით დათარიღებული წერილი (№75643), რომ აღნიშნული განცხადება განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას, მაგრამ არც ამ განცხადებას მოჰყოლია ქმედითი ღონისძიება სამართლის აღდგენის კუთხით, რაც უდავოდ იმის მიმანიშნებელია, რომ **ქვეყანაში სამართალწარმოების მხრივ ვითარება ნამდვილად საგანგაშო და კატასტროფულია.**

მე კი, **სრულიად უდანაშაულო ადამიანი, იძულებული შევიქენი, გამეყიდა ავტომობილი და საოჯახო ნივთები; 80 კვ მ ფართობის ბინა (დ. უზნაძის ქ. №2, ბ. 42) და 21 წლის განმავლობაში მეცხოვრა ქირით, ამელო სესხი კაბალურ პროცენტებში, რამაც, საერთო ჯამში, 70 000 დოლარს გადააჭარბა; იძულებული შევიქენი, იპოთეკური სესხით, 7000 აშშ დოლარად, დამეტვირთა უკვე მესამედ გადაგირავებული მამისეული სახლი გურჯაანში (დ. აღმაშენებლის ჩიხი, №4), რომელიც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით გადაუხდელობის გამო გადაიფორმა იპოთეკარმა და, თუ უახლოეს ხანში არ გადავუხდი მას ძირითად თანხას და საპროცენტო განაკვეთს, გამიყიდის ბინას და დავრჩები აბსოლუტურად მიუსაფარი.**

როგორც ჩემთვის, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეებში დაზარალებული მხარისთვის, ასევე, თვით ამ სამართალწარმოების მონაწილე ყველა იურიდიული განათლების მქონე მოხელისთვის, სრულიად ნათელია ჩემი მოთხოვნების კანონიერება. მიუხედავად ამისა, რაც უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, ისინი ყველაფერს აკეთებენ და გააკეთებენ, რომ სიმართლე არასდროს გამჟღავნდეს და არ განხორციელდეს სამართალი. საქმე ის არის, რომ **ზემოაღნიშნული მუხლების თანახმად, ჩემი კანონიერი მოთხოვნების ობიექტურად გადაწყვეტისა და ზარალის რეალურად დაკმაყოფილების შემთხვევაში, სამართალდამცავი სტრუქტურების მრავალ თანამშრომელს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით სხვა პირის მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის გამო, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მატერიალური კუთხით მოუწევთ სახელმწიფოსთან ერთად პასუხისგება.** აქედან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენია, რომ რომელიმე მათგანს საკუთარი თავის ან თავისი ახლობლებისა და კოლეგების დასჯის სურვილი გაუჩნდეს, როდესაც გაცილებით მარტივი და ნაკლებად საფრთხის შემცველია ჩემისთანა რიგითი მოქალაქის კანონიერი მოთხოვნების მიჩქმალვა-მიჩუმათება და საქმის უსასრულოდ გაჭიანურება. ცხადია, ასეთ სამართლებრივ ვითარებაში, საერთო ინტერესები ყალიბდება სამართალდამცავი სტრუქტურების დამნაშავე ელემენტებსა და კანონდამრღვევებს შორის, ბუნებრივია, მათ აერთიანებს საერთო ანგარებითი დანაშაულის განცდა.

**ის, რომ ჩემს განცხადებებზე ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან სწორ სამართლებრივ სარეზოლუციო მოთხოვნებს შედეგად მოსდევს რიგითი თანამშრომლების აშკარად ცინიკური და არაადეკვატური პასუხები, მიუთითებს იმაზე, რომ ვერც აღმასრულებელი და ვერც საკანონმდებლო სახელისუფლო შტოები პრაქტიკულად ვერ უზრუნველყოფენ მოქალაქეების სამართლებრივ დაცვას,** ანუ საქმე გვაქვს სამართლებრივი კუთხით სისტემის ქმედუუნარო ფუნქციობასთან, რაც გამოიხატება იმით, რომ ასეთ რეზოლუციებს უწყების ზედა რგოლებიდან ხშირად არ მოსდევს შესაბამისი ინსპექტირება და ვიღებთ „ხელის დაბანის" მანკიერ ბიუროკრატიულ, სწორ სამართლებრივ შედეგზე არაორიენტირებულ პრაქტიკას. ესე იგი, სისტემა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით კონტრპროდუქტიულია და ვერ ქმნის იმ სამართლებრივ გარემოს, რომელშიც შესაძლებელია ქვეყნის წინსვლა.

ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ, დამოუკიდებლობის მოპოვების ამ ისტორიული მიღწევის მიუხედავად, მეოთხედი საუკუნეა, ვერც ერთმა ხელისუფალმა და ხელისუფლებამ ვერ შეძლეს, უფრო სწორად კი, არ გამოავლინეს პოლიტიკური ნება, ჩვენი ცხოვრებიდან ამოეძირკვათ ეს მანკიერი მეტასტაზი და დაემკვიდრებინათ სამართალი.

**განცდა, რომ ქვეყნის ხელისუფლების ამ უმძლავრესი სახელწიფო მანქანის — სასამართლოს, პროკურატურისა და პოლიციის სტრუქტურები, სიმართლისთვის მებრძოლ ადამიანს გვერდით არ გიდგებიან, თაღლითების მიერ ხელყოფილი შენი ქონება სულაც არ მიაჩნიათ კონსტიტუციით დაცულ, ხელშეუვალ კერძო საკუთრებად და პირიქით, ზოგიერთი გარიგებულიც კი არის კანონდამრღვევებთან, ნებისმიერი მოქალაქისთვის დამთრგუნველია.** ასეთ ვითარებაში სამართლის მისაღწევად სამართლებრივი გზით ბრძოლა კარგავს ყოველგვარ აზრს და „ლომის ხახიდან ფულის ამოღების" მცდელობას უფრო წააგავს.

მოვუწოდებ ყველა დაზარალებულს: ვიმოქმედოთ კანონით დაშვებული ნებისმიერი საშუალებით ჩვენი მოქალაქეობრივი უფლებების დასაცავად, რათა ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, რომლებსაც თავი კანონსა და კონსტიტუციაზე მაღლა მდგომად მიაჩნიათ, დავანახვოთ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს საზოგადოებრიობა, ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში გამოჩენილი სულგრძელობის მიუხედავად, ვეღარ მოითმენს უკანონობასა და განუკითხაობას.

**ანზორ დავითაშვილი,**
არქიტექტორი



**დაფნის მცენარის სხვადასხვა ნაწილისგან დამზადებული წამლები ცნობილი ყოფილა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეში დიოსკორიდის სამკურნალო რეცეპტებში. მისგან დამზადებული მალამო და ფოთლების ნახარში გამოიყენებოდა სახსრების ტკივილის დროს შესაზელად, ხველების და გაციებების დროს, თმის ცვენის საწინააღმდეგოდ. ძველი სამკურნალო ჩანაწერებიდან ჩანს, რომ დაფნის ხმელ ნაყოფს იყენებდნენ საჭმელად, როგორც სადეზინფექციო საშუალებას, ნაწლავების გასაწმენდად და საჭმლის მონელების გასაძლიერებლად.**

ფერმერის სკოლა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთობლივი პროექტი

# კეთილშობილი დაფნის კულტურა

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

**კეთილშობილი დაფნა მარადმწვანე მცენარეა დაფნისებრთა ოჯახიდან (Lauraceae). ამ ოჯახში შედის 45 გვარი და ათასზე მეტი სახეობა. დაფნის გვარში მხოლოდ ორი სახეობაა გაერთიანებული: კეთილშობილი დაფნა და კანარიის დაფნა.**



## გაშენება და მოვლა

დაფნა წარმოადგენს მარადმწვანე ბუჩქს ან ხეს, რომელიც ზრდის პირობების მიხედვით აღწევს 3-5-დან 12-18 მეტრამდე, შტამბის დიამეტრი 10 სმ-მდეა. მცენარე ორსახლიანი და ერთსახლიანია. საქართველოში ყვავილობს აპრილის ბოლოდან, ნაყოფი კურკიანი, მოშავო ფერის, ნაყოფგარემო წვნიანია, მცენარის სიცოცხლის ხანგრძლივობა დიდია. **120-150 წლიანი და მეტი ასაკის ხეები არსებობს დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში.**

ძველ საბერძნეთსა და რომში დაფნა, როგორც ღვთაებრივი მცენარე, საპატიო კულტურად ითვლებოდა. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, დაფნის გვირგვინით ამკობდნენ დამსახურებულ მეცნიერებს, მწერლებსა და პოეტებს, ეროვნულ გმირებს, აგრეთვე, სპორტში გამარჯვებულებს. ბოტანიკოსმა კარლ ლინეიმ ამ მცენარეს „ლაურუს ნობილის“ (კეთილშობილი დაფნა) უწოდა, აქედანაა მიღებული სიტყვა **ლაურეატი**, რომელიც **დაფნის გვირგვინოსანს** ნიშნავს.

**დაფნის ნედლეულის სასაქონლო პროდუქციის ძირითადი მწარმოებელია იტალია, საბერძნეთი, თურქეთი, იუგოსლავია, სირია და სხვ. საქართველოში დაფნა ველურად მოზარდი დაფნებრიის სახით უძველესი დროიდანაა ცნობილი. ტყის სხვა ჯიშებთან შერეული, ფართოდ არის გავრცელებული მცირე სიმაღლის (ზღვის დონიდან 100-350 მ) მთის კალთებზე.**

საქართველოს დასავლეთი რაიონებიდან დაფნა საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებსა და აზერბაიჯანში გავრცელდა.

გასული საუკუნის 50-იან წლებში დაფნის ეთერზეთის წარმოების გაფართოების მიზნით დაფნის ნედლეულზე მოთხოვნა მკვეთრად გაიზარდა. ამ კულტურაზე კვლევით მუშაობას ეწეოდნენ სოხუმის, ბათუმისა და თბილისის ბოტანიკური ბაღები, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი, საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტები, რომლებმაც მეცნიერულად დაამუშავეს დაფნის სარგავი მასალის გამოყვანის, პლანტაციის გაშენებისა და მოვლის აგროტექნიკა, ნედლეულის დამზადების, შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგია.

## დაფნის ბიოლოგიური თავისებურებები და გარემო პირობებისადმი დამოკიდებულება

დაფნა ქვეტყის მცენარეა და შედარებით კარგად იტანს ჩრდილს, მაგრამ დაჩრდილვის შემთხვევაში მის ფოთლებში ეთეროვანი ზეთის რაოდენობა იკლებს და ფოთლის ხარისხიც დაბალია, ამიტომ დაფნის ფოთლის მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად გადამწყვეტი მნიშვნელობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, სითბოსა და სინათლის ენიჭება. დაფნის გაშენება შეიძლება მაღალტანიანი მერქნოვანი ჯიშების ნარგაობაში. დაჩრდილვასთან ერთად დაფნა კარგად იტანს შემჭიდროებულ დარგვასაც. დაფნის ნარგაობას დიდი მნიშვნელობა აქვს ქარსაფარი ზოლების გაშენების საქმეში. ეს ქარსაფრები მცენარის თესლსაც დიდი რაოდენობით იძლევა.

მცენარის ფოთოლი მარტივია, ფოთოლის ზომა 10-დან 20 სმ-მდე აღწევს. ფოთოლის ფერი, ზომა და ფორმა გარემო ფაქტორების და მოვლის პირობების შესაბამისად მნიშვნელოვნად ცვალებადობს. მცენარე უხვად ყვავილობს. ყვავილი სურნელოვანი და თაფლოვანია, ამიტომ გაზაფხულზე მისი დამტვერიანება უმეტესად თაფლის მოყვარული მწერების საშუალებით ხდება. ხეზე ნაყოფები ერთდროულად, ზოგჯერ ჯგუფურად არის წარმოდგენილი. ნაყოფში ერთი თესლია, რომელსაც ყავისფერი თხელი ნაჭუჭი აქვს.

დასავლეთ საქართველოს პირობებში დაფნის ფესვთა სისტემა ზრდას იწყებს მაშინ, როცა ნიადაგის ტემპერატურა 7°C მიაღწევს, ხოლო ინტენსიურად ზრდა მიმდინარეობს 18-21°C დროს. საკვები ნივთიერებებით მდიდარ ღრმა ჰუმუსიან ნიადაგზე, სადაც წყლისა და ჰაერის რეჟიმი მოგვარებულია და აგროტექნიკური ღონისძიებებიც თანმიმდევრობით ტარდება, ფესვთა სისტემას ნიადაგის ზედა ფენებში ივითარებს და იგი ერთ მეტრზე ქვემოთ სიღრმეში არ ჩადის. გვალვიან წლებში ასეთ პლანტაციებში მცენარე ძნელად იტანს ტენის დეფიციტს. მისი მორწყვა ან ნიადაგის დამულჩვა კარგ ეფექტს იძლევა.

დაფნის თესლის აღმოცენება მარეფისთანავე დაითესვისას 85-95%-ს შეადგენს, გაზაფხულზე თესვისას იგი 35-45%-ით მცირდება. შემოდგომაზე დათესილი თესლი აღმოცენებას იწყებს აპრილში +12 და +14°C ტემპერატურაზე. დაფნა ნელა მზარდ მცენარეებს მიეკუთვნება. პირველ წელს ნათესარის სიმაღლე, ზრდის პირობების მიხედვით, 20-დან 25 სმ-მდეა.

დაფნას -12°C ტემპერატურა მცირედ აზიანებს, -16°C-ის დროს საგრძნობლად ზიანდება მიწის ზედა ნაწილები, ხოლო, -22°C-ის დროს მთლიანად იღუპება. ყინვებს შედარებით ცუდად იტანს დაფნის ერთწლიანი ნერგები. ისინი ფესვის ყელამდე იყინება -14-15°C-ის დროს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ფერდობებსა და მაღლობებზე გაშენებულ სანერგეებში დასავლეთ საქართველოს პირობებში 1 და 2-წლიან ნარგაობებს ყინვა არ აზიანებს.

**დაფნისთვის დამახასიათებელია ზრდის სეზონური რითმულობა. დასავლეთ საქართველოს ტენიანი რაიონების პირობებში დაფნის მიწისზედა ნაწილს აქტიური ზრდის სამი პერიოდი გააჩნია: გაზაფხულ-ზაფხულის (აპრილის ბოლო-ივნისის დასაწყისი), ზაფხულის (ივნისის ბოლო-აგვისტო) და შემოდგომის (სექტემბერ-ოქტომბერი).**

თავის სამშობლოში — ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ქვეყნებში, დაფნის ყვავილობა და ნაყოფის გამონასკვა შემოდგომაზე ხდება, ჩვენს პირობებში კი მისი გენერაციული პერიოდი გახანგრძლივებულია — საყვავილე კვირტის ჩასახვიდან თესლის მომწიფებამდე საჭიროა 18-19 თვე. საქართველოში დაფნა მსხმოიარობას იწყებს 4-5 წლიდან. ნაყოფის ინტენსიური ზრდა ივნის-აგვისტოში მიმდინარეობს, მომწიფება კი — სექტემბერ-ოქტომბერში.

ეთერზეთოვანი მცენარეების ნორმალურ ზრდა-განვითარებაზე, მოსავალსა და ეთერზეთის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე გარკვეულ გავლენას ახდენს ოროგრაფიული ფაქტორები. **ზღვიდან დაშორებით და ზღვის დონიდან სიმაღლის მატებასთან ერთად, იზრდება დაფნის მცენარის ეთერზეთის ხარისხობრივი მაჩვენებლები. ამავე დროს, დაფნის მოსავლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები უფრო მაღალია სამხრეთის ექსპოზიციაზე.**

დაფნის გაშენება, ძირითადად, შემოფარგლულია დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სუბტროპიკული ზონით, მაშინ, როცა შედარებით მაღალი ყინვაგამძლეობისა და გვალვაგამძლეობის გამო იგი შეიძლება გავაშენოთ სხვა სუბტროპიკული კულტურებისთვის ნაკლებად გამოსადეგ ნიადაგებზე და რეგიონებში. იგი კარგად ხარობს ნეშომპალა, გაეწრებულ და ეწერ ნიადაგებზე, ალუვიურ და წითელმიწა ნიადაგებზე, კირიან ქვეთიხნარებსა და კირნარებზე. დაფნისთვის გამოუსადეგარია ჭარბტენიანი ნიადაგები.



## დაფნის კულტურის გამოყენება კულინარიასა და ფარმაკოლოგიაში

საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დაფნის მცენარეს ყოველთვის მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა. მას, როგორც მთლიანად მცენარეს, ისე ცალკე ფოთოლს და ნაყოფს, სახალხო მეურნეობაში მრავალმნიშვნელოვანი გამოყენება აქვს. მცენარის ყველა ნაწილში, განსაკუთრებით ფოთლებში, სხვადასხვა რაოდენობით წარმოიქმნება და გროვდება კვებითი ღირებულების სასიამოვნო არომატული ეთეროვანი ზეთი, რომლის ქიმიური შედგენილობა და სურნელება აღვიძებს მადას და სასიამოვნო გემოს აძლევს როგორც ცხელ, ისე დაკონსერვებულ საკვებს. დაფნის ხმელი ფოთოლი ისეთივე საკმაზ-სანელებელი მცენარეული პროდუქტია, როგორიც, მაგალითად, მიხაკ-დარიჩინი, სურნელოვანი შავი წიწაკა და სხვ. დაფნის ხმელი ფოთოლი ცხელსა და ცივ ხსნარში ხმარებისას არ ფუჭდება, ამიტომ განუსაზღვრელი დროით შეიძლება კერძში მისი დატოვება. ეთეროვანი ზეთი დაფნის ფოთლიდან ხსნარში გადადის და საჭმელს ნაზ არომატს აძლევს. მას, აგრეთვე, იყენებენ ხორცის დაშაშხვისას, თევზის დამარილებისას, ბოსტნეულისა და ხორცეულის დაკონსერვებისას. მისი ფოთოლი იხმარება ხილეულის, ბოსტნეულისა და სოკოს დამარილება-დამწნილების დროსაც. იგი, სასიამოვნო არომატის გარდა, საჭმელს ამდიდრებს ვიტამინებით, ხოლო ფიტონციდური თვისებების გამო ახანგრძლივებს მზა კერძის შენახვის ვადას.

**დაფნის ეთერზეთი წარმოადგენს მოყვითალო ან მომწვანო ფერის სითხეს, რომლის შემადგენლობაში შედის ცინეოლი, პინენი გერანიოლი, ტერპინეოლი, მეთილევგენოლი, ვალერიანისა და კაპრონის მჟავები და სხვ. ეთერზეთის შემცველობა დაფნის ჰაერმშრალ ფოთლებში 0,5-0,6%-მდე მერყეობს, ტოტებში — 0,3-დან 0,65%-მდე.** აღსანიშნავია, რომ დაფნას საკონდიტრო წარმოებაშიც ფართო გამოყენება აქვს. ეთეროვანი ზეთისგან დამზადებულ ესენციას ხმარობენ ნამცხვრების, კანფეტებისა და სხვა ტკბილეულის დამზადებისას. დაფნა სასიამოვნო სუნს და გემოს აძლევს ნაყინს, კისელს, სიროფს, გამაგრილებელ წყლებსა და ფართო მოხმარების სხვა პროდუქტებს. ფოთლების გარდა, ეთეროვანი ზეთი არის, აგრეთვე, ახალგაზრდა ტოტებში, რომლებსაც მოსავლის აღებისას ჭრიან. დაფნის ტოტებიდან მიღებული ეთეროვანი ზეთი სრულფასოვანია და ის არაფრით ჩამოუვარდება ფოთლიდან მიღებულ ზეთს.

დაფნის ნაყოფის ცხიმზეთი, დაფნის ეთეროვანი ზეთის მსგავსად, სურნელოვანია. **ნაყოფის გულის ცხიმისაგან დამზადებული საპონი კარგად ქაფდება და ანტისეპტიკური თვისებებიც გააჩნია, ამიტომ მას სამედიცინო საპონს უწოდებენ. მედიცინაში ცნობილია, აგრეთვე, ნაყოფისგან გამოხდილი წვენი. დაფნის ნაყოფი მცირე რაოდენობით შეიცავს ეთეროვან ზეთსა და პინენის ჯგუფის ნივთიერებას, ამიტომ მას სამკურნალოდ იყენებენ ნევრასტენიის დროს, როგორც დასამამებელ საუკეთესო საშუალებას.**

ზაზა ფანასკერტელის ძველ ქართულ კარაბადინში, სხვა მცენარეულ წამლებთან ერთად, მოხსენიებულია **დაფნის თესლიც**, რომელსაც თავის ტკივილის დროს ხმარობდნენ, იქვე ნახსენებია დაფნის ფოთლის ნახარში, როგორც თავის ტკივილის დროს გარეგანად წასასმელი დასამშვიდებელი საშუალება. **დაფნის მცენარის სხვადასხვა ნაწილისგან დამზადებული წამლები ცნობილი ყოფილა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეში დიოსკორიდის სამკურნალო რეცეპტებში. მისგან დამზადებული მალამო და ფოთლების ნახარში გამოიყენებოდა სახსრების ტკივილის დროს შესაზელად, ხველების და გაციებების დროს, თმის ცვენის საწინააღმდეგოდ. ძველი სამკურნალო ჩანაწერებიდან ჩანს, რომ დაფნის ხმელ ნაყოფს იყენებდნენ საჭმელად, როგორც სადეზინფექციო საშუალებას, ნაწლავების გასაწმენდად და საჭმლის მონელების გასაძლიერებლად.** მცენარის ეთეროვან და ცხიმოვან ზეთებს ფართოდ იყენებენ ვეტერინარიაშიც. დაფნის მალამოს ცხოველების სამკურნალოდაც ხმარობენ. **ფოთლის ნახარშს, როგორც ანტისეპტიკურ საშუალებას, იყენებენ ცხოველებისთვის ტკიპების მოსაშორებლად.**

ცნობილია, რომ დაფნას აქვს ფიტონციდური თვისებები. ჰაერზე კარგად გამომშრალი ფოთოლი ადვილად ლპობადი ხილეულის დაცვის საუკეთესო საშუალებაა. იტალიაში ნაზ ხილეულს ყუთებში დაფნის ხმელი ფოთლებით ფუთავენ. შემჩნეულია, რომ მისი ფოთლის სუნს გაურბიან თაგვები და კოღოები. ყოველივე ამის გამო დაფნა მიზანშეწონილია გაშენდეს კასრებში შენობებისა და საცხოვრებელი ფართობების გასამწვანებლად.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რეზო ჯაბნიძე,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი.

# გულბაათ რცხილაძე: ჯანელიძის განცხადება არის ილუზია და საქართველო, უკვე წლებია, ამ ილუზიებში ცხოვრობს

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ ნატოს დღეების 10 წლის იუბილისადმი მიძღვნილ მიღებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ საქართველო ევროატლანტიკური სივრცის ღირსეული ნაწილია. მისი თქმით, დღეს საქართველო არის ალიანსის ყველაზე ფართო და ყოვლისმომცველი პარტნიორობის მქონე ასპირანტი ქვეყანა, რომელიც ყველა ნაბიჯს დგამს, რათა ახლო მომავალში სამხედრო ბლოკის სრულფასოვანი წევრი გახდეს: „ჩვენ დღეს გვაქვს ძალიან ამბიციური დღის წესრიგი ნატოს მიმართ. დღეს საქართველო არის ყველაზე ფართო და ყოვლისმომცველი პარტნიორობის მქონე ასპირანტი ქვეყანა და ჩვენ გვაქვს ყველა ის ფორმატი, რომლებიც გვაახლოებს ნატოს წევრობასთან. ჩვენ ვდგამთ ყველა ნაბიჯს, რათა საქართველო იყოს ევროატლანტიკური სივრცის ღირსეული მონაწილე“, — განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ. ადეკვატურია თუ არა საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება, რა პერსპექტივა აქვს საქართველოს სწრაფვას ევროატლანტიკური ალიანსისკენ და, საზოგადოდ, ხელისუფლების გაცხადებულ პროდასავლურ პოლიტიკას? „საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელს — გულბაათ რცხილაძეს დაუკავშირდა.**





## «საქართველო არის ევროატლანტიკური სივრცის რაღაც დანამატი, რომელსაც უყურებენ, როგორც კოლონიას»

— არანაირი ღირსეული წევრები ჩვენ არ ვართ. საქართველო არის ევროატლანტიკური სივრცის რაღაც დანამატი, რომელსაც უყურებენ, როგორც კოლონიას. რეალურად ჩვენ მათთვის გვაქვს ის დანიშნულება, რომ მუდმივ დაძაბულობაში ვიყოთ რუსეთთან და ასე შეძლონ საერთაშორისო ასპარეზზე კრემლის პოლიტიკის დისკრედიტება. სხვა ინტერესი მათ საქართველოს მიმართ არ აქვთ და ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ამას ნათლად ხედავს.

რაც შეეხება ბატონი ჯანელიძის განცხადებას, რომ საქართველო აუცილებლად მოიპოვებს ალიანსის წევრობას, ამას წინათ **ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა საქართველოში, უილიამ ლაჰიუმ, ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოს შეუძლია გახდეს ალიანსის წევრი, ისიც თეორიულად, ოღონდ კონფლიქტური რეგიონების გარეშე. ეს რას ნიშნავს? — ეს ნიშნავს იმას, რომ ნატო ვერ იცავს საქართველოს და საჭიროების შემთხვევაში, მისი წესდების მეხუთე პუნქტი, რომელიც ალიანსის წევრი ნებისმიერი სახელმწიფოს კოლექტიურ დაცვას გულისხმობს, ჩვენთვის ვერ ამოქმედდება.** ახლა ვის უფრო დაეჯერება, ნატოზე როცაა საუბარი — ნატოს მაღალჩინოსანს თუ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს? ჯანელიძის განცხადება არის ილუზია და საქართველო, უკვე წლებია, ამ ილუზიებში ცხოვრობს. ჩვენ ეს კარგს არაფერს მოგვიტანს....

**— დონალდ ტრამპის დამოკიდებულება ნატოს მიმართ წინა ადმინისტრაციის პოლიტიკისგან კარდინალურად განსხვავდება. გარკვეულ პოლიტიკურ წრეებში იმასაც ვარაუდობენ, რომ მისი პრეზიდენტობის პირობებში ალიანსის დაშლის პროცესი დაიწყება. ამის მიუხედავად, ჩვენი ხელმძღვანელობის რიტორიკა არ იცვლება, ხელისუფლების მთავარი ორიენტირი ისევ ევროატლანტიკური სტრუქტურებია. როგორ ფიქრობთ, ადეკვატურია ეს პოლიტიკა?**

— ტრამპის კრიტიკული დამოკიდებულება ალიანსისადმი ჯერჯერობით მხოლოდ დაფინანსების საკითხზე განცხადებით შემოიფარგლება. ანუ. ის მიიჩნევს, რომ ალიანსის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაზარდონ დაფინანსება. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი განცხადებაა, მაგრამ ალიანსის დაშლის წინაპირობად ვერ მივიჩნევთ.

რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლებას, **ჩვენი დღევანდელი პოლიტელიტა, ისევე, როგორც წინამორბედი, ისეა გადანასკვული დასავლეთის გავლენიან პოლიტიკურ წრეებთან, რომ მათ გარეშე არსებობა ვერ წარმოუდგენია. მას არ აქვს სახელმწიფოებრივი აზროვნება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ამიტომაა, რომ მისი მხრიდან ესა თუ ის ნაბიჯი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე კი არ იდგმება, არამედ დასავლელი ემისრების დირექტივების შესაბამისად, ამიტომ არ იცვლება მისი რიტორიკა და არც შეიცვლება, სანამ ნატოს დაშლა ოფიციალურად არ გაფორმდება.**

მოამზადა **ჯაბა ჟვანია**

# ევროპას მოუწევს მნიშვნელოვანი გამოცდის ჩაბარება






**„ამ კვირაში ევროპული დეზინტეგრაცია უწინდელზე მნიშვნელოვნად რეალური გახდა. მრავალრიცხოვანმა კრიზისმა, რომელთა შორის თითოეული არის სიმპტომი და მიზეზი კონტინენტის ულრმესი პრობლემების, ერთდროულად და ერთ წერტილში მოიყარა თავი“, — წერს The New York Times-ის მიმომხილველი მაქს ფიშერი.**

ბრიტანეთმა ევროკავშირიდან გასვლისკენ გადადგა ნაბიჯი, შოტლანდიამ კი — დამოუკიდებლობისკენ. ულტრამემარჯვენეებმა სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს ჰოლანდიის არჩევნებში. თურქეთისა და ნიდერლანდების მთავრობებს შორის წინააღმდეგობის ზრდამ გამოავლინა ევროპის ერთიანობის შენარჩუნების სირთულე და ის ძალები, რომლებსაც მისი დაშლა და დანგრევა შეუძლიათ“, — ნათქვამია სტატიაში.

**„მომავალი მოვლენები ვერ დაშლის ევროპას, მას უარესიც გადაუტანია. მაგრამ ამჟამინდელი წარმოადგენს უფრო მასშტაბურ ძალებს, რომლებიც, მსგავსი კრიზისების მომრავლების შემთხვევაში, შეძლებენ ევროპის დანგრევას“,** — წერს ფიშერი.

მასშტაბურმა არჩევნებმა, რომლებიც წლეულსვე გაიმართება საფრანგეთსა და გერმანიაში (ნიდერლანდებში უკვე მოეწყო), უნდა გვიპასუხოს კითხვაზე, მოერევა თუ არა ევროკავშირი პოპულისტურ მოძრაობებს მასში შემავალ ქვეყნებში.

საეჭვოა, რომ უკიდურესი მემარჯვენეები მოვიდნენ ხელისუფლებაში, მაგრამ უთუოდ გაიზრდება ხელისუფლებაზე ზემოქმედება პოპულისტური პოლიტიკის მხარდაჭერის მიზნით. **„მზარდი კონფლიქტი თურქეთისა და ევროპის ქვეყნების მთავრობებს შორის, ასევე, მნიშვნელოვანი გამოცდაა“.**

თურქეთის მოხელეები მოგზაურობენ ევროპაში და ატარებენ მიტინგებს, თურქეთის დიასპორას მოუწოდებენ, მხარი დაუჭიროს მომავალ თვეში გასამართ რეფერენდუმს, რომელიც შესაძლებელს გახდის თურქეთში ახალი კონსტიტუციის მიღებას, მიმართულს პრეზიდენტ ერდოღანის უფლებამოსილებათა მნიშვნელოვანი გაზრდისკენ. გერმანიამ და ჰოლანდიამ აკრძალეს ეს მიტინგები, რის გამოც **ერდოღანმა** ორივე ქვეყანა ნაციზმში დაადანაშაულა.

ავტორს მიაჩნია, რომ ეს ეპიზოდი მაინცდამაინც დიდ საშიშროებას არ შეიცავს, მაგრამ „დაგვანახვებს, კვლავაც შეძლებენ თუ არა ევროპა და თურქეთი უწინდებურად შეთანხმებულ ურთიერთობას“. დღეს ეს ღირებულებათა საკითხია: **ევროპა გადაიხარა პოპულიზმისკენ, თურქეთი კი — ავტორიტარიზმისკენ,** მაგრამ იგი პრაქტიკული საკითხიც არის: ევროპას თურქეთის დახმარება სჭირდება, რათა შეაჩეროს ლტოლვილების მოზღვავება, რომელთაც, თავის მხრივ, კრიტიკულ მომენტში შეუძლიათ, გააძლიერონ უკიდურეს მემარჯვენეთა პოზიციები.

**„ბრიტანეთის პარლამენტმა მოიწონა კანონპროექტი, რომელიც უფლებას აძლევს პრემიერმინისტრ ტერეზა მეის, ოფიციალურად აამოქმედოს ევროკავშირის ხელშეკრულების 50-ე მუხლი კავშირიდან წევრი სახელმწიფოს გასვლის შესახებ,** — ნათქვამია სტატიაში „ბრექსიტი“, — **იგი მნიშვნელოვნად აზარალებს, როგორც ბრიტანეთის ეკონომიკას, აგრეთვე, ევროპულ ერთიანობას“.**

ამავე დროს, შოტლანდიის პირველი მინისტრი, ქალბატონი **ნიკოლა სტერჯენი** გამოდის ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხზე ახალი რეფერენდუმის ჩატარების მოწონებით.

პირველი რეფერენდუმის შედეგების მიხედვით, შოტლანდიელთა უმეტესობამ გამოთქვა ევროკავშირში დარჩენის სურვილი. „ბრექსიტმა“ დაადასტურა, რომ შოტლანდიასა და ინგლისში განსხვავებული წარმოდგენა აქვთ ქვეყნის ბედზე და რომ უფრო მრავალრიცხოვანი ინგლისელები კვლავაც განაგრძობენ კონსერვატიული პოლიტიკის შოტლანდიელებისთვის თავს მოხვევას.

**„არცთუ შესამჩნევი გამოდგა ახლახან ჩრდილოეთ ირლანდიაში გამართული არჩევნები, რომლის შედეგების მიხედვით გაიმარჯვა ნაციონალისტურმა პარტია „შინ ფეინმა“. იგი იბრძვის დიდი ბრიტანეთის შემადგენლობიდან ჩრდილოეთ ირლანდიის გამოსვლისა და მისი ირლანდიასთან შეერთებისთვის“,** — ნათქვამია სტატიაში.

„დიდი ბრიტანეთი შეიძლება დაიშალოს, თუმცა დღეს ამაზე ლაპარაკი ნაადრევია“, — ასკვნის ფიშერი.

მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009